ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და
უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ფრიდონ შენგელია

28 დეკემბერი 2024 წელი

N 10/36

ეგზ. N 1

სამხედრო განათლების სისტემის

ეფექტიანობის აუდიტი

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები 4
შემაჯამებელი მიმოხილვა 6
1. შესავალი 16
1.1 აუდიტის მოტივაცია 16
1.2 აუდიტის მიზანი და მთავარი კითხვები 17
1.3 აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია 17
1.4 აუდიტის კრიტერიუმები 18
2. ზოგადი ინფორმაცია 21
2.1 აუდიტის სფეროს ზოგადი დახასიათება 21
2.2 სამხედრო განათლების პროცესის დაფინანსების სისტემა 24
3. აუდიტის მიგნებები 26
3.1 სამოქმედო გეგმის ნაკლოვანებები 26
3.2 დაწყებითი სამხედრო განათლების მიღების პროცესში არსებული ნაკლოვანებები 28
3.3 საწყისი სამხედრო განათლების მიღების პროცესში არსებული ნაკლოვანებები 34
3.4 ძირითადი სამხედრო განათლების მიღების პროცესში არსებული ნაკლოვანებები 51
3.4.1 თავდაცვის სამინისტროში სამხედრო მოსამსახურეთა საკარიერო და საფეხურებრივი განათლების პროცესში არსებული ნაკლოვანებები 54
3.5 უმაღლესი სამხედრო განათლების მიღების პროცესში არსებული გამოწვევები 59
3.6 თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა მოზიდვის და კვალიფიციური კადრების შენარჩუნების პროცესში არსებული გამოწვევები 61
3.7 სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის პროცესში არსებული ხარვეზები და გამოწვევები 67
ბიბლიოგრაფია 75
დანართი 78

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, იგივე აკადემიური პროგრამა – უმაღლესი სამხედრო განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების (საგნების)/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები (საგნები)/მოდულები შესაბამისი საათობრივი დატვირთვით და შეფასების სისტემა.

სამხედრო პროფესიული განათლება – სამხედრო განათლების სახე, რომელიც მოიცავს საკარიერო სამხედრო განათლებას და სამხედრო სპეციალისტთა მომზადებას.

საკარიერო სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამა – სამხედრო განათლების მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების (საგნების)/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები (საგნები)/მოდულები შესაბამისი საათობრივი დატვირთვით და შეფასების სისტემა.

სამხედრო სპეციალისტთა მომზადების პროგრამა – სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსი (საგანი)/მოდული, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი საათობრივი დატვირთვით, შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები. სამხედრო სპეციალისტთა მომზადების პროგრამა შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ერთი სასწავლო კურსის (საგნის)/მოდულისაგან.

კადეტი – სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მოსწავლე (X – XII კლასების ჩათვლით).

იუნკერი – სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხული პირი.

მსმენელი – ეროვნული თავდაცვის აკადემიაში უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლში ჩარიცხული პირი.

რეკრუტი – სამხედრო სავალდებულო და საკონტრაქტო სამსახურის კანდიდატები, რომლებიც გადიან საწყის სამხედრო მომზადებას და ჯერ არ მიუღიათ საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო ფიცი.

რიგითი – სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეული ან საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში ჩარიცხული პირი.

სერჟანტი – პირი, რომელსაც არ მოეთხოვება უმაღლესი განათლება, გავლილი აქვს წოდების შესაბამისი პროგრამა/კურსი და აკმაყოფილებს თანამდებობისთვის დაწესებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ოფიცერი – უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომლესაც გავლილი აქვს წოდების შესაბამისი პროგრამა/კურსი და აკმაყოფილებს თანამდებობისათვის დაწესებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

პროპონენტი – პირი, რომელიც აყენებს და იცავს განხილვის საგნის გარკვეულ პოზიციას; მხარდამჭერს შეუძლია გამოხატოს თავისი პირადი პოზიცია ან წარმოადგინოს რომელიმე საზოგადოების კოლექტიური აზრი.

2023 წლის 21 სექტემბერს საქართველოს თავდაცვის კოდექსის მიღების შემდგომ, განხორციელდა ზოგიერთი ტერმინის ცვლილება. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ აუდიტის პერიოდი მოიცავდა 2020-2021 წლებს, შესაბამისად, აუდიტში კრიტერიუმებად გამოყენებულია აღნიშნულ პერიოდში მოქმედი ნორმატიული აქტები და მასში მითითებული ტერმინები.

შემაჯამებელი მიმოხილვა

დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოსთვის ეფექტიან თავდაცვისუნარიანობას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს, რომლის უზრუნველსაყოფად საქართველოს ჰყავს თავდაცვის ძალები.

თავდაცვისუნარიანობის განვითარების ერთ-ერთი საწყისი და მნიშვნელოვანი წინაპირობაა სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა შესაბამისი განათლებით და საბრძოლო მომზადებით უზრუნველყოფა.

სამხედრო განათლება მოიცავს საფეხურებრივი განათლების სისტემას, რომელიც შედგება დაწყებითი, საწყისი, ძირითადი და უმაღლესი განათლების ეტაპებისგან. გარდა ამისა, საქართველოში მოქმედებს სამხედრო სავალდებულო სამსახური.

სამხედრო განათლების მიმართულებით უკანასკნელ პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა რეფორმა, რომლებიც ითვალისწინებს საქართველოში თანამედროვე მოთხოვნებთან თავსებადი, მაღალპროფესიული, ბრძოლისუნარიანი თავდაცვის ძალების ჩამოყალიბებას, რაც შეიძლება დადებითად შეფასდეს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სამხედრო განათლების მიღების პროცესში გამოვლინდა სხვადასხვა ხარვეზი, ნაკლოვანება და გამოწვევა, რაც განხილულია წინამდებარე ანგარიშში. აუდიტის შედეგად გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც ხელს შეუწყობს სამხედრო სამსახურის პოპულარიზაციას, განათლების სისტემების ხარისხობრივ გაუმჯობესებას და გაზრდის აღნიშნული სისტემის ეფექტიანობას.

სამოქმედო გეგმის ნაკლოვანებები

2020-2021 წლებში სამხედრო განათლების სისტემის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს შემუშავებული ჰქონდათ სტრატეგიული მიმოხილვისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში არ მიმდინარეობდა შესრულების მდგომარეობის შესახებ ანგარიშების შედგენა. ამასთანავე, სამოქმედო გეგმებში განსაზღვრული მიზნები ზოგად ხასიათს ატარებდა, დეტალურად არ იყო გაწერილი კონკრეტულ წელს მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობები და არ იყო წარმოდგენილი შეფასების ინდიკატორები. შესაბამისად, აუდიტმა ვერ უზრუნველყო გეგმით დასახული სხვადასხვა მიზნის მისაღწევად განხორციელებული აქტივობების ზუსტი და სრული შეფასება.

დაწყებითი სამხედრო განათლების მიღების პროცესში არსებული ნაკლოვანებები

დაწყებითი სამხედრო მომზადების პროგრამას ახორციელებს სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი, რომელიც უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას საშუალო საფეხურზე (X, XI, XII კლასი) ეროვნული და ლიცეუმის სასწავლო გეგმის შესაბამისად. დაწყებითი სამხედრო განათლების მიღების პროცესში გამოვლინდა რამდენიმე ძირითადი ნაკლოვანება და გამოწვევა, კერძოდ:

- ლიცეუმის წესდებით მკაფიოდ არ არის გაცხადებული მისი მთავარი დანიშნულება – მოამზადოს მოსწავლეები ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში შემდგომი სწავლისთვის და საქართველოს თავდაცვის ძალებში მომავალი კარიერისთვის, რაც რეალურად სამხედრო სკოლის მთავარი დანიშნულება უნდა იყოს, კადეტის მიერ პირველადი სამხედრო ცოდნისა და უნარების შეძენასთან ერთად.[1]
- არსებული ლოჯისტიკური რესურსიდან გამომდინარე, ლიცეუმი ახორციელებს მსურველთა, საშუალოდ, მხოლოდ 30%-ის მიღებას.
- 2017-2020 წლების ანალიზის შედეგად, ჩარიცხული მოსწავლეებიდან სწავლების სხვადასხვა ეტაპზე საშუალოდ 40%-მა შეწყვიტა სწავლა და ამოირიცხა ლიცეუმიდან.
- ლიცეუმდამთავრებულ აბიტურიენტთა საშუალოდ 50-60% აგრძელებს სწავლას სხვადასხვა სასწავლებელში და არა ეროვნული თავდაცვის აკადემიაში. ამასთანავე, 2016, 2017, 2018 წლებში კადეტთა სამხედრო ლიცეუმდამთავრებული 215 კადეტიდან ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ჩაირიცხა – 103 (48%). აქედან, აკადემია დაასრულა 59-მა პირმა (57%), რომელთაგან დღეის მდგომარეობით თავდაცვის ძალებში ირიცხება 50 ოფიცერი. აღნიშნული მაჩვენებლები არ არის ეფექტიანი და ვერ უზრუნველყოფს სამინისტროს სამოქმედო გეგმებით დასახული მიზნების მიღწევას.
- კადეტებისთვის არ არის შემუშავებული და დანერგილი შესაბამისი შეღავათები/სარგებელი, გააგრძელონ სწავლა სამხედრო მიმართულებით ეროვნული თავდაცვის აკადემიაში.
- ლიცეუმს ოფიციალურად არ აქვს ინფორმაცია კადეტების მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგებისა და შესაბამის უნივერსიტეტებში მოხვედრის შესახებ, რაც მნიშვნელოვანია ლიცეუმში სასწავლო პროცესის ეფექტიანი მართვის ხელშეწყობისთვის.

საწყისი სამხედრო განათლების მიღების პროცესში არსებული ნაკლოვანებები

საწყისი სამხედრო განათლების პროგრამას ახორციელებს სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, სადაც სამხედრო განათლება ინტეგრირებულია აკადემიურ განათლებასთან. ბაკალავრიატის დონეზე აღნიშნული მოიცავს ოფიცრის საწყისი სამხედრო და აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს. მაგისტრატურის დონეზე – ოფიცრის შუალედური სამხედრო (სამეთაურო-საშტაბო) განათლებისა და აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის ინტეგრაციას.

ოფიცერთა საწყისი განათლების პროცესში გამოვლენილი გამოწვევები, რომლებიც გავლენას ახდენს თავდაცვის ძალების ოფიცრებით დაკომპელქტების პროცესზე:

- თავდაცვის ძალების ოფიცრებით შევსების ერთადერთ წყაროს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში არსებული **საბაკალავრო პროგრამებისა და ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსდამთავრებულები** წარმოადგენენ. აღნიშნულ პროგრამებზე განსაზღვრული კვოტები და კურსდამთავრებულთა რაოდენობა სრულად ვერ უზრუნველყოფს თავდაცვის ძალების ოფიცრებით დაკომპლექტებას საჭიროების შესაბამისად. აღნიშნულის მიზეზია შემდეგი გარემოებები: საბაკალავრო და საკანდიდატო კურსზე ერთობლივად, წლის განმავლობაში არსებული კვოტები ნაკლებია შევსების საჭირო რაოდენობასთან მიმართებით, განსაზღვრული კვოტები ვერ ივსება სრულად, ჩარიცხული

1 პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნული მიმართულებით იგეგმება შესაბამისი აქტივობები.

იუნკერების საშუალოდ მხოლოდ 57%[2] და მსმენელების 67%[3] ამთავრებს სასწავლებელს. სამინისტროს განმარტებით, აკადემიის მიერ განსაზღვრული ყოველწლიური კვოტის სრულად ვერ შევსება და იუნკერთა მიერ სწავლის სხვადასხვა ეტაპზე შეწყვეტა, გამოწვეულია აპლიკანტთა გარკვეული რაოდენობის მიერ დაწესებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ვერ დაძლევით და იუნკერთა მიერ სამხედრო ცხოვრების წესებთან შეუგუებლობით. ამასთანავე, 2020-2022 წლებში საბაკალავრო და საკანდიდატო კურსდამთავრებულთაგან, დღეის მდგომარეობით, 73% ირიცხება თავდაცვის ძალების შემადგენლობაში.

- თავდაცვის ძალების ოფიცრებით დაკომპლექტების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს რეზერვის უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსი, რომელიც შეწყდა 2013 წელს. განახლებული პროგრამა უნდა ამოქმედებულიყო 2022 წლის სექტემბერში, თუმცა 2023 წლის მაისის მდგომარეობით პროგრამა დასრულებული არ არის და კურსზე სწავლებები არ მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს თავდაცვის კოდექსით განისაზღვრა რეზერვის უმცროს ოფიცერთა მომზადების პროგრამა.
- 2018-2022 წლებში საკანდიდატო კურსზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობამ შეადგინა 327 პირი, საიდანაც 74 ვერ ჩაირიცხა კურსზე,[4] მათ შორის, მოქმედი სამხედრო[5] მოსამსახურეებიც.
- 2019 წელს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში აკრეტიდაცია მიიღო „მექანიკის ინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამამ, რომელზეც მიღება 2021 წლამდე არ განხორციელებულა. პროგრამის შექმნის მთავარი მიზანი იყო თავდაცვის ძალებში საინჟინრო სპეციალისტების საჭიროება ლოჯისტიკის, საჰაერო თავდაცვის, საინჟინრო, ავიაციის და სხვა გვარეობებში. პროგრამისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით აკადემიისა და სამინისტროს მიერ 2018-2022 წლებში ჯამში დაიხარჯა 376,964 ლარი. თავდაცვის სამინისტროსთვის „მექანიკის ინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამის მნიშვნელობის მიუხედავად, პროგრამაზე ჩართულობის მაჩვენებელი დაბალია, კერძოდ, 2021-2022 წლებში სულ ჩარიცხულია მხოლოდ 19 იუნკერი, მათგან დღეის მდგომარეობით აქტიური სტატუსი აქვს 15-ს, რისი მიზეზიც ქვეყანაში აღნიშნული სპეციალობის დაუფლების მსურველთა კლებად დინამიკასთან ერთად, აკადემიის მიერ ქვეყნის მასშტაბით არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში განხორციელებული არასაკმარისი საინფორმაციო კამპანიაა.
- მიუხედავად იმისა, რომ აკადემია პერმანენტულად უზრუნველყოფს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს იუნკერებთან, საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული იუნკერებიდან, გამოკითხულ პირველკურსელთა 35%-ს[6] არ აქვს ინფორმაცია საერთო საჯარისო ცენტრისა და სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობების შესახებ, რომელზეც სწავლა უნდა გააგრძელონ, რაც საინფორმაციო კამპანიის გაძლიერების აუცილებლობაზე მიუთითებს.

აკადემიაში არსებულ სამაგისტრო პროგრამებზე ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია პროგრამებზე ჩარიცხვისთვის დაწესებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით და უწყებათა შორის არასათანადო კოორდინაციით, კერძოდ:

---

2 2020-2022 წლების კურსდამთავრებული იუნკერების შეფარდება ჩარიცხულ იუნკერთა რაოდენობასთან.

3 2016-2023 წლების კურსდამთავრებულ მსმენელთა შეფარდება ჩარიცხულ მსმენელთა რაოდენობასთან.

4 მათ შორის, 50 სამხედრო წოდების მქონე (რიგითი, პირველი კლასის რიგითი, კაპრალი) და 24 სამოქალაქო პირი.

5 ვერ გაიარა ფიზიკური ტესტი 28 სამხედრო მოსამსახურემ, ფსიქოლოგიური შერჩევა -7-მა, სამედიცინო შემოწმება – 2-მა, ზოგადი უნარების ტესტირება – 6-მა, შეიცვალა აზრი კურსზე ჩაბარებასთან დაკავშირებით – 5-მა, სამართალდარღვევა ჩაიდინა 2-მა.

6 გამოკითხული 31 სტუდენტიდან, 11-ს არ ჰქონდა ინფორმაცია.

- 2020-2021 წლებში იუნკერებს, რომლებმაც დაამთავრეს საბაკალავრო პროგრამა აკადემიაში, არ შეეძლოთ იმავე სასწავლებელში მაგისტრატურაზე სწავლის გაგრძელება, ვინაიდან არ არსებობდა აკრედიტებული სამაგისტრო პროგრამა ლეიტენანტებისთვის, ხოლო არსებულ სამაგისტრო პროგრამებზე მოხვედრა შესაძლებელი იყო კაპიტნის წოდებიდან. 2022 წლიდან **უსაფრთხოების კვლევების და სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამებზე** სწავლის გაგრძელება შესაძლებელი გახდა ლეიტენანტის წოდებიდან.
- ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად, თანამედროვე გამოწვევების, ახალ და გაუთვალისწინებელ გარემოში მოქმედების და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამაზე კვოტები განსაზღვრულია როგორც თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეების (მაიორი – პოლკოვნიკი), სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირად შემადგენლობის, ასევე უსაფრთხოების სექტორის მოქმედი თანამშრომლებისთვის. **2016-2021 წლებში სამაგისტრო პროგრამაზე სულ ჩააბარა 41-მა პირმა, საიდანაც დღეის მდგომარეობით სამაგისტრო პროგრამა დაასრულა მხოლოდ – 30-მა[7] (73%). ამასთანავე, სამაგისტრო პროგრამაზე უსაფრთხოების სექტორის მხოლოდ 2 თანამშრომელი იყო ჩართული, რაც ვერ ჩაითვლება ეფექტიან მაჩვენებლად პროგრამის შექმნის მიზანთან მიმართებით.**
- თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს შუალედური სამხედრო განათლების სამეთაურო საშტაბო კურსს (CGSC). პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან გამომდინარე, სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც დამოუკიდებლად გავლილი აქვთ აღნიშნული (CGSC) კურსი, არ აქვთ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული კურსი დამოუკიდებლად 2017-2022 წლებში გავლილი აქვს 340 სამხედრო მოსამსახურეს. სამინისტროს განმარტებით, მიმდინარეობს მუშაობა თავდაცვის ანალიზის პროგრამის სამეთაურო-საშტაბო პროგრამიდან გამოყოფის შესახებ.[8] შედეგად, სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც დამოუკიდებლად გავლილი ექნებათ (CGSC) კურსი, შეეძლებათ ჩაირიცხონ თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამაზე.
- 2021 წელს აკადემიაში აკრედიტაცია[9] მიიღო სახელმწიფო რესურსების მართვისა და უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამებმა, რომლებიც თავისი შინაარსით სამოქალაქო ხასიათისაა, არ მოიცავს სამხედრო კომპონენტს, სწავლება უფასოა და განკუთვნილია გარკვეულ სახელმწიფო უწყებებში დასაქმებულ პირთათვის, თუმცა არ არის დარეგულირებული სხვადასხვა უწყებისთვის გამოყოფილ კვოტებზე მისაღებ პირთა თანამდებობა და გამოცდილება. შედეგად, პროგრამაზე ირიცხებიან სხვადასხვა სამინისტროს ის თანამშრომლები, რომლებიც თავიანთი თანამდებობრივი მდგომარეობით ვერ შეძლებენ განახორციელონ სამაგისტრო პროგრამის შექმნის მთავარი მიზანი – კოორდინირებული მუშაობით უზრუნველყონ მოსალოდნელი კრიზისების პროგნოზირება და თავიდან აცილება. შესაბამისად, მათზე გაწეული ხარჯი და მიღებული სარგებელი (უწყებების პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტება) ვერ ჩაითვლება პროდუქტიულად.
- 2021-2022 წლებში სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხული სამხედრო მოსამსახურეების 77% ჩაირიცხა სხვადასხვა უნივერსიტეტში, ნაცვლად თავდაცვის აკადემიისა, მიუხედავად იმისა,

---

7 2021 წელს ჩარიცხული 7 მსმენელიდან, დღეის მდგომარეობით – 6 აგრძელებს სწავლას.

8 „სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ“ თავდაცვის მინისტრის 2024 წლის 19 თებერვლის N MOD 4 24 0000158 ბრძანება.

9 2021 წლის 7 ივლისსა და 18 აგვისტოს მოიპოვა აკრეტიდაცია, პროგრამები ხორციელდებოდა საპილოტე რეჟიმში, 1-წლიანი ანგარიშის პირობით.

რომ თავდაცვის აკადემიაში სწავლა უფასოა, ხოლო სხვა უნივერსიტეტებში სამინისტროს მიერ ფინანსდება ნაწილობრივ. აღნიშნულის მიზეზი შესაძლოა იყოს როგორც გარკვეული სამაგისტრო პროგრამების არარსებობა თავდაცვის აკადემიაში, ასევე ის ფაქტი, რომ აკადემიის სამაგისტრო პროგრამები ხელმისაწვდომია მხოლოდ თბილისში და აუდიტის პერიოდში არ ითვალისწინებდა ჰიბრიდულ (დისტანციურ) სწავლებას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც სამხედრო მოსამსახურეებს მოვალეობის შესრულება უწევთ საქართველოს მასშტაბით არსებულ სხვადასხვა ქვედანაყოფებში.

- აკადემიის სამაგისტრო პროგრამები 2021 წელს არ დაკომპლექტდა სრულად, მიუხედავად იმისა, რომ კვოტები გადანაწილებული იყო 13 სახელმწიფო უწყებაზე. 2022 წელს კი ორი საჯარო უწყების წარმომადგენლებით სრულად დაკომპლექტდა მხოლოდ ერთი სამაგისტრო პროგრამა,[10] რაც შესაბამის უწყებებს შორის არასათანადო კოორდინაციითაა გამოწვეული.

ძირითადი სამხედრო განათლების მიღების პროცესში არსებული ნაკლოვანებები

თავდაცვის ძალებში ძირითადი სამხედრო განათლების მიღების პროცესს უზრუნველყოფს წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა, რომლის მიზანია მაღალკვალიფიციური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურე კადრების მომზადება/გადამზადება, საქართველოს თავდაცვის ძალებში დაგეგმილი ადგილობრივი და საერთაშორისო სწავლებების და წვრთნების მხარდაჭერა და მათში მონაწილეობა.

ძირითადი სამხედრო განათლების მიღების პროცესში გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

- 2020-2021 წლებში წვრთნებისა და განათლების სარდლობის მიერ დაგეგმილი იყო შესაბამისად, 222 და 197 სასწავლო კურსი, საიდანაც 2020 წელს არ ჩატარებულა 64, ხოლო 2021 წელს – 65. კურსების არჩატარების ძირითადი მიზეზი 2020 წელს კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული მდგომარეობა გახდა. 2021 წელს კურსების დაგეგმვისას, პანდემია გათვალისწინებული იყო, შესაბამისად, კურსები იგეგმებოდა შედარებით ნაკლები რაოდენობით. მიუხედავად აღნიშნულისა, დაგეგმილი კურსების 35% არ ჩატარებულა. ანალიტიკური პროცედურებით გამოვლინდა, რომ კურსების არ ჩატარების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია კვორუმის არარსებობა (მონაწილეთა ნაკლებობა), რაც პირადი შემადგენლობის გადინებითაა გამოწვეული. ამასთანავე, არ ჩატარებულა 2020-2021 წლებში გეგმით გათვალისწინებული 6 სახეობის 13 კურსი.
- აუდიტის პერიოდში წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის მიერ თავდაპირველი გეგმა-კალენდრის შედგენაში მონაწილეობას არ იღებდნენ გენერალური შტაბის J1 პერსონალის დეპარტამენტი და სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრი. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულებისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის[11] ანალიზის და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შესაძლებელი იქნებოდა უფრო სრულყოფილი და ზუსტი თავდაპირველი გეგმა-კალენდრის შედგენა, რაც ასევე დადებით გავლენას მოახდენს,

10 რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამა.

11 სამხედრო მოსამსახურეების გადინება, ახალი კადრების შემოდინება, დასაწინაურებელ პირთა რაოდენობა, შესაბამის სპეციალობებზე გადასამზადებელ პირთა რაოდენობები, წინა წლის გამოცდილება ჩატარებულ კურსებთან მიმართებით და ა.შ.

კურსების ჩატარებისთვის საჭირო სახსრები აისახოს შესაბამისი წლის ბიუჯეტში.[12]

- თავდაცვის სამინისტროში 2020-2021 წლებში სხვადასხვა დონის და საფეხურის საკარიერო კურსი საქართველოში და საზღვარგარეთ სულ გაიარა 2,163-მა სამხედრო მოსამსახურემ. შესაბამისად, საკარიერო კურსებზე სამხედრო მოსამსახურეთა ჩართულობის მაჩვენებელი დაბალია,[13] რაც ძირითადად გამოწვეულია პანდემიით და თავდაცვის ძალებში სამხედრო მოსამსახურეთა შემოდინების – დაბალი და გადინების მაღალი მაჩვენებლით.[14]

ყოველივე აღნიშნული უარყოფით გავლენას ახდენს როგორც სამხედრო მოსამსახურეთა განათლების პროცესზე, ასევე საბიუჯეტო სახსრების ეფექტიან დაგეგმვაზე.

უმაღლესი სამხედრო განათლების მიღების პროცესში არსებული ნაკლოვანებები

უმაღლესი სამხედრო განათლების მიღება სამხედრო მოსამსახურეებს 2022 წლამდე მხოლოდ საზღვარგარეთ შეეძლოთ, ხოლო 2022 წლიდან პროგრამა ასევე ხელმისაწვდომია სსიპ – თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში. აღნიშნულ პროგრამაზე 2022 წელს საზღვარგარეთ ჩაირიცხა – 9, ხოლო საქართველოში – მხოლოდ 5 სამხედრო მოსამსახურე.

2023 წლიდან თავდაცვისა და უსაფრთხოების უმაღლესი პროგრამა, სამმხრივი მემორანდუმის საფუძველზე, ინტეგრირდა თსუ-ის სამაგისტრო პროგრამასთან – „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში.“ პროგრამის განხორციელებისთვის საჭიროა სამხედრო კომპონენტზე მინიმალური რაოდენობის სამხედრო მოსამსახურის ჩართულობა, თუმცა არ არის განსაზღვრული, განხორციელდება თუ არა სამაგისტრო პროგრამა და ექნება თუ არა სარგებელი თავდაცვის სამინისტროს, სამხედრო მოსამსახურეების მინიმალური რაოდენობის შეუვსებლობის ან იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის სამხედრო კომპონენტზე ჩარიცხულ სამხედრო მოსამსახურეებს არ ექნებათ პარალელურად მაგისტრატურის გავლის სურვილი; განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც აღნიშნულ უმაღლეს სამხედრო განათლების კურსზე 2022 წელს ჩარიცხული იყო მხოლოდ 5 სამხედრო მოსამსახურე და სამხედრო მოსამსახურეებს კვლავ აქვთ საზღვარგარეთ კურსის გავლის შესაძლებლობა.

თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა მოზიდვის და კვალიფიციური კადრების შენარჩუნების პროცესში არსებული გამოწვევები

მიუხედავად არსებული სხვადასხვა სახის წამახალისებელი ღონისძიებებისა, თავდაცვის ძალებში სამხედრო მოსამსახურეების მოზიდვა/შენარჩუნება გამოწვევად რჩება, ხოლო გადინების პროცესის დამაბრკოლებელი ფაქტორები ხასიათდება ხარვეზებით და ეფექტიანად

---

12 პასუხისმგებელი პირების განმარტებით, დღეის მდგომარეობით, თავდაცვის ძალები ამერიკელ პარტნიორებთან ერთად მუშაობს რესურსების მართვის ინტეგრირებული სისტემის განვითარებაზე, რომლის ერთ-ერთი მოდული ითვალისწინებს პერსონალის მართვას, მათი განათლებისა და წვრთნების დაგეგმვას და ა.შ. აღნიშნული სისტემა სრულად აღმოფხვრის სხვადასხვა სამსახურსა და ფუნქციას შორის კოორდინაციის პრობლემას და გაამარტივებს პერსონალის კარიერისა და განათლების მართვას.

13 ზუსტი მონაცემები არ იქნა მითითებული ანგარიშში, ვინაიდან სამხედრო მოსამსახურეთა პირადი შემადგენლობის რაოდენობა საიდუმლო ინფორმაციას განეკუთვნება.

14 იხ. ქვეთავი: თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა მოზიდვის და კვალიფიციური კადრების შენარჩუნების პროცესში არსებული ხარვეზები.

ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას. აღნიშნული წარმოშობს სამხედრო მოსამსახურეების წვრთნებისა და განათლებისათვის გაწეული სახსრების არაეფექტიან ხარჯს, კერძოდ:

- 2019-2022 წლების მონაცემებით, თავდაცვის ძალებში გადინების მაჩვენებელმა შემოდინების მაჩვენებელს 3,416 ერთეულით გადააჭარბა. თავდაცვის ძალები დატოვა 8,800 სამხედრო მოსამსახურემ, ხოლო ჩაირიცხა – 5,384.[15] სამინისტროს ინფორმაციით, 2023 წლის 11 თვის მონაცემებით, გადინება-შემოდინების ტენდენცია დადებითია. კერძოდ, სამხედრო მოსამსახურეთა შემოდინების მაჩვენებელმა გადინების მაჩვენებელს 599 ერთეულით გადააჭარბა.
- 2017-2022 წლებში სამხედრო მოსამსახურეების მიერ დარღვეულ კონტრაქტებთან მიმართებით, სასამართლო საქმისწარმოება მიმდინარეობდა სულ 1,352 საქმეზე და სამინისტროს ფინანსური მოთხოვნა შეადგენდა 5,976,625 ლარს. 2023 წლის მაისის მდგომარეობით, მიმდინარე სტატუსი აქვს 713 საქმეს (53%), საიდანაც 500 (70%) საქმეზე[16] არ ჩანიშნულა სასამართლო პროცესი ან არ არის მიღებული გადაწყვეტილება; ასევე სასამართლოს მიერ ხშირად მნიშვნელოვნად მცირდება კონტრაქტით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა და შესაბამისად, სამინისტროს მოთხოვნა.
- დაბალი მაჩვენებელია დაკისრებული ჯარიმების ამოღების მიმართულებითაც. სამინისტროს საფინანსო სამსახურის მონაცემებით, 2019-2022 წლებში ჯარიმა დაეკისრა სულ 1,347 პირს, ჯამში – 5,003,649 ლარის ოდენობით, საიდანაც 2022 წლის მდგომარეობით კვლავ **გადასახდელია 4,361,109 ლარი (87%).**

სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის პროცესში არსებული ხარვეზები და გამოწვევები

- საკონტრაქტო სამსახურის პირველ ეტაპზე კონტრაქტის შეწყვეტა არ ითვალისწინებს პირის დაჯარიმებას, აღნიშნული კი შესაძლებელია წვევამდელებისთვის სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის თავიდან არიდების (ვადის გადაწევა) საშუალება იყოს, ანუ, თუ პირს უწევს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლა, მოქმედი კანონმდებლობით მას აქვს უფლება აირჩიოს საკონტრაქტო სამსახურის გავლა, ხოლო პირობა, რომ კონტრაქტის პირველ ეტაპზე შეწყვეტა დაჯარიმებისგან მას ათავისუფლებს, შესაძლებლობას აძლევს ყოველგვარი დამატებითი პროცედურების გავლით თავი აარიდოს (გადაავადოს) სამხედრო სავალდებულო სამსახურს.
- დღეის მდგომარეობით არ არის შექმნილი წვევამდელთა შესახებ შესაბამისი რეესტრების წარმოების მიზნით ერთიანი გამართული პროგრამული/საინფორმაციო ბაზა, რომელიც მოგვცემდა საშუალებას მიგვეღო სრულყოფილი ინფორმაცია 2019-2022 წლებში სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამოსაძახებელ პირებსა და მათზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შესახებ.
- 2024 წლამდე წვევამდელის მოძებნისა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადებისა და სხვა ინფორმაციის დადასტურების მიზნით, პროცესის განმახორციელებელ სტრუქტურულ

15 2019, 2021, 2022 წლებში თავდაცვის ძალებს წლის განმავლობაში საშუალოდ 2,600 სამხედრო მოსამსახურე ტოვებდა. 2020 წელს გადინების შედარებით დაბალი მაჩვენებელი კოვიდ-19-ის პანდემიითაა გამოწვეული. კერძოდ, 2019 წელს თავდაცვის ძალები 2,296-მა, 2020 წელს – 1,022-მა, 2021 წელს – 2,899-მა, ხოლო 2022 წლის მონაცემებით, 2,583-მა სამხედრო მოსამსახურემ დატოვა.

16 200 საქმე მიეკუთვნება 2022 წლამდე პერიოდს.

ერთეულებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის უწყებებთან კოორდინაციის პროცედურები და ვადები მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა.[17] აღნიშნული წარმოშობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურის თავის არიდების ხელშეწყობის რისკს. გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობდა მკაფიოდ განსაზღვრული სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც დაარეგულირებდა სამართალდამცავ ორგანოებთან კოორდინაციას, წვევამდელების მიმართ გამოიყენებოდა არაერთგვაროვანი მიდგომა.

- სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამოსაძახებელ პირთა რაოდენობა უწყებების მიხედვით განისაზღვრება **მთავრობის დადგენილებით.** ყოველი გაწვევისას მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული რაოდენობა გამოსაძახებელ პირთა, საშუალოდ, მხოლოდ **8%-ს შეადგენს.**[18] მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ხორციელდება სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამოსაძახებელ პირთა რაოდენობის სრულად ადმინისტრირება. კერძოდ: 2019-2022 წლებში გამოსაძახებელ პირთა, საშუალოდ, მხოლოდ 4%, ხოლო მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული რაოდენობის (28,523) – მხოლოდ 52% (14,813) ჩაირიცხა შესაბამის უწყებებში,[19] აღნიშნული კი ვერ ჩაითვლება ეფექტიან მაჩვენებლად.
- 2019-2022 წლების მთავრობის დადგენილებების მიხედვით წვევამდელთა სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში გადანაწილებისას უშუალოდ თავდაცვის სამინისტროში გასანაწილებელ პირთა რაოდენობა საერთო რაოდენობის 38%-ს შეადგენდა, ხოლო ფაქტობრივად 2019-2022 წლებში თავდაცვის სამინისტროში სავალდებულო სამხედრო სამსახურში ჩაირიცხა 6,255 წვევამდელი, რაც დადგენილებით განსაზღვრული რაოდენობის 57%-ს შეადგენდა. ამასთანავე, სხვადასხვა სამინისტროში წვევამდელებისთვის სპეციალური თეორიულ-პრაქტიკულ სწავლება არაერთგვაროვანია.[20] შესაბამისად, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის აღნიშნული პრაქტიკა არ არის ეფექტიანი და სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას, რადგან წვევამდელებს სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდგომ გააჩნიათ არათანაბარი ხარისხის განათლება.

აუდიტის მიმდინარეობისას, დაიწყო მუშაობა თავდაცვის კოდექსის შემუშავებაზე, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებებს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის პროცესში. აღნიშნული კანონპროექტი დღეის მდგომარეობით დამტკიცებულია. თავდაცვის კოდექსის მიხედვით, წვევამდელები სამხედრო სავალდებულო სამსახურს 2025 წლიდან მხოლოდ თავდაცვის სამინისტროში გაივლიან, რაც აღმოფხვრის არათანაბარი ხარისხის განათლების პრობლემას.

---

17 რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2016 წლის 10 აგვისტოს N 01/2585 წერილით გაგზავნილი დოკუმენტი – „მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის სარეკომენდაციო ინსტრუქცია“.

18 პასუხისმგებელი პირების განმარტებით, მთავრობის დადგენილების გამოცემისას გათვალისწინებულია წინა წლების გამოცდილება. კერძოდ: კანონმდებლობით გათვალისწინებული სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლებისა და გაწვევის გადავადების პირობები და გამოძახებულ პირთა ალტერნატიულ შრომით სამხედრო სამსახურში ჩარიცხულთა რაოდენობა.

19 გარდა ამისა, გამოძახებულ პირთა ნაწილი ჩარიცხული იყო კანონით გათვალისწინებულ ალტერნატიულ შრომით სამხედრო სამსახურში (ზუსტი რაოდენობა ვერ იქნა მითითებული აღრიცხვიანობის ნაკლოვანებებიდან გამომდინარე).

20 წვევამდელი შინაგან საქმეთა სამინისტროში სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად სპეციალურ სწავლებას ორი კვირიდან ერთ თვემდე ვადით გადის, ხოლო საკონტრაქტო მოსამსახურე – 15 დღემდე ვადით, რის შემდეგაც ისინი ნაწილდებიან დაცვის ობიექტებზე. რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს, წვევამდელები საწყისი საბრძოლო მომზადების პროგრამას (BCT) გადიან წვრთნებისა და განათლების სარდლობის უფროსი სერჟანტის, ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრში. აღნიშნული კურსი სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეებისთვის 8-კვირიანი, ხოლო საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხულ პირთათვის 10-კვირიანია.

რეკომენდაციები

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და სსიპ – კადეტთა სამხედრო ლიცეუმს

სამხედრო განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფის, ხარისხის გაუმჯობესებისა და საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი ხარჯის თავიდან აცილების მიზნით:

- მიზანშეწონილია ლიცეუმის წესდებაში მკაფიოდ განისაზღვროს სამხედრო სკოლის მთავარი დანიშნულება – მოამზადოს მოსწავლეები ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში შემდგომი სწავლისთვის და საქართველოს თავდაცვის სისტემაში მომავალი კარიერისთვის.
- მიზანშეწონილია, გამოცდების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით, ლიცეუმს ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს ოფიციალური ინფორმაცია კადეტების მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ, რაც შესაძლებლობას მისცემს, სამომავლოდ ყურადღება გაამახვილოს იმ საგნებზე, რომლებშიც კადეტები შედარებით დაბალ ქულებს იღებენ.
- მიზანშეწონილია ლიცეუმმა განახორციელოს სწავლის სხვადასხვა ეტაპზე კადეტთა სასწავლებლიდან ამორიცხვის მიზეზების მოკვლევა; მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით კი განახორციელოს სისტემატური მუშაობა კადეტებთან, როგორც ლიცეუმში მიღების ეტაპზე, ასევე სწავლის სრული პერიოდის განმავლობაში.
- ლიცეუმის დამთავრების შემდგომ, კადეტების მიერ ეროვნული თავდაცვის აკადემიაში საწყისი სამხედრო განათლების გაგრძელების და სწავლის უწყვეტობის პრინციპის შენარჩუნების მიზნით, მიზანშეწონილია გაგრძელდეს კადეტებისთვის შესაბამისი წამახალისებელი მექანიზმების შემუშავებისა და დანერგვის პროცესი – ეროვნული თავდაცვის აკადემიაში სამხედრო განათლების მისაღებად.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და სსიპ – ეროვნულ თავდაცვის აკადემიას

- საქართველოს თავდაცვის ძალებში ოფიცერთა ვაკანსიების შევსების მიზნით, მიზანშეწონილია თავდაცვის ძალების დაკომპლექტების სხვა წყაროს – **რეზერვის უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსის დროული ამოქმედება.**
- აკადემიის კურსდამთავრებულთა მაჩვენებლის გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილია აკადემიამ აღრიცხოს და დოკუმენტური კვლევის საფუძველზე შეისწავლოს იუნკერთა/მსმენელთა გადინების მიზეზები და განახორციელოს შესაბამისი საპასუხო ღონისძიებები.
- თავდაცვის და ანალიზის სამაგისტრო პროგრამაზე მსმენელთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, იმსჯელოს სამეთაურო საშტაბო პროგრამის (CGSC) კურსდამთავრებულებს გავლილი საგნები ჩაეთვალოთ თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამის კრედიტებში და მიეცეთ საშუალება განაგრძონ სწავლა პროგრამის დარჩენილ საგნებზე, რაც სამხედრო მოსამსახურეებს მისცემს საშუალებას, გაიარონ ეროვნული თავდაცვის აკადემიის თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამა უფრო მცირე დროში, ვიდრე სხვა სამოქალაქო სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის შემთხვევაში; ასევე იმსჯელოს სამაგისტრო პროგრამის ჰიბრიდულად (დისტანციურად) სწავლების ხელმისაწვდომობაზე, რაც ქვეყნის მასშტაბით არსებული ქვედანაყოფების სამხედრო მოსამსახურეებს საშუალებას მისცემთ, სამუშაო ადგილის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დატოვების გარეშე ისწავლონ სამაგისტრო პროგრამაზე.
- აკადემიის ასიგნებების პროდუქტიულად და მიზნობრივად ხარჯვის მიზნით, მიზანშეწონილია გადაიხედოს და დაკონკრეტდეს მისაღებ პირთა წრე და სწავლების დაფინანსების არსებული მოდელი იმ სამაგისტრო პროგრამებზე, რომლებიც არ მოიცავს სამხედრო კომპონენტს.

საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალურ შტაბს და წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობას

სამხედრო მოსამსახურეებისათვის წლის განმავლობაში ჩასატარებელი სასწავლო კურსებისა და წვრთნების დაგეგმვისათვის თავდაპირველი გეგმა-კალენდრის შედგენის პროცესში მიზანშეწონილია, მონაწილეობა მიიღონ გენერალური შტაბის შემადგენლობაში მყოფმა სხვადასხვა სტრუქტურულმა ერთეულებმა, რათა წლის განმავლობაში დაგეგმილი კურსები უფრო მეტად იყოს ფოკუსირებული თავდაცვის ძალებისათვის საჭირო შესაბამისი სპეციალისტების (სამხედრო მოსამსახურეების) მომზადება-გადამზადებაზე, რაც საშუალებას მისცემს სამინისტროს, სწორად დაგეგმოს საბიუჯეტო პროცესი.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და სსიპ – თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლას

მიზანშეწონილია, თავდაცვის სამინისტროს ინტერესებიდან გამომდინარე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან კონსულტაციების გამართვის გზით, სამაგისტრო პროგრამის მარეგულირებელ აქტებში, სამართლებრივად დარეგულირდეს ის შემთხვევები, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს სამაგისტრო პროგრამის სრულყოფილად ჩატარების და თავდაცვის სამინისტროსათვის შესაბამისი სარგებლის მიღების პროცესზე.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს

სამხედრო მოსამსახურეთა მოტივირების მიზნით, გადინების მაჩვენებლის შემცირების და ბოლო პერიოდის დადებითი ტენდენციის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია თავდაცვის სამინისტრომ, სხვადასხვა უწყებებთან კოორდინაციით, სამხედრო მოსამსახურეთა გამოკითხვის შედეგად იდენტიფიცირებულ საჭიროებებთან დაკავშირებით, შეიმუშაოს და დანერგოს დამატებითი წამახალისებელი ღონისძიებები და შეღავათები.

1. შესავალი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური აუდიტორული საქმიანობის განხორციელებისას იყენებს აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დეკლარირებულ საჯარო სექტორის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს. აუდიტი წარიმართა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელოს შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს ჩატარებული აუდიტის ხარისხის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას (ISSAI 3000).

1.1 აუდიტის მოტივაცია

საქართველოს დაცვა ყოველი მოქალაქის ვალია, რაც განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით.[21] ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განვითარების ერთ-ერთ საწყის და მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა შესაბამისი განათლებით და საბრძოლო მომზადებით უზრუნველყოფა, რისთვისაც აუცილებელია ეფექტიანი ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელება.

თანამედროვე და ნატო-ს სტანდარტებთან თავსებადი სამხედრო განათლების სისტემის ჩამოყალიბება საქართველოს თავდაცვის ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლებასა და საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში ქართული სამხედრო კონტინგენტის ეფექტიან მონაწილეობას განაპირობებს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განათლების სისტემა, ერთიანი ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის ნაწილს წამოადგენს, რომლის მიზანია სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა განათლების მიღება/გაღრმავება სხვადასხვა საფეხურების მიხედვით, სამსახურებრივი მოვალეობის, სპეციფიკისა და პასუხისმგებლობის შესაბამისად.

სამხედრო განათლების მიმართულებით სწავლებებს ახორციელებს თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული, რომლებიც ფინანსდებიან როგორც სახელმწიფო ბიუჯეტით, ასევე საკუთარი შემოსავლებით და გრანტებით.

საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარების უზრუნველყოფაში კვალიფიციური სპეციალისტების (რიგითი, კაპრალი, სერჟანტი, ოფიცერი) როლი უმნიშვნელოვანესია.

სამხედრო განათლება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა თავდაცვის სამინისტროს 2017-2020 და 2019-2022 წლების საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებში, სადაც განსაზღვრული იყო აღნიშნული მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობები და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა ეფექტიანობის აუდიტის ჩატარება, რათა გამოგვევლინა არსებული გამოწვევები და გაგვეცა გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციები.

---

21 საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

1.2 აუდიტის მიზანი და მთავარი კითხვები

ეფექტიანობის აუდიტის მიზანია, შეაფასოს რამდენად უზრუნველყოფს თავდაცვის სამინისტროს მიერ სამხედრო განათლების მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები დასახული მიზნების მიღწევას, ამასთანავე, შეისწავლოს სისტემაში არსებული ნაკლოვანებები და გასცეს გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს ეფექტიანი განათლების სისტემის ჩამოყალიბებას და თავდაცვის ძალების მდგრად საკადრო უზრუნველყოფას.

აუდიტის მთავარი კითხვა შემდეგია:

რამდენად ქმნის სამხედრო განათლების საფეხურებრივი, კარიერული და პროფესიული სისტემა თავდაცვის ძალების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის წინაპირობას?

მთავარ კითხვაზე პასუხის გასაცემად, აუდიტის ქვეკითხვებად განისაზღვრა შემდეგი:

1. რამდენად უზრუნველყოფს სტრუქტურული ერთეულების მიერ სასწავლო პროცესის მართვასთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებები მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, დასახული მიზნების მისაღწევად?
2. რამდენად უზრუნველყოფს თავდაცვის სამინისტრო კვალიფიციური სამხედრო კადრების შენარჩუნებას?
3. რამდენად ეკონომიურად და რაციონალურად ხორციელდება სამხედრო განათლების სისტემისთვის გამოყოფილი ფულადი სახრების განკარგვა?

1.3 აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია

სამხედრო განათლების სისტემის ეფექტიანობის აუდიტის პერიოდი მოიცავს 2020-2021 წლებს, თუმცა ტენდენციის ანალიზისათვის გამოყენებულია წინა და მომდევნო პერიოდის ინფორმაცია.

აუდიტის ობიექტია საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, თავდაცვის ძალები და მათი დაქვემდებარებული შემდეგი ერთეულები:

1. თავდაცვის ძალების წვრთნებისა და განათლების სარდლობა.
2. სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი.
3. სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია.
4. სსიპ – თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა.

აუდიტის კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოყენებულია შემდეგი მეთოდოლოგია:

- სამართლებრივი ბაზის და მარეგულირებელი ნორმების ანალიზი;
- დოკუმენტური ინფორმაციის ანალიზი;
- აუდიტის ობიექტთან (შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან) ინტერვიუები;
- მონაცემთა ბაზების ანალიზი;
- საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი;
- წინასწარ შემუშავებული კითხვარების საფუძველზე კადეტთა და იუნკერთა გამოკითხვები.

აუდიტის კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩატარდა შემდეგი აუდიტორული პროცედურები:

- რამდენად უზრუნველყოფს სტრუქტურული ერთეულების მიერ სასწავლო პროცესის მართვასთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებები მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას დასახული მიზნების მისაღწევად: შევისწავლეთ სამხედრო განათლების პროცესის ყველა ეტაპზე (დაწყებითი, საწყისი, შუალედური, ძირითადი და უმაღლესი განათლების საფეხურებზე) დაცულია თუ არა სწავლების უწყვეტობის პრინციპი, შევაფასეთ პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულების კოორდინაცია, განხორციელდა წინასწარ შემუშავებული კითხვარების საფუძველზე კადეტთა და იუნკერთა გამოკითხვები; ასევე დათვალიერებულ იქნა კადეტთა სამხედრო ლიცეუმის, ეროვნული თავდაცვის აკადემიის, სამეთაურო საშტაბო კოლეჯის, სერჟანტთა აკადემიისა და საერთო საჯარისო ცენტრის ინფრასტრუქტურა.
- რამდენად უზრუნველყოფს თავდაცვის სამინისტრო კვალიფიციური სამხედრო კადრების შენარჩუნებას: შევისწავლეთ სამინისტროს მიერ კადრების შენარჩუნებისთვის განსაზღვრული პირობები (სარგებელი, შეღავათი და სხვ.). გავაანალიზეთ სამინისტროდან სამხედრო მოსამსახურეთა გადინების მაჩვენებელი.
- რამდენად ეკონომიურად და რაციონალურად ხორციელდება სამხედრო განათლების სისტემისთვის გამოყოფილი ფულადი სახსრების განკარგვა: შევისწავლეთ სტრუქტურული ერთეულების მიერ გახარჯული სახსრები.

1.4 აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის მიმდინარეობისას, შეფასების კრიტერიუმად გამოყენებულია ის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც არეგულირებს აუდიტის ობიექტების საქმიანობას და განსაზღვრავს სამხედრო განათლების სისტემის ძირითად მიმართულებებს, ასევე საერთაშორისო კარგი პრაქტიკის მაგალითები.

- საქართველოს კონსტიტუცია;
- „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „სამხედრო სამსახურის დებულების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის N238 დადგენილება;
- „ოფიცერთა სამხედრო განათლების კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 13 დეკემბრის N MOD5 17 00000986 ბრძანება;

- „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სადისციპლინო წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 მარტის N124 დადგენილება;
- „სადისციპლინო წესდების აღსრულების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 12 აპრილის N23 ბრძანება;
- „სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 14 მარტის N16 ბრძანება;
- „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეების ფიზიკურ ი ნორმატივებისა და მათი ჩაბარების წესის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 9 იანვრის N02 ბრძანება;
- „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 9 იანვრის ბრძანება N01;
- „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება;
- „სამხედრო საგანმანათლებლო ერთეულებში სასწავლო დოკუმენტაციის წარმოების ფორმები“ – შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2018 წლის 28 ივნისის N633839 შეტყობინება;
- „სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების პროცედურების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 19 აპრილის N MOD 3 19 00000261 ბრძანება;
- „ოფიცერთა საკარიერო პროგრამებზე მიღების დამატებითი მოთხოვნების და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 01 თებერვლის N55 ბრძანება;
- „ოფიცერთა სამხედრო განათლების კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 13 დეკემბრის N986 ბრძანება;
- „სერჟანტთა სამხედრო პროფესიული განათლების კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 12 თებერვლის N97 ბრძანება;
- „სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 2 აგვისტოს N515 ბრძანება;
- სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის შინაგანაწესი;
- სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში მოსწავლის ჩარიცხვის და კადეტის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2013 წლის 29 მაისის N512 ბრძანება;
- სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში ფიზიკური მომზადების დონის დასადგენი ტესტირების ჩატარებისა და შეფასების წესი;
- „სამხედრო მომზადებისა და განათლების განმახორციელებელ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და რეგისტრაციის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 7 ივნისის N435 ბრძანება;

- „სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში სამეურვეო საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის 2017 წლის 2 ნოემბრის N MOD 0 17 00000071 ბრძანება;
- „მასწავლებლის თანამდებობაზე კონკურსის ჩატარებისა და თანამდებობის დაკავების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დირექტორის 2020 წლის 11 თებერვლის N MOD 5 20 00000027 ბრძანება;
- „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და სამხედრო საგანმანათლებლო ერთეულების პროგრამების სტანდარტების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სამხედრო საგანმანათლებლო ერთეულებში გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში დიპლომებისა და სერტიფიკატების სტანდარტები და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 3 სექტემბრის N MOD 5 19 00000542 ბრძანება;
- „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის ოფიცერთა სამხედრო წოდებების საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის N MOD 9 20 00000869 ბრძანება;
- „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის საშტატო ნუსხებით განსაზღვრული რიგითთა, კაპრალთა და სერჟანტთა თანამდებობების საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 27 ნოემბრის N MOD 7 20 00000876 ბრძანება;
- „სამხედრო საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 21 დეკემბრის N MOD 8 17 00001005 ბრძანება;
- ნატო – საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP).

2. ზოგადი ინფორმაცია

2.1 აუდიტის სფეროს ზოგადი დახასიათება

სამხედრო სამსახური არის სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებული სახე. სამხედრო სამსახურის ერთ–ერთი ფორმაა საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახური. საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებად ითვლებიან პირები, რომლებიც გადიან სამხედრო სამსახურს ხელშეკრულების საფუძველზე.[22] ხელშეკრულების ვადა შეადგენს 4 წელს, ხოლო ოფიცრებისათვის ხელშეკრულებით დადგენილია 5-წლიანი ვადა.

საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახური თავდაცვის ძალების შევსების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა და ჩარიცხვა შეუძლია მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ შესაბამის კრიტერიუმებს.

სქემა N1. ინფორმაცია თავდაცვის ძალებში სამხედრო საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურში კარიერის დაწყების შესახებ



22 საქართველოს თავდაცვის სისტემაში, საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასავლელად, კონტრაქტის ფორმას განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის მინისტრი. კონტრაქტის შესრულების ადგილად ითვლება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ის ქვედანაყოფი, რომელშიც სამსახურს გადის სამხედრო მოსამსახურე.

სამხედრო განათლების სისტემა მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესში უწყვეტი სწავლების საფეხურებრივი პრინციპით და მოიცავს სერჟანტთა და ოფიცერთა საწყის, ძირითად, შუალედურ და უმაღლეს სამხედრო განათლებას.

სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა (პერსონალთა) განათლებისა და საბრძოლო მომზადების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება, საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განვითარების და ეფექტიანობის წინაპირობაა.

სამხედრო განათლების ძირითადი ამოცანებია:[23]

- სამხედრო მოსამსახურეთა კარიერული ზრდა და საფეხურებრივი სამხედრო განათლების უზრუნველყოფა;
- სასწავლო პროგრამების მუდმივი სრულყოფა, სასწავლო მეთოდური ბაზის განვითარება და შეფასების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება;
- მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა და შენარჩუნება;
- აკადემიური პერსონალის, სპეციალისტების და სამხედრო ინსტრუქტორების პროფესიული განვითარების მუდმივი უზრუნველყოფა;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების განვითარება;
- ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემუშავება და ორგანიზება (უსაფრთხოების სექტორში დასაქმებულ საჯარო მოხელეთათვის);
- თავდაცვის სისტემის განათლების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე.

დასახული ამოცანებისა და მიზნების შესასრულებლად სამინისტროში შექმნილია შემდეგი საგანმანათლებლო დაწესებულებები და სტრუქტურული ერთეულები:

- **სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი;**
- **სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია;**
- **თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა;**
- **სსიპ – თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა.**

სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმა განისაზღვრება შესაბამისი კანონით.[24] სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლას ექვემდებარება 18-დან 27 წლამდე ასაკის პირი, რომელიც იმყოფება ან ვალდებულია იმყოფებოდეს წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვაზე და რომელსაც არ აქვს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან განთავისუფლების ან გაწვევის გადავადების საფუძველი. სამხედრო სავალდებულო სამსახური თავდაცვის სამინისტროში შეიძლება მოხდილ იქნეს **საკონტრაქტო სამსახურის სახითაც,** რისთვისაც საჭიროა, წვევამდელი აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს.[25]

თავდაცვის სამინისტროში პროფესიული სამხედრო განათლების პროგრამა მოიცავს დაწყებითი სამხედრო მომზადების, სამხედრო განათლების, პროფესიული განვითარების, სპეციალისტების მომზადება-შეფასების და სასწავლო კურსებს.

---

23 https://mod.gov.ge/ge/page/64/samxedro-ganatlebis-mimoxilva

24 „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი.

25 „სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის N238 დადგენილება.

სქემა N2. სამხედრო განათლების საორგანიზაციო სტრუქტურა



დაწყებითი სამხედრო მომზადების პროგრამას ახორციელებს სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი, რომელიც უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას საშუალო საფეხურზე – ეროვნული და ლიცეუმის სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასწავლებელი პანსიონური ტიპისაა და კადეტებს საცხოვრებელი პირობებით, სამედიცინო მომსახურებით, კვებით და სასწავლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფს.

სამხედრო განათლების პროგრამას ახორციელებს სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, სადაც სამხედრო განათლება ინტეგრირებულია აკადემიურ განათლებასთან და მოიცავს ბაკალავრიატის დონეზე ოფიცრის საწყისი სამხედრო და აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს, ხოლო მაგისტრატურის დონეზე – ოფიცრის შუალედური სამხედრო (სამეთაურო-საშტაბო) განათლებისა და აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის ინტეგრაციას.

პროფესიული განვითარების პროგრამას ახორციელებს სსიპ – თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის (DIB) სკოლა, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალიზებული მოკლე და გრძელვადიანი კურსების, ტრენინგების, საინფორმაციო და საკონსულტაციო პროგრამების, ლექცია-სემინარების, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების ფორმატის შეხვედრების, დისკუსიების, კონფერენციების ჩატარებას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის, სამოქალაქო და უსაფრთხოების სექტორის სხვა წარმომადგენლებისთვის.

სპეციალისტების მომზადება-შეფასების პროგრამას ახორციელებს საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა, რომელიც პროფესიული სამხედრო განათლების უზრუნველყოფის მიზნით ხელს უწყობს მაღალკვალიფიციური სამხედრო მოსამსახურეების, განათლებას, ლიდერების და სპეციალისტების ჩამოყალიბებას. კერძოდ, საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო, მხარდაჭერის, უზრუნველყოფის ქვედანაყოფების ასეულის და ბატალიონის, შემდგომში ბრიგადის დონის ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის შეფასებას[26] და სხვ. (დეტალურად იხ. დანართი და ცხრილი).

სასწავლო კურსები მოიცავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და თავდაცვის ძალების პერსონალის მონაწილეობას პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის

26 შესაბამისი მასალები წარმოადგენს გრიფით „საიდუმლო“ ინფორმაციას.

ყოველწლიურ გეგმებსა და ნატო-ს საწვრთნელ/სასწავლო დაწესებულებებში ინდივიდუალური პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში. ქვეპროგრამა მოიცავს პროფესიული განვითარების სასწავლო კურსებს ქვეყნის გარეთ, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო მოსამსახურეთათვის. აღნიშნული ქვეპროგრამების ხარჯები, როგორც წესი სტანდარტულია (30% სამივლინებო) და ემსახურება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ განვითარებას.

2.2 სამხედრო განათლების პროცესის დაფინანსების სისტემა

2020-2021 წლებში სამხედრო განათლების სისტემა ფინანსდებოდა თავდაცვის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების როგორც საბიუჯეტო ასიგნებებით, ასევე საკუთარი სახსრების და გრანტების მეშვეობით, კერძოდ:

2020-2021 წლებში საგანმანათლებლო დაწესებულებების საკუთარ შემოსავლებს კადეტთა სამხედრო ლიცეუმის შემთხვევაში წარმოადგენდა განათლების სამინისტროს მიერ გამოყოფილი სახსრები,[27] აკადემიის საკუთარ შემოსავლებს კი, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სტუდენტების მიერ მოპოვებული გრანტები.

ცხრილი N1. ინფორმაცია 2020-2021 წლებში სამხედრო განათლების სისტემისთვის გაწეული ხარჯების შესახებ

დაწესებულება	2020 წელი				2021 წელი		
	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	გრანტი	სულ:	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	სულ:
კადეტთა სამხედრო ლიცეუმი	3,559,118	126,713	-	3,685,831	3,827,499	197,220	4,024,719
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	14,991,507	65,314	10,062	15,066,883	17,416,383	148,437	17,564,821
თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის (DIB) სკოლა	717,053	-	-	717,053	1,005,366	-	1,005,366
წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა	31,154,237	-	-	31,154,237	33,088,076	-	33,088,076
სასწავლო კურსები	672,858	-	-	672,858	901,164	-	901,164
სულ:	51,094,773	192,027	10,062	51,296,862	56,238,488	345,657	56,584,146

შენიშვნა: ინფორმაცია არ მოიცავს სამხედრო მოსამსახურეთა კვებით, უნიფორმით, დაზღვევით უზრუნველყოფის ხარჯებს.

ცხრილი N2. ინფორმაცია 2020-2021 წლებში სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებების საკუთარი შემოსავლების შესახებ

დაწესებულება	2020 წელი	2021 წელი	სულ:
კადეტთა სამხედრო ლიცეუმი	250,192	262,501	512,693
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	107,715	78,311	186,026

27 „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით დადგენილი წესით. კერძოდ: სახელმწიფო უზრუნველყოფს სრული ზოგადი განათლების მიღებას. მოსწავლის განათლების სახელმწიფო დაფინანსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გრძელდება 12 წლის განმავლობაში.

გარდა საბიუჯეტო სახსრებისა და საკუთარი შემოსავლებისა, კადეტთა სამხედრო ლიცეუმს და თავდაცვის ეროვნულ აკადემიას სამინისტრო უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის მატერიალური ქონებით. კერძოდ, 2020-2021 წლებში საგანმანათლებლო დაწესებულებებს გადაეცათ 2,956,587 ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის ქონება. გარდა ამისა, აღნიშნულ უწყებებზე გადაცემულია მრავალი დასახელების ფასგარეშე ქონებაც.[28]

ცხრილი N3. ინფორმაცია 2020-2021 წლებში თავდაცვის სამინისტროს მიერ კადეტთა სამხედრო ლიცეუმისა და აკადემიისთვის გადაცემული ქონების ღირებულების შესახებ

წელი	2020	2021	სულ:
კადეტთა სამხედრო ლიცეუმი	367,973	177,955	545,928
ეროვნული თავდაცვის აკადემია	618,120	1,792,539	2,410,659

სამინისტრო ასევე უზრუნველყოფს კადეტთა სამხედრო ლიცეუმისა და ეროვნული თავდაცვის აკადემიის თანამშრომელთა და მსმენელთა კვებით და ჯანმრთელობის დაზღვევას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არც კადეტთა სამხედრო ლიცეუმს და არც ეროვნული თავდაცვის აკადემიას არ აქვს შექმნილი მეთოდოლოგია, რომლის მეშვეობითაც დაითვლება, რა ხარჯებთანაა დაკავშირებული ერთი კადეტის/იუნკერის/მსმენელის სწავლება და უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური დანახარჯების ანალიზის შესაძლებლობლობას.

28 შეიარაღება, კავშირგაბმულობის საშუალებები, სხვადასხვა სახის ინვენტარი, საინჟინრო მარაგნაწილები, ავტოტექნიკა და სხვ.

3. აუდიტის მიგნებები
სამხედრო განათლების სისტემის პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებები

3.1 სამოქმედო გეგმის ნაკლოვანებები

2020-2021 წლებში სამხედრო განათლების სისტემის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს შემუშავებული ჰქონდათ სტრატეგიული მიმოხილვისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში არ ხორციელდებოდა შესრულების მდგომარეობის შესახებ ანგარიშების შედგენა. ამასთანავე, სამოქმედო გეგმებში განსაზღვრული მიზნები ზოგად ხასიათს ატარებდა, დეტალურად არ იყო გაწერილი კონკრეტულ წელს მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობები და არ გააჩნდა შეფასების ინდიკატორები. მაგალითად:

ცხრილი N4. ინფორმაცია ლიცეუმისა და აკადემიის სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ

სტრუქტურული ერთეულის დასახელება	ამოცანა	მიზანი	შედეგი	ღონისძიებები	ინდიკატორი
კადეტთა სამხედრო ლიცეუმი	კადეტზე ორიენტირებული სწავლების დანერგვა	კადეტების მიერ პირველადი სამხედრო ცოდნისა და უნარების შეძენა.		ლიცეუმის სამოქმედო და სასწავლო გეგმების შემუშავება; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; სასწავლო მატერიალური ბაზის დახვეწა და გაუმჯობესება; სამხედრო მოსამსახურეთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობა; ფრანგული ენის სწავლების დანერგვა და სხვ.	
		ერთიან ეროვნულ გამოცდებზე კადეტების მიერ მაღალი მაჩვენებლების დაფიქსირება.			
ეროვნული თავდაცვის აკადემია	სამხედრო მომზადების დონის ამაღლება	სამხედრო დისციპლინების შესწავლის ხარისხის გაუმჯობესება.	იუნკერებს გააჩნიათ ცოდნა და უნარი დაგეგმონ ათეულის და ოცეულის დონის ოპერაციები.		აკადემიური საბჭოს დადგენილებები, ფოტომასალა, ჩატარებული ლექციები, მოხსენებითი ბარათები, აღწერის დოკუმენტაცია, ბრძანებები.
		სამხედრო-პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.	იუნკერი იყენებს ინდივიდუალურად და მცირე ზომის ქვედანაყოფის შემადგენლობაში, სამხედრო უნარ-ჩვევებს.		

როგორც ცხრილიდან ჩანს, კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმას არ გააჩნია შეფასების ინდიკატორები, ხოლო ღონისძიებებს აკლია კონკრეტულობა და მასშტაბი, ასევე ამოცანებს და მიზნებს შორის არ არის პირდაპირი კავშირი. ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ამოცანების ინდიკატორები არ არის კონკრეტული და გაზომვადი, დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი კონკრეტული ინფორმაცია, თუ რასთან შეფარდებით უმჯობესდება ხარისხი, ასევე წარმოდგენილი არ არის რაოდენობრივი მაჩვენებლები და საბოლოო შედეგებსა და ინდიკატორებს შორის ურთიერთკავშირი. ამასთანავე, ინდიკატორად განსაზღვრული მაჩვენებლები, როგორიცაა, ჩატარებული ლექციები, ფოტომასალები და სხვ., არ ასახავს დასახული მიზნის მიღწევის დონეს. აღსანიშნავია, რომ საბჭოს დადგენილებები, ბრძანებები, მოხსენებითი ბარათები დასახული მიზნის მისაღწევად, მხოლოდ დამხმარე ხასიათის აქტივობებია.

სამინისტროს მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობებიც ზოგად ხასიათს ატარებს. მაგალითად ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ლიცეუმისა და აკადემიის მიერ განსახორციელებელი აქტივობებისა და მიზნების შესახებ.

ცხრილი N5. ინფორმაცია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროგრამების მიზნების, მოსალოდნელი შუალედური შედეგებისა და ინდიკატორების შესახებ

ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის აღწერა და მიზანი	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ინდიკატორი
დაწყებითი სამხედრო მომზადება	ქვეპროგრამა უზრუნველყოფს კადეტების ზოგად განათლებასა და დაწყებით სამხედრო მომზადებას, კადეტების უზურნველყოფას და მომზადების კურსის შესწავლას.	შესაბამისი განათლებით და საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფილი კადეტები, რომლებიც სწავლას განაგრძობენ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში.	არ ჩამოუვარდება წინა წლის მაჩვენებელს.
სამხედრო განათლება	ოფიცრის საწყისი სამხედრო, შუალედური და აკადემიური უმაღლესი განათლება, სამეცნიერო კვლევების განხორციელება; უცხოური ენების სწავლება; სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინფრასტუქტურის გაუმჯობესება.	უმაღლესი აკადემიური ხარისხის და შესაბამისი სამხედრო განათლების მქონე კვალიფიციური ოფიცერთა კადრები, რომლებსაც ექნებათ სათანადო ცოდნა და უნარ-ჩვევები იმსახურონ საქართველოს თავდაცვის ძალებში.	არ ჩამოუვარდება წინა წლის მაჩვენებელს.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ინდიკატორები ზოგადი ხასიათისაა და არ იძლევა შედეგის გაზომვის საშუალებას, ასევე შესაძლებლობას, დადგინდეს განხორცილებული ღონისძიების სისრულე და გაიზომოს მიღწეული შედეგი.

დასკვნა

სამხედრო განათლების სისტემის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმებში განსაზღვრული მიზნები ზოგად ხასიათს ატარებდა, დეტალურად არ იყო გაწერილი კონკრეტულ წელს მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი

აქტივობები და არ გააჩნდა შეფასების ინდიკატორები. შესაბამისად, აუდიტმა ვერ უზრუნველყო გეგმით დასახული სხვადასხვა მიზნის მისაღწევად განხორციელებული აქტივობების ზუსტი და სრული შეფასება.

3.2 დაწყებითი სამხედრო განათლების მიღების პროცესში არსებული ნაკლოვანებები

დაწყებითი სამხედრო მომზადების პროგრამას ახორციელებს სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი, რომელიც უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას საშუალო საფეხურზე (X, XI, XII კლასები) ეროვნული და ლიცეუმის სასწავლო გეგმის შესაბამისად. ლიცეუმმა ფუნქციონირება დაიწყო 2010 წელს, სასწავლებელი პანსიონური ტიპისაა და კადეტებს საცხოვრებელი პირობებით, სამედიცინო მომსახურებით, კვებით და სასწავლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფს.

ლიცეუმის მიზანია მოსწავლეთა ინტელექტუალური, ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდა, სამხედრო და სამოქალაქო ასპარეზზე სამშობლოს სამსახურისთვის კადეტთა მოსამზადებლად საფუძვლის შექმნა, კადეტის გონებრივი უნარ-ჩვევების და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარება, პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება, კადეტში სამხედრო სამსახურისადმი სიყვარულისა და ოფიცრის პროფესიის დაუფლების სურვილის გაღვივება, რაც მნიშვნელოვანია შემდგომი ეტაპის – **სამხედრო განათლების** მიღების მისწრაფებისთვის.

ლიცეუმში ჩარიცხვა ხორციელდება გამოცდების მეშვეობით (მათემატიკა, ზოგადი უნარები),[29] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალში შესაბამისი სამედიცინო შემოწმების შემდეგ.

კადეტები გარდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამისა, სწავლობენ დამატებით სავალდებულო და არჩევით საგნებს. კერძოდ: დამატებითი სავალდებული საგნებია: დაწყებითი სამხედრო მომზადება, რობოტექნიკა და ელექტრონიკა, საინფორმაციო ტექნოლოგიები; არჩევითი საგნებია: კინოხელოვნება, მესამე უცხო ენა (ფრანგული), კომპიუტერული მეცნიერება; 2021 წლიდან ლიცეუმში დაიწყო საპილოტე საგნის „თავდაცვა და უსაფრთხოება“ სწავლება, რომელიც კვირაში ერთი საათით ტარდება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კადეტებს შესაძლებლობა აქვთ შეისწავლონ არასავალდებულო დამატებითი საგნები: TOEFL, SAT და თურქული ენა, **შესაბამისი სერტიფიკატის მიღების გარეშე.**

ლიცეუმში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობა დგინდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ყოველწლიურად ლიცეუმში მისაღებ კადეტთა რაოდენობა განისაზღვრება თავისუფალი საწოლ- ფონდის გათვალისწინებით, ხოლო სასწავლებელი საშუალოდ წელიწადში 123 მოსწავლეს იღებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ლიცეუმის მიერ ხორციელდება სხვადასხვა სახის აქტივობები პოპულარიზაციის გაზრდის მიზნით, აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ წლების

29 ზოგადი უნარებისა და მათემატიკის ტესტირებაში ერთნაირი შედეგების მქონე კანდიდატებიდან ლიცეუმში ჩაირიცხებიან მოსწავლის წლიური (IX კლასი) შეფასების მიხედვით, საუკეთესო აკადემიური შედეგების მქონე პირები.

განმავლობაში ლიცეუმში სწავლის მსურველთა რაოდენობის ტენდენცია იკლებს. ლიცეუმის პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია პანდემიით და მსოფლიოში არსებული გეოპოლიტიკური ვითარებით, თუმცა კლების მაჩვენებელი პანდემიის წინა პერიოდშიც აღინიშნება.

დიაგრამა N1. ინფორმაცია 2010-2021 წლებში ლიცეუმში სწავლის მსურველთა რაოდენობის შესახებ



შენიშვნა: 2010 წელს ლიცეუმში განხორციელდა 2 კლასის (X და XI კლასები) მოსწავლეების მიღება.

2010-2021 წლებში ლიცეუმში განაცხადი შეიტანა 7,503 მოსწავლემ, საიდანაც ჩაირიცხა 1,644 (22%) და სწავლის სხვადასხვა ეტაპზე ამოირიცხა 626 (38%), ხოლო ლიცეუმი დაამთავრა მხოლოდ 826-მა (50%) მოსწავლემ.[30]

გარდა ლიცეუმში ჩაბარების მსურველთა რაოდენობის კლებისა, ასევე გამოვლინდა დაბალი მაჩვენებელი კადეტთა ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში სწავლის გაგრძელების მიმართულებით.

დიაგრამა N2. ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ჩარიცხულ კადეტთა სტატისტიკა



	2012წ	2013წ	2014წ	2015წ	2016წ	2017წ	2018წ	2019წ	2020წ	2021წ
ლიცეუმი დაამთავრა	78	89	67	84	72	76	67	62	65	87
აკადემიაში ჩაირიცხა	72	72	43	59	45	35	23	28	31	38
%	92%	81%	64%	70%	63%	46%	34%	45%	48%	44%

30 ლიცეუმდამთავრებულ კადეტთა მაჩვენებელი არ მოიცავს 2020-2021 წლებში ჩარიცხულ 192 მოსწავლეს, რომლებიც დღესდღეობით კვლავ სწავლობენ.

აღნიშნულ პრობლემასთან მიმართებით თავდაცვის სამინისტროს 2017-2020 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტად განისაზღვრა ლიცეუმში ჩარიცხული კადეტების სწავლის დასრულებისა და უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში ჩარიცხულთა მაჩვენებლის პროცენტული ზრდა. კერძოდ, ჩარიცხული კადეტების 75%-ს უნდა დაესრულებინა სწავლა, საიდანაც უმაღლეს სასწავლებელში უნდა ჩარიცხულიყო 98%, მათგან **80% – უმაღლეს სამხედრო** სასწავლებელში.[31] აღნიშნული მაჩვენებლები 2019-2022 წლების სამოქმედო გეგმაში დაკორექტირდა და შემდეგნაირად განისაზღრა: ჩარიცხული კადეტების 56%-ს უნდა დაესრულებინა ლიცეუმი, საიდანაც 98%-ს სწავლა უმაღლეს სასაწავლებელში, ხოლო 60%-ს უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში უნდა გაეგრძელებინა.[32]

გამოვლინდა, რომ სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული მიზნები ვერ შესრულდა. ამასთანავე, მიზნის მისაღწევად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. 2017-2020 წლებში ჩარიცხული კადეტებიდან ლიცეუმი დაამთავრა **მხოლოდ 61%-მა, ნაცვლად 75%-ისა,** ხოლო კურსდამთავრებულებიდან **43%-მა, ნაცვლად 80%-ისა,** სწავლა გააგრძელა ეროვნული თავდაცვის აკადემიაში.

ამასთანავე, ანალიტიკური პროცედურებით გამოვლინდა, რომ 2016, 2017, 2018 წლებში[33] ლიცეუმში ჩარიცხული კადეტებიდან მხოლოდ 14% ირიცხება დღეის მდგომარეობით თავდაცვის ძალებში.

დიაგრამა N3. ინფორმაცია კადეტების შესახებ, რომლებმაც დაასრულეს აკადემია და ირიცხებიან თავდაცვის ძალებში



ლიცეუმში გამოვკითხეთ სხვადასხვა კლასის 92 კადეტი (31.5%). შედეგად გამოვლინდა, რომ კადეტების მიერ სწავლის შეწყვეტის მთავარ მიზეზს ლიცეუმში არსებულ შეზღუდვებთან, სამხედრო ცხოვრების წესებთან შეუგუებლობა, სამხედრო სამსახურზე არასწორი წარმოდგენა

31 დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია ან საზღვარგარეთ არსებული უმაღლესი სამხედრო სასწავლებლები.

32 2019-2022 წლების მაჩვენებლის შეფასება ამ ეტაპზე ვერ განხორციელდა, ვინაიდან აღნიშნულ პერიოდში ჩარიცხულ კადეტებს სწავლა ჯერ არ დაუსრულებიათ.

33 წინა წლებში ჩარიცხული კადეტების შესახებ ვერ იქნა მოწოდებული შესაბამისი ინფორმაცია (სახელობითი სიები) ანალიტიკური პროცედურების განსახორციელებლად.

და დაწესებული ბარიერის[34] დაძლევა წარმოადგენს. გარდა აღნიშნულისა, კადეტები აღნიშნავენ, რომ XII კლასში (აბიტურიენტობის დროს) მეცადინეობისთვის გამოყოფილი დრო არასაკმარისია ეროვნულ გამოცდებზე უმაღლესი შედეგის მისაღებად და გრანტის მოსაპოვებლად.

აკადემიაში სწავლის გაგრძელების მსურველთა **(ოფიცრის პროფესიის დაუფლების)** რაოდენობა 2023 წლის იანვრის[35] **მდგომარეობითაც მნიშვნელოვნად დაბალია.** ამასთანავე, მაღალია იმ კადეტთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებსაც არ აქვთ გადაწყვეტილი ლიცეუმის დასრულების შემდგომ რა პროფესიას დაეუფლებიან (იხ. დიაგრამა):

დიაგრამა N4. ინფორმაცია მომავალი პროფესიებისა და ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში სწავლის გაგრძელების მსურველთა შესახებ



როგორც დიაგრამიდან იკვეთება, ლიცეუმში ჩარიცხული კადეტების **63%-ს** არ სურს სწავლის ეროვნული თავდაცვის აკადემიაში გაგრძელება. შესაბამისად, სრულყოფილად არ არის მიღწეული ლიცეუმის მიზანი – „კადეტში სამხედრო სამსახურისადმი სიყვარულისა და ოფიცრის პროფესიის დაუფლების სურვილის გაღვივება“; ამასთანავე, ლიცეუმის წესდებით მკაფიოდ არ არის გაცხადებული მისი მთავარი დანიშნულება – მოამზადოს მოსწავლეები ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში შემდგომი სწავლისთვის და საქართველოს თავდაცვის ძალებში მომავალი კარიერისთვის, რაც რეალურად სამხედრო სკოლის მთავარი დანიშნულება უნდა იყოს, კადეტის მიერ პირველადი სამხედრო ცოდნისა და უნარების შეძენასთან ერთად. აღნიშნული მიზნების არსებობა ვლინდება სხვა ქვეყნის ანალოგიური პრაქტიკების შესწავლის შედეგადაც, მაგალითად, ჩეხეთის სამხედრო ლიცეუმის წესდებაში[36] ნათლადაა გაცხადებული ზემოაღნიშნული მიზნები. შედეგად, კადეტებს ლიცეუმში ჩაბარებისთანავე გათვიცნობიერებული აქვთ მათი მომავალი პროფესია სამხედრო მიმართულებით და ის სირთულეები, რაც თან ახლავს სამხედრო პირად ყოფნას. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნული მიმართულებით იგეგმება შესაბამისი აქტივობები.

34 აკადემიური მოსწრება – სასწავლო პროცესის მოცემულ ეტაპზე მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგების შემაჯამებელი შეფასება საგნობრივი პროგრამებით გათვალისწინებული მოთხოვნებით.

35 აუდიტის ჯგუფის მიერ კადეტთა გამოკითხვა განხორციელდა 2023 წლის იანვარში.

36 https://www.vsmt.cz/soubory-ke-stazeni/

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად, ლიცეუმი კადეტებს ვერ ავალდებულებს სამხედრო მიმართულებით სწავლის გაგრძელებას, გარდა ერთი გამონაკლისისა, რომელიც 2022 წლის დეკემბერში შემუშავდა. კერძოდ, ლიცეუმის დირექტორის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანებით[37] განისაზღვრა არასავალდებულო დამატებითი საგნების **TOEFEL-ის და SAT-ის, თურქული და ფრანგული ენების შემსწავლელ ჯგუფში ჩარიცხვის კრიტერიუმები. სხვადასხვა მოთხოვნებთან ერთად ერთ-ერთ პირობას კადეტის მიერ ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში სწავლის გაგრძელება წარმოადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით კადეტს, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და ლიცეუმს შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, კადეტი, სრული კურსის დაძლევის შემთხვევაში, ვალდებულია სწავლა გააგრძელოს უმაღლეს სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებაში (იგულისხმება როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის სამხედრო სასწავლებელი). აღნიშნულის დარღვევის შემთხვევაში მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია ლიცეუმს აუნაზღაუროს სწავლის მინიმალური ღირებულება, რაც 2 სასწავლო წლის განმავლობაში 3000 ლარს შეადგენს. აღნიშნული ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევები დღეის მდგომარეობით არ დამდგარა, შესაბამისად, ვერ შეფასდა აღნიშნული შეზღუდვა რამდენად უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას.**

გარდა ამისა, ლიცეუმს ოფიციალურად არ აქვს ინფორმაცია კადეტების მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგებისა და შესაბამის უნივერსიტეტებში ჩარიცხვის შესახებ, მასწავლებლები მხოლოდ კადეტთან კომუნიკაციის საშუალებით იღებენ ინფორმაციას მიღებული ქულების შესახებ. **შედეგად, ლიცეუმი ვერ ახდენს (აღნიშნულ) მონაცემთა დამუშავებას და საგნების მიხედვით ნაკლოვანებების იდენტიფიცირებას.**

წლების განმავლობაში, ლიცეუმიდან აკადემიაში სწავლის გაგრძელების მსურველთა რაოდენობის კლება და კადეტების მიერ სხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების მაღალი მაჩვენებლის ერთ-ერთ მიზეზს, სხვა ფაქტორებთან ერთად, შესაძლოა **კადეტებისთვის აკადემიაში ჩასაბარებლად შესაბამისი შეღავათების/სარგებლის არარსებობა წარმოადგენს,** რაც თავისთავად, უარყოფით გავლენას ახდენს დაწყებითი სამხედრო განათლების პროცესის პროდუქტიულობასა და ეფექტიანობაზე, რადგან აღნიშნული კატეგორიის კადეტებზე წლების განმავლობაში გაწეული ხარჯით, სახელმწიფო სრულყოფილად ვერ იღებს იმ სარგებელს, რაც კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მთავარი მიზანია – „ოფიცრის პროფესიის დაუფლების სურვილის გაღვივება“.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აუდიტის განმავლობაში თავდაცვის სამინისტროს მიერ კრწანისში გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ახალი, კიდევ ერთი კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. შესაბამისად, მიზანშეწონილია ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამხედრო ლიცეუმებისა და გაწეული ფინანსური რესურსების ეფექტიანობა.

დასკვნა

დაწყებითი სამხედრო განათლების მიღების პროცესში გამოვლინდა რამდენიმე ძირითადი ნაკლოვანება და გამოწვევა. კერძოდ:

37 N MOD 7 22 00000405 ბრძანება.

- ლიცეუმის წესდებით მკაფიოდ არ არის გაცხადებული მისი მთავარი დანიშნულება – მოამზადოს მოსწავლეები ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში შემდგომი სწავლისთვის და საქართველოს თავდაცვის ძალებში მომავალი კარიერისთვის, რაც რეალურად სამხედრო სკოლის მთავარი დანიშნულება უნდა იყოს, კადეტის მიერ პირველადი სამხედრო ცოდნისა და უნარების შეძენასთან ერთად;[38]
- არსებული ლოჯისტიკური რესურსიდან[39] გამომდინარე, ლიცეუმი ახორციელებს მსურველთა საშუალოდ მხოლოდ 30%-ის მიღებას;
- 2017-2020 წლების ანალიზის შედეგად, ჩარიცხული მოსწავლეებიდან დროის სხვადასხვა ეტაპზე საშუალოდ 40%-მა შეწყვიტა სწავლა და ამოირიცხა ლიცეუმიდან;
- ლიცეუმდამთავრებულ აბიტურიენტთა საშუალოდ 50-60% აგრძელებს სწავლას სხვადასხვა სასწავლებელში და არა ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში. ამასთანავე, 2016, 2017, 2018 წლებში კადეტთა სამხედრო ლიცეუმდამთავრებული 215 კადეტიდან ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ჩაირიცხა 103 (48%). აქედან, აკადემია დაასრულა 59-მა პირმა (57%), მათგან დღეის მდგომარეობით თავდაცვის ძალებში ირიცხება 50 ოფიცერი. აღნიშნული მაჩვენებლები არ არის ეფექტიანი და ვერ უზრუნველყოფს სამინისტროს სამოქმედო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას;[40]
- კადეტებისთვის არ არის შემუშავებული და დანერგილი შესაბამისი შეღავათები/სარგებელი, გააგრძელონ სწავლა სამხედრო მიმართულებით ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში;
- ლიცეუმს ოფიციალურად არ აქვს ინფორმაცია კადეტების მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგებისა და შესაბამის უნივერსიტეტებში ჩარიცხვის შესახებ, რაც მნიშვნელოვანია ლიცეუმში სასწავლო პროცესის ეფექტიანი მართვის ხელშეწყობისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამხედრო ლიცეუმის მიზნები და მისი მიღწევის საშუალებები ვერ უზრუნველყოფს ეფექტიანობის საკმარის წინაპირობებს.

რეკომენდაცია

სამხედრო განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფის, ხარისხის გაუმჯობესებისა და საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი ხარჯის თავიდან აცილების მიზნით:

- მიზანშეწონილია ლიცეუმის წესდებაში მკაფიოდ განისაზღვროს სამხედრო სკოლის მთავარი დანიშნულება – მოამზადოს მოსწავლეები ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში შემდგომი სწავლისთვის და საქართველოს თავდაცვის სისტემაში მომავალი კარიერისთვის.
- მიზანშეწონილია, გამოცდების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით, ლიცეუმს ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს ოფიციალური ინფორმაცია კადეტების მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ, რაც შესაძლებლობას მისცემს, სამომავლოდ ყურადღება გაამახვილოს იმ საგნებზე, რომლებშიც კადეტები შედარებით დაბალ ქულებს იღებენ.
- მიზანშეწონილია ლიცეუმმა განახორციელოს სწავლის სხვადასხვა ეტაპზე კადეტთა სასწავლებლიდან ამორიცხვის მიზეზების მოკვლევა; მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით კი განახორციელოს სისტემატური მუშაობა კადეტებთან, როგორც ლიცეუმში მიღების ეტაპზე, ასევე სწავლის სრული პერიოდის განმავლობაში.

38 პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნული მიმართულებით იგეგმება შესაბამისი აქტივობები.

39 საწოლ-ფონდი.

40 თავდაცვის სამინისტროს 2017-2020 და 2019-2022 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები.

- ლიცეუმის დამთავრების შემდგომ, კადეტების მიერ ეროვნული თავდაცვის აკადემიაში საწყისი სამხედრო განათლების გაგრძელების და სწავლის უწყვეტობის პრინციპის შენარჩუნების მიზნით, მიზანშეწონილია გაგრძელდეს კადეტებისთვის შესაბამისი წამახალისებელი მექანიზმების შემუშავებისა და დანერგვის პროცესი – ეროვნული თავდაცვის აკადემიაში სამხედრო განათლების მისაღებად.

3.3 საწყისი სამხედრო განათლების მიღების პროცესში არსებული ნაკლოვანებები

ეროვნული თავდაცვის აკადემია არის უმაღლესი სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიას წარმოადგენს ქვეყნისა და სამინისტროსათვის ოფიცერთა კორპუსის მომზადება, რომელთაც აქვთ სამხედრო და აკადემიური უმაღლესი განათლება.

აკადემიაში სამხედრო განათლება ინტეგრირებულია აკადემიურ განათლებასთან, რაც მოიცავს ბაკალავრიატის დონეზე ოფიცრის საწყისი სამხედრო და აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურის, ხოლო მაგისტრატურის დონეზე – ოფიცრის შუალედური სამხედრო განათლებისა და აკადემიური უმაღლესი განათლების II საფეხურის ინტეგრაციას.

აკადემიაში მოხვედრა, სხვა უმაღლესი სასწავლებლების მსგავსად, ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, თუმცა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გასვლამდე, აბიტურიენტთა სამხედრო სამსახურში ვარგისიანობის დასადგენად, გამოცდების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით, ხორციელდება შესაბამისი პროცედურები.[41] აკადემიაში მოხვედრა შესაძლებელია მობილობით სხვა უნივერსიტეტიდან, მაგრამ სტუდენტი ირიცხება და სწავლას იწყებს პირველი კურსიდან.

გარდა ამისა, აკადემიაში ფუნქციონირებს უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა, რომელიც ახორციელებს ოფიცერთა საკანდიდატო და **რეზერვის უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსებს, რომელთაგან უკანასკნელი 2023 წლის მაისის მდგომარეობით არ ფუნქციონირებს. მიღება განხორციელდა 2009 წელს**.[42] დღეის მდგომარეობით აღნიშნული კურსის პროგრამა განახლების პროცესშია,[43] შესაბამისად, სწავლებები არ მიმდინარეობს, მიუხედავად იმისა, რომ განახლებული კურსი 2022 წელს უნდა ამოქმედებულიყო. პროგრამის ამოქმედება განსაზღვრულია საქართველოს თავდაცვის კოდექსით.

---

41 სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის შიდა წესი; საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 აგვისტოს N481 ბრძანებულება „სამხედრო-სამედიცინო ექსპერტიზის დებულების დამტკიცების შესახებ“; საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 9 იანვრის N02 ბრძანება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეების ფიზიკური ნორმატივებისა და მათი ჩაბარების წესის შესახებ“.

42 კურსი იყო 4-წლიანი, ჩაირიცხა 49 მსმენელი, მათგან სწავლა წარმატებით დაასრულა მხოლოდ 18-მა.

43 ამ ეტაპზე დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები, შექნილია სხვადასხვა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კურსის გავლას: 3-თვიანს, 5-თვიანს, 2-წლიანს – შაბათ-კვირის ან 4-წლიანს – კვირის დღეებში.

აკადემია დღეის მდგომარეობით სწავლებებს ახორციელებს შემდეგი მიმართულებებით:[44]



საბაკალავრო პროგრამებსა და საკანდიდატო კურსზე ჩარიცხვის შემთხვევაში იუნკერი/მსმენელი თავდაცვის სამინისტროსთან აფორმებს კონტრაქტს.[45] კონტრაქტის ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში ჯარიმა განისაზღვრება სხვადასხვა ოდენობით.[46]

სწავლის დასრულების შემდეგ ენიჭებათ ოფიცრის პირველადი სამხედრო წოდება – ლეიტენანტი, ხოლო იუნკერებს – ასევე ბაკალავრის ხარისხი შესაბამის სპეციალობაში.

ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა სრულად ფინანსდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ[47] და სწავლის შემდგომ დასაქმებას უზრუნველყოფს სამინისტრო. **აკადემიის იუნკერებს** აქვთ ყოველთვიური სტიპენდია[48] 200-დან 500 ლარამდე. 2024 წლიდან, პირველიდან მესამე კურსის ჩათვლით, სტიპენდია 320 ლარის ოდენობით, ხოლო მეოთხე კურსელებისთვის – 1,530 ლარის ოდენობით განისაზღვრა. **საკანდიდატო კურსის მსმენელებს,** სამხედრო მოსამსახურეების შემთხვევაში, სწავლის

44 სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის (ახორციელებს საკანდიდატო კურსს) დებულებები.

45 იუნკერის შემთხვევაში 10 წლის ვადით, რაც ითვალისწინებს 4-წლიან სწავლებასა და 6-წლიან სამხედრო საკონტრაქტო სამსახურს, ხოლო საკანდიდატო კურსის მსმენელებზე – სამხედრო პირის შემთხვევაში 5-წლიანი კონტრაქტი, რომელიც აითვლება პირად შემადგენლობაში ჩარიცხვის დღიდან, ხოლო სამოქალაქო პირების შეთხვევაში 7 წელი, რაც მოიცავს მსმენელად ყოფნის პერიოდისა (ერთი წელი) და კურსის დასრულების შემდეგ ოფიცრად 6 კალენდარული წლის ვადით სამხედრო სამსახურის ჯამს.

46 საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 25 ივნისის N389 ბრძანება. I კურსზე – 1500 ლარი; II კურსზე – 2500 ლარი; III კურსზე – 4000 ლარი; IV კურსზე – 5000 ლარი. საკანდიდატო კურსის მსენელთათვის სამხედრო მოსამსახურეების შემთხვევაში ითვალისწინებს ჯარიმას 5,000 ლარის ოდენობით, სამოქალაქო პირების შემთხვევაში კი, მსმენელად ყოფნის პერიოდში – 1,500 ლარის, ხოლო კურსის დასრულების შემდეგ სამხედრო სამსახურის პერიოდში – 5,000 ლარის ოდენობით.

47 იუნკერის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგების საფუძველზე, გრანტის მოპოვების შემთხვევაში დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რაც წარმოადგენს თავდაცვის აკადემიის საკუთარ შემოსავალს.

48 საქართველოს თავდაცვის მინისტრის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კრიტერიუმებისა და ოდენობის შესაბამისად.

პერიოდში უნარჩუნდებათ კუთვნილი ანაზღაურება, ხოლო სამოქალაქო პირები იღებენ ფულად სარგოს 950 ლარის ოდენობით.

თავდაცვის ძალების ოფიცრებით შევსების ერთადერთ წყაროს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში არსებული **საბაკალავრო პროგრამებისა და ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსდამთავრებულები** წარმოადგენენ.

საქართველოს თავდაცვის ძალებში არსებული ოფიცერთა ვაკანსიების და დათხოვნისა/დაწინაურების საპროგნოზო მონაცემებიდან გამომდინარე, 2020-2021 წლებში თავდაცვის ძალების დაკომპლექტებისათვის ყოველწლიურად საჭირო იყო 220 ოფიცრის მიღება,[49] **თუმცა ანალიტიკური პროცედურების შედეგად გამოვლინდა, რომ აკადემია სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს თავდაცვის ძალების ოფიცრებით დაკომპლექტებას საჭიროების შესაბამისად.** ზემოაღნიშნულის მიზეზია შემდეგი გარემოებები: საბაკალავრო და საკანდიდატო კურსზე ერთობლივად წლის განმავლობაში არსებული კვოტები[50] ნაკლებია შევსების საჭირო რაოდენობასთან მიმართებით, განსაზღვრული კვოტები ვერ ივსება სრულად, ჩარიცხული იუნკერების საშუალოდ მხოლოდ 57%[51] და მსმენელების 67%[52] ამთავრებს სასწავლებელს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულთა ნაწილი საკარიერო სწავლას საჯარისო ცენტრში აღარ აგრძელებს, ნაწილი კი რამდენიმე წლის შემდეგ, კონტრაქტის დასრულებამდე ტოვებს თავდაცვის ძალების შემადგენლობას.

2020-2022 წლებში საბაკალავრო და საკანდიდატო კურსდამთავრებულთა მხოლოდ 73% ირიცხება დღეის მდგომარეობით თავდაცვის ძალების შემადგენლობაში, კერძოდ:

დიაგრამა N5. ინფორმაცია 2020-2022 წლებში აკადემიის კურსდამთავრებულთა შესახებ

49 საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის J-1 პერსონალის დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 28 ოქტომბრის N MOD 5 21 01117396 წერილი.

50 კვოტა 2018 წელს: საბაკალავრო – 156, საკანდიდატო – 50; 2019 წელს – 156 და 45; 2020 წელს – 160 და 60; 2021 წელს – 136 და 50.

51 2020-2022 წლების კურსდამთავრებული იუნკერების რაოდენობის შეფარდება ჩარიცხულ იუნკერთა რაოდენობასთან.

52 2016-2023 წლების კურსდამთავრებულ მსმენელთა შეფარდება ჩარიცხულ მსმენელთა რაოდენობასთან.

2017-2022 წლებში აკადემიიდან საერთო საჯარისო ცენტრში სულ ჩაირიცხა 528 სამხედრო მოსამსახურე, საიდანაც თავდაცვის ძალებში დღეის მდგომარეობით ირიცხება 427 პირი (81%).

სამინისტროს განმარტებით, აკადემიის მიერ განსაზღვრული ყოველწლიური კვოტის სრულად ვერშევსება და იუნკერთა მიერ სწავლის სხვადასხვა ეტაპზე შეწყვეტა, გამოწვეულია აპლიკანტთა გარკვეული რაოდენობის მიერ დაწესებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების[53] ვერდაძლევით და იუნკერთა მიერ სამხედრო ცხოვრების წესებთან შეუგუებლობით.

თავდაცვის ძალების ოფიცრებით შევსებაზე უარყოფით გავლენას ახდენს რეზერვის უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსის შეჩერება, რომელზეც 2009 წელს ჩაირიცხა 49 პირი, საიდანაც სწავლა დაასრულა 18-მა. ამ ეტაპზე დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები, შექმნილია სხვადასხვა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კურსის გავლას: 3 თვის, 5 თვის, 2 წლის განმავლობაში შაბათ-კვირას ან 4 წლის განმავლობაში, კვირა დღეს. პროგრამა უნდა ამოქმედებულიყო 2022 წლის სექტემბერში, თუმცა 2023 წლის მაისის მდგომარეობით აღნიშნულ კურსზე სწავლებები არ მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ საუკეთესო პრაქტიკით, ოფიცერთა დიდ ნაწილს სწორედ აღნიშნული კატეგორიის კურსდამთავრებულები წარმოადგენენ. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ოფიცერთა უმრავლეს ნაწილს შეადგენენ რეზერვის ოფიცერთა მომზადების კორპუსის კურსდამთავრებულები (ROTC).[54] კურსზე ირიცხებიან 17-დან 31 წლამდე ასაკის აშშ-ის მოქალაქეები (საშუალო სკოლის მინიმუმ 2,5 GPA-თი[55]).[56]

საქართველოს თავდაცვის კოდექსით განისაზღვრა რეზერვის უმცროს ოფიცერთა მომზადების პროგრამა, რომლის დროული ამოქმედება მნიშვნელოვანია, რადგან წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის ძალების ოფიცრებით დაკომპლექტების ერთ-ერთ წყაროს.

საბაკალავრო პროგრამები

2016-2019 წლებში ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში საბაკალავრო კურსზე სულ ჩაირიცხა[57] 430 აბიტურიენტი, საიდანაც სწავლა შეწყვიტა 186-მა (43%) მსმენელმა.

---

53 ერთიანი ეროვნული გამოცდები, სამედიცინო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური შემოწმება და საწყისი საბრძოლო მომზადების პროგრამა (BCT).

54 https://catalog.vmi.edu/content.php?catoid=32&navoid=1188

55 GPA – (Grade Point Average) ნიშნების საშუალო მაჩვენებელი.

56 2021 წლის მონაცემებით, აშშ-ში 1,700-ზე მეტ კოლეჯსა და უნივერსიტეტს აქვს უმცროსი რეზერვის ოფიცერთა მომზადების პროგრამები. აშშ-ის მოქმედი კანონმდებლობით არსებობს სამი ტიპის პროგრამა სამხედრო უნივერსიტეტებში, სამოქალაქო კოლეჯებსა და სამხედრო სკოლებში. მთავარი განსხვავება უმაღლეს სამხედრო კოლეჯებსა და სამოქალაქო კოლეჯებს შორის არის ის, რომ ფედერალური კანონის თანახმად, სამხედრო უნივერსიტეტში ROTC-ის პროგრამის დასრულების შემდეგ, სავალდებულოა აქტიური მოვალეობის შესრულება თავდაცვის ძალებში. არმიის რეზერვის ოფიცერთა კურსი აშშ-ში უზრუნველყოფს არმიის ოფიცერთა კორპუსის უმრავლესობას (75%). დანარჩენი მოდის აშშ-ის სამხედრო აკადემიიდან WEST POINT და ოფიცრის საკანდიდატო სკოლიდან (OCS). https://www.usnews.com/education/best-colleges/what-rotc-programs-are-and-how-they-work; https://blog.prepscholar.com/rotc-program-scholarships; https://www.stetson.edu/artsci/army-rotc/.

57 მონაცემები მოიცავს, როგორც ეროვნული გამოცდების მეშვეობით, ასევე მობილობით გადმოსულ და სტატუსაღდგენილ პირებს.

დიაგრამა N6. ინფორმაცია 2016-2019 წლებში ბაკალავრზე ჩარიცხულ იუნკერთა რაოდენობების შესახებ (დასრულების წლების მიხედვით)



სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელი შეინიშნება ასევე იმ სასწავლო წლებთან მიმართებითაც, რომლებიც დღეის მდგომარეობით მიმდინარეა, კერძოდ:

ცხრილი N6. ინფორმაცია 2020-2022 წლებში აკადემიაში ჩარიცხული იუნკერების შესახებ

სტატუსი	2020-2024	2021-2025	2022-2026
სწავლა დაიწყო	135	121	102
აქტიური იუნკერი	73	81	93
პროცენტული მაჩვენებელი	54%	67%	91%

შენიშვნა: მონაცემები დათვლილია 2023 წლის მაისის მონაცემებით

საქართველოში არსებული მექანიკის ინჟინერიის სპეციალობის პირების კლებადი დინამიკის გამო, ზარალდება როგორც თავდაცვის სამინისტროს სისტემა, ისე ზოგადად შრომის ბაზარი. სპეციალობაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა მთელი საქართველოს მასშტაბით 2022-2023 წლებში 1,102 სტუდენტს შეადგენს, ხოლო 2022-2023 წლის კურსდამთავრებულთა რიცხვი – 470-ს.[58]

2019 წელს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში აკრედიტაცია მიიღო საბაკალავრო პროგრამამ – „მექანიკის ინჟინერია“, რომელზეც მიღება 2021 წლამდე არ განხორციელებულა. პროგრამის შექმნის მთავარ მიზანს წარმოადგენდა თავდაცვის ძალებში საინჟინრო სპეციალისტების ნაკლებობობიდან გამომდინარე, ლოჯისტიკის, საჰაერო თავდაცვის, საინჟინრო, ავიაციის და სხვა გვარეობებში მომზადება.

პროგრამისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით აკადემიისა და სამინისტროს მიერ განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები, რაზეც ჯამურად დაიხარჯა 376,964 ლარი.

58 https://www.geostat.ge/ka/modules/categories/61/umaghlesi-ganatleba

თავდაცვის აკადემია, საბაკალავრო პროგრამების პოპულარიზაციას ახორციელებს ვებგვერდის, სოციალური ქსელის და საინფორმაციო კამპანიების მეშვეობით. საინფორმაციო კამპანია ამ ეტაპისთვის ხორციელდება შიდა ქართლის რეგიონში არსებულ სკოლებში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამაზე 2021-2022 წლებში სულ ჩარიცხულია **მხოლოდ 19 იუნკერი,** მათგან დღეის მდგომარეობით სტატუსი – აქტიური აქვს 15-ს.

თავდაცვის სამინისტროსთვის მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის მნიშვნელობის მიუხედავად, პროგრამაზე ჩართულობის მაჩვენებელი დაბალია, რის მიზეზსაც ქვეყანაში აღნიშნული სპეციალობის დაუფლების მსურველთა კლებად დინამიკასთან ერთად, აკადემიის მიერ ქვეყნის მასშტაბით არსებულ სკოლებში არასაკმარისი საინფორმაციო კამპანიაა.

ოფიცერთა საკანდიდატო პროგრამა

ოფიცერთა საკანდიდატო კურსზე 2016-2022 წლებში სულ ჩაირიცხა 467 პირი, საიდანაც კურსი დაასრულა 307-მა, მათ შორის: 83% – სამხედრო მოსამსახურე, ხოლო 17% სამოქალაქო პირია.

დიაგრამა N7. ინფორმაცია 2016-2022 წლებში ოფიცერთა საკანდიდატო კურსზე ჩარიცხულ სამხედრო მოსამსახურეებსა და სამოქალაქო პირების შესახებ



2018-2022 წლებში საკანდიდატო კურსზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობამ შეადგინა 327 პირი, საიდანაც 74 ვერ ჩაირიცხა კურსზე,[59] მათ შორის არიან მოქმედი სამხედრო[60] მოსამსახურეებიც.

59 მათ შორის, 50 სამხედრო წოდების მქონე (რიგითი, პირველი კლასის რიგითი, კაპრალი) და 24 სამოქალაქო პირი.

60 ვერ გაიარა ფიზიკური ტესტი 28 სამხედრო მოსამსახურემ, ფსიქოლოგიური შერჩევა – 7-მა, სამედიცინო შემოწმება – 2-მა, ზოგადი უნარების ტესტირება – 6-მა, შეიცვალა აზრი კურსზე ჩაბარებაზე 5-მა, სამართალდარღვევა ჩაიდინა 2-მა.

საბაკალავრო და საკანდიდატო კურსის დასრულების შემდგომ იუნკერების/მსმენელების სპეციალობების მიხედვით გადანაწილება

საბაკალავრო ან საკანდიდატო კურსის დასრულების შემდგომ იუნკერები/მსმენელები სწავლას აგრძელებენ სპეციალობების მიხედვით (ქვეითი, საინჟინრო, სატანკო და სხვ.) წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის საერთო საჯარისო ცენტრში. აღნიშნული პროცესი არ არის დარეგულირებული შესაბამისი ნორმატიული აქტით. პასუხისმგებელი პირების განმარტებით:

სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრში[61] არსებული ვაკანსიებისა და კურსდამთავრებულთა რაოდენობის გათვალისწინებით, სპეციალობების მიხედვით იქმნება რაოდენობრივი რეესტრი. გამოცდების დასრულების შემდეგ იგეგმება კურსდამთავრებულებთან შეხვედრა სპეციალობების მიხედვით, საერთო საჯარისო ცენტრში განაწილების მიზნით. გამოცდების შედეგებით რეიტინგში პირველ ადგილზე მყოფი პირველად ირჩევს სპეციალობას, შემდეგ რეიტინგში მეორე ადგილზე მყოფი და ა.შ. თითოეულ კურსდამთავრებულთან გასაუბრებით ხორციელდება სპეციალობებზე განაწილება შესაძლებლობების ფარგლებში, მათი სურვილის გათვალისწინებით. კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შემდეგ, სპეციალობების მიხედვით შექმნილი სახელობითი სია აკადემიის მიერ ეგზავნება წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობას. აღნიშნული პრინციპით კურსდამთავრებულთა სააღრიცხვო სპეციალობებზე განაწილების შედეგად, შესაძლებელია ვერ იქნეს სრულად გათვალისწინებული იუნკერთა/მსმენელთა ინტერესები მომავალი სპეციალობების მიმართ. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ მსმენელს/იუნკერს არ ექნება მაღალი სარეიტინგო ქულა, ის შესაძლოა ვერ მოხვდეს სასურველ სააღრიცხვო სპეციალობაზე და სამხედრო კარიერას გააგრძელებს იმ სპეციალობით, რაც შესაძლოა მისთვის უინტერესო და არასასურველი იყოს. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული გამოკითხვებიც, რომლის მიხედვითაც გამოკითხულთა დიდი ნაწილი მიუთითებს, რომ სამხედრო მიმართულებით კარიერის გაგრძელების მოტივაციაზე უარყოფით გავლენას მოახდენს საერთო საჯარისო ცენტრში არასასურველ სააღრიცხვო სპეციალობებზე მათი გადანაწილება (იხ დიაგრამა):

დიაგრამა N8. იუნკერების/მსენელების არასასურველ სააღრიცხვო სპეციალობაზე გადანაწილების შემთხვევაში, გავლენა სამხედრო კარიერის გაგრძელების მოტივაციაზე



61 (J-1 პერსონალის დეპარტამენტთან და სარდლობებთან კონსულტაციებით).

გარდა ამისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გამოკითხულ **პირველკურსელთა 35%-ს** (გარდა ყოფილი კადეტებისა),[62] არ აქვს ინფორმაცია საერთო საჯარისო ცენტრისა და სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობების შესახებ, რაც მიუთითებს არასრულყოფილ საინფორმაციო კამპანიაზე, განსხვავებით კადეტებისგან, რომელთაც პრეზენტაციების საშუალებით აცნობენ როგორც აკადემიის, ასევე საერთო საჯარისო ცენტრში არსებული პროგრამებისა და სააღრიცხვო სპეციალობების შესახებ.

სამაგისტრო პროგრამები

ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში დღეის მდგომარეობით სამი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაა ხელმისაწვდომი: თავდაცვის ანალიზის, უსაფრთხოების კვლევებისა და სახელმწიფო რესურსების მართვის.

თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამა

თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამა, სამხედრო განათლების სისტემის უმაღლესი აკადემიური საფეხურია, რომლის მიზანს წარმოადგენს კვალიფიციური სამხედრო და სამოქალაქო კადრების მომზადება თავდაცვის ანალიზის სპეციალიზაციით:

- კურსდამთავრებულებს უნდა შეეძლოთ უპასუხონ საქართველოს თავდაცვის სფეროში არსებულ გამოწვევებს.
- მონაწილეობა მიიღონ სამხედრო პოლიტიკისა და თავდაცვითი სტრატეგიის დახვეწასა და შესაბამისი სახით განხორციელებაში.
- გამოიყენონ მიღებული განათლება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად.

პროგრამაზე ჩაბარება შეუძლიათ თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეებს (მაიორი – პოლკოვნიკი), სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირად შემადგენლობას, ასევე უსაფრთხოების სექტორის მოქმედ თანამშრომლებს. ჩასარიცხი სამხედრო და სამოქალაქო პირების კვოტა 2022 წლამდე იყო 15, ხოლო დღეის მდგომარეობით – 30.[63]

აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების შემთხვევაში, სამხედრო პირებისთვის (მაიორი, ვიცე-პოლკოვნიკი) იმავდროულად სავალდებულოა სამეთაურო-საშტაბო პროგრამის[64]

---

62 გამოკითხული 31 სტუდენტიდან, 11-ს არ ჰქონდა ინფორმაცია.

63 2022 წლამდე კვოტები შემდეგნაირად ნაწილდებოდა: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო ოფიცრები – 8 სამხედრო მოსამსახურე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს და საქართველოს სხვა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს უწყებების წარმომადგენელი – 7 სამოქალაქო ან სპეციალური წოდების მქონე პირი. 2022 წლიდან თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეები – 20, სპეციალური წოდების მოსამსახურეები და სამოქალაქო პირები – 5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს – 3, ხოლო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის – 2 თანამშრომელი.

64 წვრთნებისა და განათლების სარდლობის ერთეულში – სამეთაურო საშტაბო კოლეჯში, რომელიც 2021 წლამდე აკადემიის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენდა.

(CGSC)[65] გავლა, რომელიც წარმოადგენს **სამხედრო განათლების შუალედურ საფეხურს,** თუმცა იგივე არ მოეთხოვებათ დანარჩენ პირებს. სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდგომ სამხედრო მოსამსახურეები და ის პირები, რომლებიც დაძლევენ სამეთაურო საშტაბო პროგრამას **(CGSC)**, იღებენ 2 სახის დიპლომს, როგორც სამხედროს, ასევე სამოქალაქოს.[66]

თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამამ ფუნქციონირება დაიწყო 2016 წლიდან. 2016-2022 წლებში სამაგისტრო პროგრამაზე ჩაირიცხა სულ 41 პირი, რაც დაბალი მაჩვენებელია, კერძოდ:

ცხრილი N7. ინფორმაცია 2016-2022 წლებში თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა რაოდენობებისა და სტატუსების შესახებ

სტატუსი	2016-2018	2017-2019	2018-2020	2019-2021	2020-2022	2021-2023	სულ:	სულ %
ჩააბარა	3	11	10	8	2	7	41	73%
დაასრულა	-	11	4	6	3	6	30	
თავდაცვის სამინისტრო და მისი სტრუქტურული ერთეულები სამხედრო – 33 სამოქალაქო – 6				**შინაგან საქმეთა სამინისტრო** – სამოქალაქო – 1 **უსაფრთხოების სამსახური** – სამოქალაქო – 1				

როგორც ცხრილიდან იკვეთება:

- სამაგისტრო პროგრამაზე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაზე გამოყოფილია კვოტა (15), რაც 2022 წელს 30-მდე გაიზარდა, თუმცა კვოტების სრულად ათვისება არცერთ წელს არ მომხდარა. მაგალითად, 2022 წელს პროგრამაზე მხოლოდ 3 პირი ჩაირიცხა.
- 2016-2021 წლებში სამაგისტრო პროგრამაზე სულ ჩააბარა 41-მა პირმა, საიდანაც დღეის მდგომარეობით სამაგისტრო პროგრამა დაასრულა მხოლოდ 30-მა[67] (73%), სწავლა შეწყვიტა 2-მა, ხოლო სტატუსი შეუჩერდა 15-ს, საიდანაც სტატუსი აღიდგინა მხოლოდ 6-მა (40%).

პროგრამაში მაგისტრანტთა დაბალი ჩართულობისა და შეწყვეტის/შეჩერების მაჩვენებელი შესაძლოა გამოწვეული იყოს შემდეგი ფაქტორებით:

- აღნიშნული პროგრამა მიმდინარეობს მხოლოდ თბილისში, მაშინ როდესაც თავდაცვის ძალების ქვედანაყოფები და შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეები მოვალეობას

65 (CGSC) მიზანია საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის მოამზადოს სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც თავიანთი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით მზად იქნებიან ქვეყნისა და თავდაცვის ძალების წინაშე არსებული გამოწვევების შესაბამისად, დაგეგმონ და აღასრულონ ოპერაციები ნებისმიერ გარემოსა და პირობებში. კურსის ფარგლებში მსმენელები გადიან შემდეგ დისციპლინებს: ლიდერობა და მენეჯმენტი, საბრძოლო ოპერაციების საფუძვლები, ბატალიონისა და ბრიგადის ოპერაციები, სამხედრო კამპანიების დაგეგმვა და აღსრულება, სტაბილურობის შენარჩუნება და სამოქალაქო მხარდაჭერის ოპერაციები, თავდაცვის დაგეგმარება და პროგრამული მენეჯმენტი, ომის თეორია და სამხედრო ხელოვნების ისტორია.

66 თავდაცვის ანალიზის მაგისტრატურის პროგრამაზე მინიმალური ზღვარი გამოცდებში წარმოადგენს 71 ქულას, სამხედრო მოსამსახურეებისთვის, ხოლო სხვა დანარჩენი მსმენელებისთვის – 51 ქულას. პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ სამეთაურო საშტაბო პროგრამა (CGSC) ინტეგრირებულია თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამაში და იმ შემთხვევაში, თუ სხვა მსმენელებიც მიიღებენ/გადალახავენ 71-ქულიან ბარიერს, ისინიც მიიღებენ დიპლომს სამხედრო მიმართულებით.

67 2021 წელს ჩარიცხული 7 მსმენელიდან, დღეის მდგომარეობით – 6 აგრძელებს სწავლას.

ასრულებენ ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა რეგიონში, ხოლო პროგრამა არ მოიცავს ონლაინგაკვეთილებს.

- თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს შუალედური სამხედრო განათლების სამეთაურო საშტაბო კურსს (CGSC). პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან გამომდინარე, სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც დამოუკიდებლად გავლილი აქვთ აღნიშნული (CGSC) კურსი, არ აქვთ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული კურსი დამოუკიდებლად 2017-2022 წლებში გავლილი აქვს 340 სამხედრო მოსამსახურეს. **სამინისტროს განმარტებით,** მიმდინარეობს მუშაობა თავდაცვის ანალიზის პროგრამის სამეთაურო-საშტაბო პროგრამიდან გამოყოფის შესახებ[68]. შედეგად, სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც დამოუკიდებლად გავლილი ექნებათ (CGSC) კურსი, შეეძლებათ ჩაირიცხონ თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამაზე.
- მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე გათვალისწინებულია კვოტები შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უსაფრთხოების სამსახურისთვისაც, წლების განმავლობაში შესაბამისი უწყებებიდან, ასევე დაბალია ჩართულობის მაჩვენებელი. კერძოდ: 2016-2022 წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროდან და უსაფრთხოების სამსახურიდან სამაგისტრო პროგრამაზე ჩაირიცხა მხოლოდ 2 პირი, რაც ვერ ჩაითვლება ეფექტიან მაჩვენებლად.

სახელმწიფო რესურსების მართვის და უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამები

ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფისა და კონსტიტუციური სტაბილურობის შენარჩუნებისთვის, უსაფრთხოების ორგანოების **პროფესიული კადრების ფორმირებისთვის, 2021 წლიდან აკადემიაში აკრედიტაცია მიიღო სახელმწიფო რესურსების მართვის და უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამებმა.**[69]

პროგრამების შექმნის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენდა თავდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ უწყებებში კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. გამომდინარე იქიდან, რომ უსაფრთხოების ორგანოების საქმიანობა ატარებს ფარულ, კონფიდენციალურ ხასიათს, ერთ-ერთი მთავარი საკითხია საიდუმლოების დაცვის, დემოკრატიული ზედამხედველობისა და ანგარიშვალდებულებების მოთხოვნების ოპტიმიზაცია. შესაბამისად, პროგრამის შექმნის მიზანია პროფესიონალი კადრების მომზადება, რომლებსაც ექნებათ პროფესიული უნარ-ჩვევები სახელმწიფო რესურსების მართვისა და უსაფრთხოების კვლევების მიმართულებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უწყებათა კოორდინირებული მუშაობით შეეძლებათ უზრუნველყონ მოსალოდნელი კრიზისების პროგნოზირება და თავიდან აცილება.

68 „სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ“ თავდაცვის მინისტრის 2024 წლის 19 თებერვლის NMOD 4 24 0000158 ბრძანება.

69 2021 წლის 7 ივლისსა და 18 აგვისტოს მოიპოვა აკრეტიდაცია, პროგრამები ხორციელდებოდა საპილოტე რეჟიმში, 1-წლიანი ანგარიშის პირობით.

ორივე სამაგისტრო პროგრამა სასწავლო დისციპლინებისა და მეთოდების მიხედვით წარმოადგენს სამოქალაქო საგანმანათლებლო პროგრამებს და არ მოიცავს სამხედრო კომპონენტს. მიუხედავად ამისა, სწავლა სრულიად უფასოა, როგორც თავდაცვის სამინისტროს, ასევე ნორმატიული აქტით განსაზღვრული სხვა უწყებების თანამშრომლებისთვის (სამოქალაქო პირებისთვის).

2022 წლამდე აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამებზე დაიშვებოდნენ:[70] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის ოფიცრები კაპიტნის წოდებიდან[71] და სხვა სამოქალაქო მოსამსახურეები.[72]

მინისტრის 2022 წლის 8 ივნისის ბრძანებით,[73] **უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამაზე** სწავლის გაგრძელება შესაძლებელი გახდა თავდაცვის სამინისტროს სისტემის ოფიცერი – ლეიტენანტის წოდებიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და დაზვერვის სამსახურის თანამშრომლებისთვის, ხოლო **სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამაზე** დამატებით – საგარეო საქმეთა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, ფინანსთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების თანამშრომლებისთვის, თუმცა არ არის მითითებული კონკრეტული თანამდებობები.

2021 წელს მისაღებ პირთა კვოტა თითოეულ სამაგისტრო პროგრამაზე შეადგენდა 15-ს,[74] ხოლო 2022 წლიდან გაიზარდა 30-მდე.[75]

---

70 თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 9 სექტემბრის N MOD 521 00000800 ბრძანება.

71 კაპიტანი, მაიორი, ვიცე-პოლკოვნიკი და პოლკოვნიკი, როგორც სამხედრო ასევე სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეები.

72 რომელთაც თავდაცვის სამინისტროში უკავიათ განყოფილების უფროსი ოფიცრის (სპეციალისტის), განყოფილების უფროსის ან მასზე მაღალი თანამდებობა; ასევე სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლები, საქართველოს სხვა სამინისტროების, საქართველოს პარლამენტის, სახელწიფო უშიშროების საბჭოს და სხვა სამოქალაქო უწყებების წარმომადგენლები, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.

73 N MOD 122 00000463 ბრძანება.

74 რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამაზე კვოტები შემდეგნაირად ნაწილდებოდა: თავდაცვის ძალების ოფიცრები – 5, თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე – 2; შსს, სუს, დაზვერვის სამსახურის სამოქალაქო ან სპეციალური წოდების მქონე – 2; ფინანსთა, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის და ჯანდაცვის სამინისტრო – 1; საგარეო საქმეთა სამინისტროდან, საქართველოს პარლამენტიდან, ადგილობრივი ხელისუფლებიდან, სახელმწიფო უშიშროების საბჭოდან და სამოქალაქო საზოგადოებიდან თითო-თითო წარმომადგენელი, ხოლო უსაფრთხოების კვლევებზე კვოტები განაწილებული არ ყოფილა.

75 რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამაზე კვოტები შემდეგნაირად ნაწილდებოდა: თავდაცვის ძალების ოფიცრები – 20, თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე – 2; შსს-ს, სუს-ის, დაზვერვის სამსახურის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ფინანსთა, ეკონომიკის, ჯანდაცვის სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს – თითო-თითო წარმომადგენელი, ხოლო უსაფრთხოების კვლევებზე კვოტები განაწილებულია შემდეგნაირად: თავდაცვის ძალების ოფიცრები – 20, თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე – 5; შსს-ს – 3, სუს-ის -1, დაზვერვის სამსახურის წარმომადგენელი -1.

ცხრილი N8. ინფორმაცია 2021-2022 წლებში რესურსების მართვისა და უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ უწყებების მიხედვით

უწყება	რესურსების მართვა				უსაფრთხოების კვლევები			
	2021		2022		2021		2022	
	კვოტა 15		კვოტა 30		კვოტა 15		კვოტა 30	
	ჩაბარა	შეწყვიტა/ შეუჩერდა	ჩაბარა	შეწყვიტა/ შეუჩერდა	ჩაბარა	შეწყვიტა/ შეუჩერდა	ჩაბარა	შეწყვიტა/ შეუჩერდა
თავდაცვის სამინისტრო სულ:	7	2	23	6	4	-	4	1
სამხედრო	6	2	20	6	4	-	4	1
სამოქალაქო	1	-	3	-	-	-	-	-
სხვა საჯარო უწყებები სულ:	2	-	8	1	4	-	9	1
წოდების მქონე	2	-	7	1	2	-	6	1
სამოქალაქო	-	-	1	-	2	-	3	-
სულ:	9	2	31	7	8	-	13	2

აუდიტის შედეგად რესურსების მართვისა და სახელმწიფო უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამებთან მიმართებით გამოვლინდა სხვადასხვა სახის ნაკლოვანებები და გამოწვევები, კერძოდ:

- მიუხედავად იმისა, რომ სამაგისტრო პროგრამებზე გამოცხადებული კვოტები გადანაწილებული იყო 2021 წელს – 12, ხოლო 2022 წელს 9 სახელმწიფო უწყებაზე, როგორც ცხრილიდან ჩანს, ჩართულობა დაბალია, კვოტა კი მხოლოდ ერთ სამაგისტრო პროგრამაზეა შევსებული.
- 2022 წლამდე იუნკერებს საბაკალავრო პროგრამების დასრულების შემდგომ არ შეეძლოთ სწავლის გაგრძელება აკადემიის სამოქალაქო სამაგისტრო პროგრამებზე, ვინაიდან არ არსებობდა აკრედიტებული სამაგისტრო პროგრამა ლეიტენანტებისთვის, რადგან არსებულ სამაგისტრო პროგრამებზე მოხვედრა შესაძლებელი იყო კაპიტნის წოდებიდან.
- გამომდინარე იქიდან, რომ ბრძანებით არ არის დარეგულირებული სხვადასხვა სამინისტროდან პროგრამაზე ჩასარიცხ პირთა თანამდებობრივი მდგომარეობა და გამოცდილება, შედეგად, სამაგისტრო პროგრამებზე 2022 წელს ჩარიცხული არიან სხვადასხვა სამინისტროს ის თანამშრომლები, რომლებიც თავიანთი სამსახურებრივი უფლებამოსილებით, ვერ შეძლებენ უზრუნველყონ სამაგისტრო პროგრამის შექმნის მთავარი მიზანი – **კოორდინირებული მუშაობით უზრუნველყონ მოსალოდნელი კრიზისების პროგნოზირება და თავიდან აცილება, შესაბამისად, მათზე გაწეული ხარჯი და მიღებული სარგებელი (უწყებების პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტება) ვერ ჩაითვლება პროდუქტიულად პროგრამის შექმნის მიზანთან მიმართებით.**

თავდაცვის მინისტრის ბრძანებით[76] 2020 წლიდან, გარდა სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ-ებისა, სამხედრო მოსამსახურეებს და მათ ოჯახის წევრებს (მეუღლე, შვილი) სწავლა ნაწილობრივ უფინანსდებათ საქართველოში არსებულ სხვა აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო

76 თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 3 სექტემბრის N MOD 5 20 00000649 ბრძანება.

პროგრამებზე. დაფინანსება ხორციელდება არაუმეტეს 1,125 ლარის ოდენობით, რომელიც ნაწილდება სემესტრულად, წელიწადში ორჯერ. **გარდა ამისა, შესაბამის პროგრამებზე სწავლისას მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის ეძლევათ სტიპენდია სემესტრულად 750 ლარის ოდენობით. განსხვავებით თავდაცვის აკადემიის სამაგისტრო პროგრამებისა, რომელიც სტიპენტიას არ ითვალისწინებს.**

2020-2023 წლებში აღნიშნული ბრძანების საფუძველზე სულ დაფინანსდა 1,896 პირი, მათ შორის, 600 სამხედრო მოსამსახურე. აღნიშნულ პერიოდში სამაგისტრო პროგრამაზე ჩაირიცხა 237 სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის, 52 (22%) სამაგისტრო პროგრამას გადიოდა თბილისის ფარგლებს გარეთ არსებულ უნივერსიტეტებში.

2021-2022 წლებში თავდაცვის აკადემიაში არსებულ სამაგისტრო პროგრამებზე სულ ჩაირიცხა 44 სამხედრო მოსამსახურე, ამავე პერიოდში, სხვა უნივერსიტეტებში კი – 147, მათ შორის, 35 (24%) – თბილისის ფარგლებს გარეთ არსებულ უნივერსიტეტებში.

თავდაცვის აკადემიის სამაგისტრო პროგრამებზე სამხედრო მოსამსახურეთათვის სწავლა სრულიად უფასოა, ხოლო სხვა უნივერსიტეტებში ფინანსდება ნაწილობრივ. მიუხედავად ამისა, სამხედრო მოსამსახურეთა უმეტესობა აბარებს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში, აღნიშნულის მიზეზს შესაძლოა წარმოადგენდეს როგორც გარკვეული სამაგისტრო პროგრამების არარსებობა თავდაცვის აკადემიაში, ასევე ის ფაქტი, რომ აკადემიის სამაგისტრო პროგრამები ხელმისაწვდომია მხოლოდ თბილისში და აუდიტის პერიოდში არ ითვალისწინებდა ჰიბრიდულ (დისტანციურ) სწავლებას. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც სამხედრო მოსამსახურეებს მოვალეობის შესრულება უწევთ საქართველოს მასშტაბით არსებულ სხვადასხვა ქვედანაყოფებში.

ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამა – „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“

ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა ახორციელებს „თავდაცვისა და უსაფრთხოების უმაღლეს პროგრამას“ და წარმოადგენს ოფიცრის **უმაღლესი განათლების საფეხურს** (სტრატეგიული დონე), სადაც სამხედრო მოსამსახურეებთან (პოლკოვნიკის და ვიცე-პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მქონე) ერთად ასევე შეიძლება ჩაირიცხონ უსაფრთხოების სფეროს სახელმწიფო უწყებების მოსამსახურეებიც (სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე პირები).

2022 წლის 13 მაისის, თსუ-ის, თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის, სამმხრივი მემორანდუმის საფუძველზე, შეიქმნა ერთწლიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა[77] – „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“, რაშიც ინტეგრირებულია ზემოაღნიშნული „თავდაცვისა და უსაფრთხოების უმაღლესი პროგრამა“ და ეთმობა სწავლების პირველი სემესტრი, ხოლო მეორე სემესტრი – „საჯარო ადმინისტრირების“ ნაწილს. სწავლება ერთწლიანია და კურსდამთავრებულები მიიღებენ ორ დიპლომს – „ბიზნეს ადმინისტრირების საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის“ უმაღლეს აკადემიურ ხარისხს (EMBA in Public Administration) და „თავდაცვისა

77 საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია.

და უსაფრთხოების უმაღლესი პროგრამის“ უწყებრივ დიპლომს,[78] განსხვავებით აკადემიის სამაგისტრო პროგრამებისა; აღნიშნულზე დაშვების პირობები განსაზღვრულია ბრძანებით.[79]

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მოპოვებისთვის 2025 წლამდე საკმარისია ბაკალავრის ხარისხის და სამეთაურო საშტაბო პროგრამის (CGSC) გავლა, 2025 წლიდან კი პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მიღებისთვის მოითხოვება მაგისტრის ხარისხი.

2025 წლიდან პოლკოვნიკის წოდების მისაღებად ერთ-ერთი საკვალიფიკაციო მოთხოვნაა მაგისტრის ხარისხი. აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელებული სამინისტროს შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ვიცე-პოლკოვნკებისათვის შეთავაზებული სამაგისტრო პროგრამების შედარებითი ანალიზით გამოვლინდა შემდეგი:

„ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში” სამაგისტრო პროგრამის დანერგვით გაჩნდა ალტერნატიული შესაძლებლობა უმაღლესი წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეებისთვის,[80] მიიღონ მაგისტრის ხარისხი და ამავდროულად გაიარონ სამხედრო ოფიცრის უმაღლესი საფეხური[81] 1 წელიწადში,[82] ანუ გაცილებით ნაკლებ დროში, ვიდრე თავდაცვის აკადემიაში არსებულ სამოქალაქო სამაგისტრო პროგრამაზე სწავლების შემთხვევაში, რომლებზეც სწავლა 2-წლიანია და სამხედრო მოსამსახურეს უმაღლესი სამხედრო საკარიერო კურსის გასავლელად დამატებით ესაჭიროება 6 თვე. აღნიშნული უარყოფით გავლენას მოახდენს აკადემიაში არსებულ სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხულ მსმენელთა რაოდენობაზე და კიდევ უფრო შეამცირებს მათ, იმ პირობებში, თუ არ განხორციელდა სამეთაურო საშტაბო პროგრამის (CGSC) კურსდამთავრებულთა დაშვება (კრედიტების ჩათვლა) თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამაზე.

დასკვნა

ოფიცერთა საწყისი განათლების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები, რომლებიც გავლენას ახდენენ თავდაცვის ძალების ოფიცრებით დაკომპელექტების პროცესზე:

- თავდაცვის ძალების ოფიცრებით შევსების ერთადერთ წყაროს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში არსებული **საბაკალავრო პროგრამებისა და ოფიცერთა მომზადების**

78 სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხი სამხედრო, სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე პირების რაოდენობა არის 25, მათ შორის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებისათვის – მაქსიმუმ 8 სამხედრო მოსამსახურე.

79 სამხედრო მოსამსახურეებისთვის: სამხედრო კარიერის განმავლობაში საბრძოლო ქვედანაყოფში, საბრძოლო მხარდაჭერისა და უზრუნველყოფის ქვედანაყოფში, ოცეულის, ასეულის, ბატალიონის/დივიზიონის/ესკადრილიის ან ბრიგადის შემადგენლობაში სამსახურის 3-წლიანი გამოცდილება; ბოლო 7 წელიწადში, მინიმუმ 1 წლის განმავლობაში იკავებდა ან იკავებს ვიცე-პოლკოვნიკის საშტატო კატეგორიის სამეთაურო თანამდებობას ან პოლკოვნიკის საშტატო კატეგორიის სამეთაურო, საშტაბო ხელმძღვანელ ან/და სასწავლო სფეროს ქვედანაყოფის სამეთაურო (ხელმძღვანელის) თანამდებობას; ხოლო სამინისტროს სისტემისა და სხვა სახელმწიფო უწყებათა სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე პირს: უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების სფეროსთან დაკავშირებული პროფესიული ან/და საჯარო სამსახურში ხელმძღვანელ (განყოფილების უფროსი და ზემოთ) თანამდებობაზე სამსახურის მინიმუმ 5-წლიანი გამოცდილება.

80 რომლებსაც გავლილი აქვთ სამეთაურო საშტაბო პროგრამა (CGSC).

81 აღნიშნული კურსის ხანგრძლივობა ცალკე გავლის შემთხვევაში შეადგენს 6 თვეს.

82 იმ სამხედრო მოსამსახურეებისთვის, რომლებსაც გავლილი აქვთ სამეთაურო საშტაბო პროგრამა (CGSC).

საკანდიდატო კურსდამთავრებულები წარმოადგენენ. აღნიშნულ პროგრამებზე განსაზღვრული კვოტები და კურსდამთავრებულთა რაოდენობა სრულად ვერ უზრუნველყოფს თავდაცვის ძალების ოფიცრებით დაკომპლექტებას საჭიროების შესაბამისად. აღნიშნულის მიზეზია შემდეგი გარემოებები: საბაკალავრო და საკანდიდატო კურსზე ერთობლივად წლის განმავლობაში არსებული კვოტები ნაკლებია შევსების საჭირო რაოდენობასთან მიმართებით, განსაზღვრული კვოტები ვერ ივსება სრულად, ჩარიცხული იუნკერების საშუალოდ მხოლოდ 57%[83] და მსმენელების 67%[84] ამთავრებს სასწავლებელს. სამინისტროს განმარტებით, აკადემიის მიერ განსაზღვრული ყოველწლიური კვოტის სრულად ვერ შევსება და იუნკერთა მიერ სწავლის სხვადასხვა ეტაპზე შეწყვეტა, გამოწვეულია აპლიკანტთა გარკვეული რაოდენობის მიერ დაწესებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ვერ დაძლევით და იუნკერთა მიერ სამხედრო ცხოვრების წესებთან შეუგუებლობით. ამასთანავე, 2020-2022 წლებში საბაკალავრო და საკანდიდატო კურსდამთავრებულთაგან, დღეის მდგომარეობით, 73% ირიცხება თავდაცვის ძალების შემადგენლობაში.

- თავდაცვის ძალების ოფიცრებით დაკომპლექტების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს რეზერვის უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსი, რომელიც შეწყდა 2013 წელს. განახლებული პროგრამა უნდა ამოქმედებულიყო 2022 წლის სექტემბერში, თუმცა 2023 წლის მაისის მდგომარეობით პროგრამა დასრულებული არ არის და კურსზე სწავლებები არ მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს თავდაცვის კოდექსით განისაზღვრა რეზერვის უმცროს ოფიცერთა მომზადების პროგრამა.
- 2018-2022 წლებში საკანდიდატო კურსზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობამ შეადგინა 327 პირი, საიდანაც 74 ვერ ჩაირიცხა კურსზე,[85] მათ შორის, მოქმედი სამხედრო[86] მოსამსახურეებიც.
- 2019 წელს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში აკრეტიდაცია მიიღო „მექანიკის ინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამამ, რომელზეც მიღება 2021 წლამდე არ განხორციელებულა. პროგრამის შექმნის მთავარი მიზანი იყო თავდაცვის ძალებში საინჟინრო სპეციალისტების საჭიროება ლოჯისტიკის, საჰაერო თავდაცვის, საინჟინრო, ავიაციის და სხვა გვარეობებში. პროგრამისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით აკადემიისა და სამინისტროს მიერ 2018-2022 წლებში ჯამში დაიხარჯა 376,964 ლარი. თავდაცვის სამინისტროსთვის მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის მნიშვნელობის მიუხედავად, პროგრამაზე ჩართულობის მაჩვენებელი დაბალია, კერძოდ, 2021-2022 წლებში სულ ჩარიცხულია მხოლოდ 19 იუნკერი, მათგან დღეის მდგომარეობით აქტიური სტატუსი აქვს 15-ს. რისი მიზეზიც ქვეყანაში აღნიშნული სპეციალობის დაუფლების მსურველთა კლებად დინამიკასთან ერთად, აკადემიის მიერ ქვეყნის მასშტაბით არსებულ სკოლებში განხორციელებული არასაკმარისი საინფორმაციო კამპანიაა.
- საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული იუნკერებიდან, გამოკითხულ პირველკურსელთა 35%-ს[87] არ აქვს ინფორმაცია საერთო საჯარისო ცენტრისა და სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობების შესახებ, რომელზეც სწავლა უნდა გააგრძელონ, რაც მიუთითებს არასრულყოფილ საინფორმაციო კამპანიაზე.

83 2020-2022 წლების კურსდამთავრებული იუნკერების შეფარდება ჩარიცხულ იუნკერთა რაოდენობასთან.

84 2016-2023 წლების კურსდამთავრებულ მსმენელთა შეფარდება ჩარიცხულ მსმენელთა რაოდენობასთან.

85 მათ შორის, 50 სამხედრო წოდების მქონე (რიგითი, პირველი კლასის რიგითი, კაპრალი) და 24 სამოქალაქო პირი.

86 ვერ გაიარა ფიზიკური ტესტი 28 სამხედრო მოსამსახურემ, ფსიქოლოგიური შერჩევა – 7-მა, სამედიცინო შემოწმება – 2-მა, ზოგადი უნარების ტესტირება – 6-მა, შეიცვალა აზრი კურსზე ჩაბარებასთან დაკავშირებით – 5-მა, სამართალდარღვევა ჩაიდინა 2-მა.

87 გამოკითხული 31 სტუდენტიდან, 11-ს არ ჰქონდა ინფორმაცია.

აკადემიაში არსებულ სამაგისტრო პროგრამებზე ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია პროგრამებზე ჩარიცხვისთვის დაწესებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით და უწყებათა შორის არასათანადო კოორდინაციით, კერძოდ:

- 2020-2021 წლებში იუნკერებს, რომლებმაც დაამთავრეს საბაკალავრო პროგრამა აკადემიაში, არ შეეძლოთ იმავე სასწავლებელში მაგისტრატურაზე სწავლის გაგრძელება, ვინაიდან არ არსებობდა აკრედიტებული სამაგისტრო პროგრამა ლეიტენანტებისთვის, ხოლო არსებულ სამაგისტრო პროგრამებზე მოხვედრა შესაძლებელი იყო კაპიტნის წოდებიდან. 2022 წლიდან **უსაფრთხოების კვლევების და სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამებზე** სწავლის გაგრძელება შესაძლებელი გახდა ლეიტენანტის წოდებიდან.
- ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად, თანამედროვე გამოწვევების, ახალ და გაუთვალისწინებელ გარემოში მოქმედების და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამაზე კვოტები განსაზღვრულია როგორც თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეების (მაიორი – პოლკოვნიკი), სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირად შემადგენლობის, ასევე უსაფრთხოების სექტორის მოქმედი თანამშრომლებისთვის. **2016-2021 წლებში სამაგისტრო პროგრამაზე სულ ჩააბარა 41-მა პირმა, საიდანაც დღეის მდგომარეობით სამაგისტრო პროგრამა დაასრულა მხოლოდ 30-მა[88] (73%). ამასთანავე, სამაგისტრო პროგრამაზე უსაფრთხოების სექტორის მხოლოდ 2 თანამშრომელი იყო ჩართული, რაც ვერ ჩაითვლება ეფექტიან მაჩვენებლად პროგრამის შექმნის მიზანთან მიმართებით.**
- თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს შუალედური სამხედრო განათლების სამეთაურო საშტაბო კურსს (CGSC). პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან გამომდინარე სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც დამოუკიდებლად გავლილი აქვთ აღნიშნული (CGSC) კურსი, არ აქვთ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული კურსი დამოუკიდებლად 2017-2022 წლებში გავლილი აქვს 340 სამხედრო მოსამსახურეს. **სამინისტროს განმარტებით,** მიმდინარეობს მუშაობა თავდაცვის ანალიზის პროგრამის სამეთაურო-საშტაბო პროგრამიდან გამოყოფის შესახებ[89]. შედეგად სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც დამოუკიდებლად გავლილი ექნებათ (CGSC) კურსი, შეეძლებათ ჩაირიცხონ თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამაზე.
- 2021 წელს აკადემიაში აკრედიტაცია[90] მიიღო სახელმწიფო რესურსების მართვისა და უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამებმა, რომლებიც თავისი შინაარსით სამოქალაქო ხასიათისაა, არ მოიცავს სამხედრო კომპონენტს, სწავლება უფასოა და განკუთვნილია გარკვეულ სახელმწიფო უწყებებში დასაქმებულ პირთათვის, თუმცა არ არის დარეგულირებული სხვადასხვა უწყებისთვის გამოყოფილ კვოტებზე მისაღებ პირთა თანამდებობა და გამოცდილება. შედეგად, პროგრამაზე ირიცხებიან სხვადასხვა სამინისტროს ის თანამშრომლები, რომლებიც თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით ვერ შეძლებენ განახორციელონ სამაგისტრო პროგრამის შექმნის მთავარი მიზანი – კოორდინირებული მუშაობით უზრუნველყონ მოსალოდნელი კრიზისების პროგნოზირება

88 2021 წელს ჩარიცხული 7 მსმენელიდან, დღეის მდგომარეობით – 6 აგრძელებს სწავლას.

89 „სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ“ თავდაცვის მინისტრის 2024 წლის 19 თებერვლის N MOD 4 24 0000158 ბრძანება.

90 2021 წლის 7 ივლისსა და 18 აგვისტოს მოიპოვა აკრეტიდაცია, პროგრამები ხორციელდებოდა საპილოტე რეჟიმში, 1-წლიანი ანგარიშის პირობით.

და თავიდან აცილება. შესაბამისად, მათზე გაწეული ხარჯი და მიღებული სარგებელი (უწყებების პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტება) ვერ ჩაითვლება პროდუქტიულად.

- 2021-2022 წლებში სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხული სამხედრო მოსამსახურეების 77% ჩაირიცხა სხვადასხვა უნივერსიტეტში, ნაცვლად თავდაცვის აკადემიისა, მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის აკადემიაში სწავლა უფასოა, ხოლო სხვა უნივერსიტეტებში სამინისტროს მიერ ფინანსდება ნაწილობრივ. აღნიშნულის მიზეზი შესაძლოა იყოს როგორც გარკვეული სამაგისტრო პროგრამების არარსებობა თავდაცვის აკადემიაში; ასევე ის ფაქტი, რომ აკადემიის სამაგისტრო პროგრამები ხელმისაწვდომია მხოლოდ თბილისში და აუდიტის პერიოდში არ ითვალისწინებდა ჰიბრიდულ (დისტანციურ) სწავლებას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც სამხედრო მოსამსახურეებს მოვალეობის შესრულება უწევთ საქართველოს მასშტაბით არსებულ სხვადასხვა ქვედანაყოფებში.
- აკადემიის სამაგისტრო პროგრამები 2021 წელს არ დაკომბლექტდა სრულად, მიუხედავად იმისა, რომ კვოტები გადანაწილებული იყო 13 სახელმწიფო უწყებაზე. 2022 წელს კი ორი საჯარო უწყების წარმომადგენლებით სრულად დაკომპლექტდა მხოლოდ ერთი სამაგისტრო პროგრამა,[91] რაც შესაბამის უწყებებს შორის არასათანადო კოორდინაციითაა გამოწვეული.

რეკომენდაცია

- საქართველოს თავდაცვის ძალებში ოფიცერთა ვაკანსიების შევსების კუთხით, მიზანშეწონილია თავდაცვის ძალების დაკომპლექტების სხვა წყაროს – **რეზერვის უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსის დროული ამოქმედება.**
- აკადემიის კურსდამთავრებულთა მაჩვენებლის გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილია აკადემიამ აღრიცხოს და დოკუმენტური კვლევის საფუძველზე შეისწავლოს იუნკერთა/მსმენელთა გადინების მიზეზები და განახორციელოს შესაბამისი საპასუხო ღონისძიებები.
- თავდაცვის და ანალიზის სამაგისტრო პროგრამაზე მსმენელთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, იმსჯელოს სამეთაურო საშტაბო პროგრამის (CGSC) კურსდამთავრებულებს გავლილი საგნები ჩაეთვალოთ თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამის კრედიტებში და მიეცეთ საშუალება განაგრძონ სწავლა პროგრამის დარჩენილ საგნებზე, რაც ხელს შეუწყობს სამხედრო მოსამსახურეებს, გაიარონ ეროვნული თავდაცვის აკადემიის თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამა უფრო მცირე დროში, ვიდრე სხვა სამოქალაქო სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის შემთხვევაში. ასევე: იმსჯელოს სამაგისტრო პროგრამის ჰიბრიდულად (დისტაციურად) სწავლების ხელმისაწვდომობაზე, რაც ქვეყნის მასშტაბით არსებული ქვედანაყოფების სამხედრო მოსამსახურეებს საშუალებას მისცემს, სამუშაო ადგილის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დატოვების გარეშე ისწავლონ სამაგისტრო პროგრამაზე.
- აკადემიის ასიგნებების პროდუქტიულად და მიზნობრივად ხარჯვის მიზნით, მიზანშეწონილია გადაიხედოს და დაკონკრეტდეს მისაღებ პირთა წრე და სწავლების დაფინანსების არსებული მოდელი იმ სამაგისტრო პროგრამებზე, რომლებიც არ მოიცავს სამხედრო კომპონენტს.

91 რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამა.

3.4 ძირითადი სამხედრო განათლების მიღების პროცესში არსებული ნაკლოვანებები

თავდაცვის სამინისტროში შექმნილია შესაბამისი სტრუქტურული ერთეული – წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა, რომლის მიზანია სამხედრო-სასწავლო დაწესებულებათა ინსტიტუციური ბაზისა და ორგანიზაციული სფეროს განვითარება; მაღალკვალიფიციური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურე კადრების მომზადება/გადამზადება; სამხედრო სასწავლო ცენტრებსა და სკოლებში სპეციალისტების მომზადება; სამხედრო დოქტრინების შემუშავება; საქართველოს თავდაცვის ძალებში დაგეგმილი ადგილობრივი და საერთაშორისო სწავლებების და წვრთნების მხარდაჭერა და მათში მონაწილეობა; საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის მისაღებად განსაზღვრული ქვედანაყოფების გადასროლისწინა მომზადება-გადამზადება.

წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის შემადგენლობაშია 9 სტრუქტურული ერთეული, საიდანაც 7 – საგანმანათლებლო, ხოლო 2 – დამხმარეა, კერძოდ:

სქემა N3. ინფორმაცია წვრთნებისა და სამხედრო განათლების სტრუქტურული ერთეულების შესახებ



სარდლობა ახორციელებს საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო, საბრძოლო მხარდაჭერისა და საბრძოლო უზრუნველყოფის ქვედანაყოფების ასეულის და ბატალიონის, შემდგომში ბრიგადის დონის ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის შეფასებას, ასევე:

- შეიმუშავებს სარდლობის სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამებს და განსაზღვრულ სტანდარტებთან თავსებადობის შემთხვევაში, ამტკიცებს მათ. მონაწილეობას იღებს სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების განხილვასა და აღიარების პროცესში.
- საქართველოს თავდაცვის ძალებში რეკრუტებისთვის და წვევამდელებისთვის საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) პროგრამის ჩატარებას.
- რიგითების და კაპრალების მომზადებას ძირითადი სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობების შესაბამისად.
- სერჟანტთა კორპუსის მომზადებას სერჟანტთა მომზადების ძირითად, შუალედურ, უფროსი სერჟანტის და სერჟანტთა მომზადების სამეთაურო-საშტაბო კურსებზე.[92]
- ოფიცერთა ძირითადი სამხედრო და საკარიერო განათლების სპეციალობის პროგრამით მომზადება.
- თავდაცვის ძალების და სხვა ძალოვანი უწყებების, ასევე ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეების სამთო მომზადებას.

სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელება

სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ხორციელდება საერთაშორისოდ აღიარებული დოქტრინების პუბლიკაციების, საველე წესდებებისა და დამხმარე პუბლიკაციების გათვალისწინებით. რის შემდგომაც იწყება მისი დადასტურების პროცედურები.

მინისტრის ბრძანებით[93] დამტკიცებულია სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების პროცედურების დებულება, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

სქემა N4. ინფორმაცია სასწავლო პროგრამების დამტკიცების ციკლის შესახებ



92 „სერჟანტთა კორპუსის მომზადებას უმცროსი სერჟანტის, სერჟანტის, უფროსი სერჟანტის და მასტერ სერჟანტის სამეთაურო მომზადების პროგრამებზე, აგრეთვე საწყისი სამეთაურო მომზადების სერჟანტთა საკანდიდატო სამხედრო საგანმანათლებლო (არასაკარიერო) პროგრამაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2023 წლის 11 ივლისის N707 ბრძანება „სერჟანტთა სამხედრო განათლების კონცეფციის დამტკიცების შესახებ“.

93 2019 წლის 19 აპრილის N MOD 3 19 00000261 ბრძანება.

ერთეულების საგანმანათლებლო პროგრამები მტკიცდება რექტორის/სარდლის/მეთაურის მიერ, J-7 დეპარტამენტთან და პროპონენტთან შეთანხმებით წინამდებარე პროცედურების გავლის შემდეგ.

წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის მიერ მომდევნო წლის კურსების გეგმა-კალენდრის შედგენა ხორციელდება სასწავლო წლის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე,[94] რათა საჭირო სახსრები ასახული იყოს შესაბამისი წლის ბიუჯეტში და ძირითადად ეფუძნება წინა წლის გამოცდილებას. წლის განმავლობაში აღნიშნული გეგმა-კალენდარი განიცდის მოდიფიცირებას, კურსების ნაწილი უქმდება, ნაწილს კი ემატება – საჭიროებებიდან გამომდინარე. არის შემთხვევები, როდესაც სარდლობა დასაგეგმი კურსების რაოდენობის დამრგვალებას ახორციელებს.

სასწავლო კურსის ჩატარებისათვის კურსზე მყოფი მსმენელების მინიმალური, ოპტიმალური და მაქსიმალური რაოდენობა რეგულირდება წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის მიერ, რომელიც შემდგომ ეცნობება თავდაცვის ძალების სტრუქტურულ ერთეულებს;

2020-2021 წლებში წვრთნებისა და განათლების სარდლობის მიერ დაგეგმილი იყო 222 და 197 სასწავლო კურსი. მათი შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში:

ცხრილი N9. 2020-2021 წლებში წვრთნებისა და განათლების სარდლობის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული კურსების შესახებ

წელი	სტატუსი	სტრუქტურული ერთეული						
		ნატო – საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC)	სერჟანტთა აკადემია	საჩხერის სამთო მომზადების სკოლა	საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრი	საერთო საჯარისო ცენტრი	სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი	ენობრივი მომზადების ცენტრი
2020	დაგეგმილი	41	6	12	10	153	-	-
	არ განხორციელდა	5	3	0	2	54	-	-
	დაემატა	-	-	5	4	8	-	-
	სულ ფაქტი:	36	3	17	12	107	-	-
2021	დაგეგმილი	9	6	16	9	157	-	-
	არ განხორციელდა	-	-	8	1	56	-	-
	დაემატა	-	3	-	15	26	1	-
	სულ ფაქტი:	9	9	8	23	127	1	-

შენიშვნა: სამეთაურო საშტაბო კოლეჯი და ენობრივი მომზადების ცენტრი 2021 წლიდან გადავიდა წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის დაქვემდებარებაში თავდაცვის ეროვნული აკადემიიდან.

94 საშუალოდ, 8 თვით ადრე, წინა წლის მარტსა და აპრილში.

დაგეგმილი სასწავლო კურსების არჩატარების ძირითადი მიზეზი 2020 წელს კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული მდგომარეობა გახდა. 2021 წელს, კურსების დაგეგმვისას, პანდემია აღნიშნულ პერიოდში არსებული რეგულაციებით გათვალისწინებული იყო, შესაბამისად, კურსები იგეგმებოდა შედარებით ნაკლები რაოდენობით. მიუხედავად აღნიშნულისა, დაგეგმილი კურსების 35% არ ჩატარებულა. ამასთანავე, არ ჩატარებულა 2020-2021 წლებში გეგმით გათვალისწინებული 6 სახეობის[95] 13 კურსი.

კურსების გაუქმების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია კვორუმის არარსებობა, კერძოდ, ქვედანაყოფებიდან ვერ იქნა წარმოდგენილი კურსის განსახორციელებლად საჭირო პირთა მინიმალური რაოდენობა. გამომდინარე იქიდან, რომ თავდაცვის ძალებში სამხედრო მოსამსახურეთა გადინება/შემოდინება[96] მუდმივი პროცესია, წინასწარ კურსების რაოდენობის ზუსტი და სრული დაგეგმვა ვერ განხორციელდება. თუმცა, ანალიტიკური პროცედურებით გამოვლინდა, რომ **შესაძლებელი იყო** აუდიტის პეროდისთვის მოქმედ თავდაპირველ გეგმა-კალენდრებში განხორციელებული ცვლილებების[97] წინასწარ განსაზღვრა იმ შემთხვევაში, თუ პროცესში მონაწილეობას მიიღებდა გენერალურის შტაბის J1 პერსონალის დეპარტამენტი და სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრი, ვინაიდან აღნიშნული სტრუქტურული ერთეულებისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის[98] ანალიზის და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შესაძლებელი იქნებოდა თავდაპირველი გეგმა-კალენდრის უფრო სრულყოფილი და ზუსტი შედგენა.

აღნიშნული პროცესი თავისთავად დადებით გავლენას მოახდენს კურსების ჩატარებისთვის საჭირო სახსრების შესაბამისი წლის ბიუჯეტში ასახვაზე.[99]

3.4.1 თავდაცვის სამინისტროში სამხედრო მოსამსახურეთა საკარიერო და საფეხურებრივი განათლების პროცესში არსებული ნაკლოვანებები

თავდაცვის სამინისტროში ოფიცერთა და სერჟანტთა შემადგენლობის სამხედრო-პროფესიული განათლების სისტემა შედგება ოთხი დონისგან, რომლებიც მოიცავს შემდეგ პროგრამებს:

---

95 მაგალითად: საარტილერიო და სადაზვერვო მეწინავე მეთვალთვალეთა ჯგუფის უფროსების მომზადების კურსი, ნაღმტყორცნის სექციის მეთაურის მომზადების კურსი, სატანკო ოცეულის სერჟანტის მომზადების კურსი, საველე დაზვერვის ოცეულის სერჟანტის მომზადების კურსი, ტანკი T-72-ის მეთაურის მომზადების კურსი.

96 გადინების შესახებ ინფორმაცია (იხ. თავი 4.4.2).

97 ზოგიერთი დაგეგმილი კურსის არჩატარება, სხვადასხვა კურსის (არდაგეგმილი) გეგმაში ასახვა ან გარკვეული კურსების დამატებით ჩატარების საჭიროების განსაზღვრა.

98 სამხედრო მოსამსახურეების გადინება, ახალი კადრების შემოდინება, დასაწინაურებელ პირთა რაოდენობა, შესაბამის სპეციალობებზე გადასამზადებელ პირთა რაოდენობა, წინა წლის გამოცდილება ჩატარებულ კურსებთან მიმართებით და ა.შ.

99 პასუხისმგებელი პირების განმარტებით, დღეის მდგომარეობით თავდაცვის ძალები ამერიკელ პარტნიორებთან ერთად მუშაობს რესურსების მართვის ინტეგრირებული სისტემის განვითარებაზე, რომლის ერთ-ერთი მოდული ითვალისწინებს პერსონალის მართვას, მათი განათლებისა და წვრთნების დაგეგმვას და ა.შ. აღნიშნული სისტემა სრულად აღმოფხვრის სხვადასხვა სამსახურებსა და ფუნქციებს შორის კოორდინაციის პრობლემას და გაამარტივებს პერსონალის კარიერისა და განათლების მართვას.

სქემა N5. ოფიცერთა და სერჟანტთა საკარიერო კურსი საფეხურების, დონეების და ეტაპების მიხედვით



საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის ოფიცერთა სამხედრო წოდებების[100] საკვალიფიკაციო მოთხოვნები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით.[101]

თავდაცვის სამინისტროში 2020-2021 წლებში სხვადასხვა დონის და საფეხურის საკარიერო კურსი საქართველოსა და საზღვარგარეთ, სულ გაიარა 2,163 სამხედრო მოსამსახურემ, მათ შორის: 941-მა ოფიცერმა, 550-მა სერჟანტმა და 672-მა რიგით-კაპრალთა შემადგენლობამ.

100 უფროსი ლეიტენანტი, კაპიტანი, მაიორი, ვიცე-პოლკოვნიკი და პოლკოვნიკი.

101 „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის ოფიცერთა სამხედრო წოდებების საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის N MOD 9 20 00000869 ბრძანება.

ცხრილი N10. ინფორმაცია 2020-2021 წლებში საქართველოში საკარიერო კურსებზე ჩარიცხულ ოფიცერთა რაოდენობების და საფეხურების შესახებ

წოდება	უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსი (ძირითადი სამხედრო განათლების I საფეხური)	კაპიტნის საკარიერო კურსი (ძირითადი სამხედრო განათლების II საფეხური)	სამეთაურო საშტაბო კურსი (შუალედური სამხედრო განათლება)	სულ:
ლეიტენანტი	185	-	-	185
უფროსი ლეიტენანტი	7	163	-	170
კაპიტანი	-	188	-	188
კაპიტან-ლეიტენანტი	-	2	-	2
მაიორი	-	44	124	168
ავიაციის მაიორი	-	1	-	1
ვიცე-პოლკოვნიკი	-	-	21	21
სულ:	192	398	150	735

ცხრილი N11. ინფორმაცია 2020-2021 წლებში საქართველოში საკარიერო კურსებზე ჩარიცხულ კაპრალ-რიგითთა და სერჟანტთა რაოდენობებისა და განათლების საფეხურების შესახებ

წოდება	რიგითი	I კლასის რიგითი	კაპრალი	კაპრალ-სპეციალისტი	უმცროსი სერჟანტი	სერჟანტი	უფროსი სერჟანტი	მასტერ სერჟანტი	მთავარი სერჟანტი	სულ:
საწყისი სამეთურო მომზადების სერჟანტთა საკანდიდატო (საპილოტე) კურსის ჯგუფის უფროსი	2	30	17	1	1	-	-	-	-	51
სერჟანტთა საწყისი სამეთაურო კურსი (I დონე), I ეტაპი 2 ათეულის მეთაური	-	3	436	8	16	5	-	-	-	468
სერჟანტთა საწყისი სამეთაურო კურსი (I დონე), II ეტაპი ათეულის მეთაურის სპეციალიზაცია	-	-	154	2	1	1	-	-	-	158
სერჟანტთა ძირითადი სამეთაურო კურსი (II დონე, I საფეხური, I ეტაპი) ოცეულის სერჟანტი	-	-	1	-	128	73	1	-	-	203
სერჟანტთა ძირითადი სამეთაურო კურსი (II დონე, I საფეხური, II ეტაპი) ოცეულის სერჟანტის სპეციალობა	-	-	1	-	65	34	1	-	-	101
სერჟანტთა ძირითადი სამეთაურო კურსი (II დონე, II საფეხური/უფროსი სერჟანტი)	-	-	-	-	-	108	58	4	-	170
სერჟანტთა შუალედური სამხედრო განათლება (III დონე)	-	-	-	-	-	-	2	6	1	9
სულ:	2	33	609	11	211	221	62	10	1	1,160

თავდაცვის ძალების სხვადასხვა საკარიერო გვარეობებში საზღვარგარეთ სასწავლო დაწესებულებებში მომზადებული კადრების დეფიციტის გათვალისწინებით, საქართველოს

თავდაცვის ძალების მეთაურის ბრძანებით[102] 2019 წლის 28 იანვარს დამტკიცდა საზღვარგარეთ სასწავლო საკარიერო კურსებზე/პროგრამებზე წარსაგზავნად კანდიდატთა შერჩევის წესი.

2020-2021 წლებში საზღვარგარეთ სხვადასხვა საკარიერო და სპეციალიზაციის კურსებზე სულ გაგზავნილი იყო 268 სამხედრო მოსამსახურე.

ცხრილი N12. ინფორმაცია 2020-2021 წლებში სამხედრო მოსამსახურეების საზღვარგარეთ სხვადასხვა სპეციალიზაციასა და საკარიერო კურსებზე ჩართულობის შესახებ

წოდება	ოფიცერთა საწყისი სამხედრო განათლება	უმცროს ოფიცერთა ძირითადი სამხედრო განათლება	ოფიცერთა შუალედური სამხედრო განათლება	ოფიცერთა უმაღლესი განათლება	სერჟანტთა ძირითადი სამხედრო განათლება	სერჟანტთა უმაღლესი განათლება	სპეციალიზაცია	უცხო ენის კურსი	სულ:
რიგითი, I კლასის რიგითი	11	-	-	-	-	-	-	-	11
კაპრალი	-	-	-	-	-	-	6	-	6
სერჟანტთა შემადგენლობა	-	-	-	-	1	4	27	13	45
ოფიცერთა შემადგენლობა	-	33	18	18	-	-	106	31	206
სულ:	11	33	18	18	1	4	139	44	268

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აუდიტის პერიოდში სამხედრო განათლების უმაღლეს საფეხურს სამხედრო მოსამსახურეები (როგორც ოფიცრები, ისე სერჟანტები) გადიოდნენ საზღვარგარეთ, 2022 წლიდან კი ოფიცრებთან მიმართებით პროგრამას საქართველოში ახორციელებს ასევე ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა, ხოლო სერჟანტების შემთხვევაში – წვრთნებისა და განათლების სარდლობა.[103]

თავდაცვის სამინისტროში 2020-2021 წლებში სხვადასხვა დონის და საფეხურის საკარიერო კურსი საქართველოსა და საზღვარგარეთ სულ გაიარა 2,163 სამხედრო მოსამსახურემ.[104] შესაბამისად, საკარიერო კურსებზე სამხედრო მოსამსახურეთა ჩართულობის მაჩვენებელი დაბალია,[105] რაც ძირითადად გამოწვეულია პანდემიით და თავდაცვის ძალებში სამხედრო მოსამსახურეთა შემოდინების დაბალი და გადინების მაღალი მაჩვენებლით.[106]

102 N MOD 5 19000000046.

103 გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემია.

104 მონაცემი არ წარმოადგენს უნიკალურ რაოდენობას, კერძოდ, სტატისტიკა მოიცავს ერთი პირის რამდენიმე პროგრამაში ჩართულობას.

105 ზუსტი მონაცემები არ იქნა მითითებული ანგარიშში, ვინაიდან სამხედრო მოსამსახურეთა პირადი შემადგენლობის რაოდენობა წარმოადგენს საიდუმლო ინფორმაციას.

106 იხ. ქვეთავი: თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა მოზიდვის და კვალიფიციური კადრების შენარჩუნების პროცესში არსებული ხარვეზები.

დასკვნა

ძირითადი სამხედრო განათლების მიღების პროცესში გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

- 2020-2021 წლებში წვრთნებისა და განათლების სარდლობის მიერ დაგეგმილი იყო შესაბამისად, 222 და 197 სასწავლო კურსი, საიდანაც 2020 წელს არ ჩატარებულა – 64, ხოლო 2021 წელს – 65. კურსების არჩატარების ძირითადი მიზეზი 2020 წელს კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული მდგომარეობა გახდა. 2021 წელს, კურსების დაგეგმვისას, პანდემია აღნიშნულ პერიოდში არსებული რეგულაციებით გათვალისწინებული იყო, შესაბამისად კურსები იგეგმებოდა შედარებით ნაკლები რაოდენობით. მიუხედავად აღნიშნულისა, დაგეგმილი კურსების 35% არ ჩატარებულა. ანალიტიკური პროცედურებით გამოვლინდა, რომ კურსების გაუქმების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს კვორუმის არარსებობა (მონაწილეთა ნაკლებობა) **წარმოადგენს, რაც პირადი შემადგენლობის გადინებითაა გამოწვეული. ამასთანავე, არ ჩატარებულა 2020-2021 წლებში გეგმით გათვალისწინებული 6 სახეობის[107] 13 კურსი.**
- აუდიტის პერიოდში წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის მიერ თავდაპირველი გეგმა-კალენდრის შედგენაში მონაწილეობას არ იღებდნენ გენერალური შტაბის J1 პერსონალის დეპარტამენტი და სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრი, აღნიშნული სტრუქტურული ერთეულებისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის[108] ანალიზის და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შესაძლებელი იქნებოდა თავდაპირველი გეგმა-კალენდრის უფრო სრულყოფილი და ზუსტი შედგენა, რაც ასევე დადებით გავლენას მოახდენს კურსების ჩატარებისთვის საჭირო სახსრების შესაბამისი წლის ბიუჯეტში ასახვაზე.[109]
- თავდაცვის სამინისტროში 2020-2021 წლებში სხვადასხვა დონის და საფეხურის საკარიერო კურსი საქართველოში და საზღვარგარეთ სულ გაიარა 2,163-მა სამხედრო მოსამსახურემ.[110] შესაბამისად, საკარიერო კურსებზე სამხედრო მოსამსახურეთა ჩართულობის მაჩვენებელი დაბალია,[111] რაც ძირითადად გამოწვეულია პანდემიით და თავდაცვის ძალებში სამხედრო მოსამსახურეთა შემოდინების დაბალი და გადინების მაღალი მაჩვენებლით.[112]

ყოველივე აღნიშნული უარყოფით გავლენას ახდენს როგორც სამხედრო მოსამსახურეთა განათლების პროცესზე, ასევე საბიუჯეტო სახსრების ეფექტიან დაგეგმვაზე.

---

107 მაგალითად: საარტილერო და სადაზვერვო მეწინავე მეთვალთვალეთა ჯგუფის უფროსების მომზადების კურსი, ნაღმტყორცნის სექციის მეთაურის მომზადების კურსი, სატანკო ოცეულის სერჟანტის მომზადების კურსი, საველე დაზვერვის ოცეულის სერჟანტის მომზადების კურსი, ტანკი T-72-ის მეთაურის მომზადების კურსი.

108 სამხედრო მოსამსახურეების გადინება, ახალი კადრების შემოდინება, დასაწინაურებელ პირთა რაოდენობა, შესაბამის სპეციალობებზე გადასამზადებელ პირთა რაოდენობები, წინა წლის გამოცდილება ჩატარებულ კურსებთან მიმართებით და ა.შ.

109 პასუხისმგებელი პირების განმარტებით, დღეის მდგომარეობით, თავდაცვის ძალები ამერიკელ პარტნიორებთან ერთად მუშაობს რესურსების მართვის ინტეგრირებული სისტემის განვითარებაზე, რომლის ერთ-ერთი მოდული ითვალისწინებს პერსონალის მართვას, მათი განათლებისა და წვრთნების დაგეგმვას და ა.შ. აღნიშნული სისტემა სრულად აღმოფხვრის სხვადასხვა სამსახურებსა და ფუნქციებს შორის კოორდინაციის პრობლემას და გაამარტივებს პერსონალის კარიერისა და განათლების მართვას.

110 მონაცემი არ წარმოადგენს უნიკალურ რაოდენობას, კერძოდ, სტატისტიკა მოიცავს ერთი პირის რამდენიმე პროგრამაში ჩართულობას.

111 ზუსტი მონაცემები არ იქნა მითითებული ანგარიშში, ვინაიდან სამხედრო მოსამსახურეთა პირადი შემადგენლობის რაოდენობა წარმოადგენს საიდუმლო ინფორმაციას.

112 იხ. ქვეთავი: თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა მოზიდვის და კვალიფიციური კადრების შენარჩუნების პროცესში არსებული ხარვეზები.

რეკომენდაცია

მიზანშეწონილია, სამხედრო მოსამსახურეებისათვის წლის განმავლობაში ჩასატარებელი სასწავლო კურსებისა და წვრთნების დაგეგმვისათვის თავდაპირველი გეგმა-კალენდრის შედგენის პროცესში მონაწილეობა მიიღონ გენერალური შტაბის შემადგენლობაში მყოფმა სხვადასხვა სტრუქტურულმა ერთეულმა, რათა წლის განმავლობაში დაგეგმილი კურსები უფრო მეტად იყოს ფოკუსირებული თავდაცვის ძალებისათვის საჭირო შესაბამისი სპეციალისტების (სამხედრო მოსამსახურეების) მომზადებაზე/გადამზადებაზე, რაც საშუალებას მისცემს სამინისტროს სწორად დაგეგმოს საბიუჯეტო პროცესი.

3.5 უმაღლესი სამხედრო განათლების მიღების პროცესში არსებული გამოწვევები

ოფიცრებისთვის **უმაღლესი სამხედრო განათლების** მიღების პროცესს 2022 წლიდან უზრუნველყოფს თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა (DIBS).[113]

2022 წლამდე სამხედრო მოსამსახურეები უმაღლეს სამხედრო განათლებას იღებდნენ სხვადასხვა ქვეყანაში,[114] სადაც ოფიცრის უმაღლეს სამხედრო განათლების სასწავლო პროგრამაზე (ომის კოლეჯი) გამოყოფილი იყო კვოტები, რომელიც თითქმის სრულყოფილად ივსებოდა. 2018-2022 წლებში შემოთავაზებული კვოტების რაოდენობამ შეადგინა 46, ხოლო კურსზე გაიგზავნა 42 სამხედრო მოსამსახურე.

2022 წლიდან სამხედრო მოსამსახურეებს (ოფიცრებს) აღნიშნული პროგრამის გავლა შეუძლიათ ასევე საქართველოში ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში.

2022 წელს პროგრამაზე ჩაირიცხა სულ 12 პირი, მათ შორის, თავდაცვის სამინისტროს 5 სამხედრო მოსამსახურე, ხოლო ამავე წელს უმაღლესი სამხედრო განათლების კურსზე საზღვარგარეთ ჩაირიცხა 9 სამხედრო მოსამსახურე.

2023 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, თავდაცვის და უსაფრთხოების უმაღლესი პროგრამა ინტეგრირდა თსუ-ის სამაგისტრო პროგრამასთან – „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“. მემორანდუმის ფარგლებში სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხი სამხედრო, სამოქალაქო და სპეციალური წოდების პირების რაოდენობაა 25, მათ შორის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებისთვის – მაქსიმუმ 8 პირი.

სამაგისტრო პროგრამის სწავლის საფასური შეადგენს 2,250 ლარს, რომელსაც სრულად იღებს თსუ, ხოლო თავდაცვის სამინისტროს სისტემის მოსამსახურეებისთვის, რომლებიც პარალელურად ჩარიცხულნი იქნებიან და ისწავლიან თავდაცვისა და უსაფრთხოების უმაღლეს

113 2016 წელს პროფესიული განვითარების ცენტრის ბაზაზე ჩამოყალიბდა და ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის საშუალებით განვითარდა. სკოლა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია, რომელიც საქართველოში მოვლენილი ნატოს ექსპერტთა ჯგუფის აქტიური მხარდაჭერით ხორციელდება.

114 აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, თურქეთი, ესპანეთი, კანადა და ესტონეთი.

პროგრამაზე, სწავლა არის უფასო. ამასთანავე, მემორანდუმით განსაზღვრულია სწავლის პროცესში მხარეთა ვალდებულებები და მოვალეობები.[115]

მინისტრის ბრძანებით[116] პროგრამის სამხედრო კომპონენტის განხორციელებისათვის დამსწრე პირთა საერთო რაოდენობა განსაზღვრულია შემდეგნაირად: მაქსიმალური – 16, ოპტიმალური – 12, ხოლო მინიმალური – 8 მოსამსახურე. კურსზე სამხედრო მოსამსახურეებისათვის განსაზღვრულია 4-8 ადგილი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კურსი ვერ დაკომპლექტდება შესაბამისი რაოდენობის სამხედრო მოსამსახურეებით (4 პირი), პროგრამა არ ჩატარდება.

დასკვნა

უმაღლესი სამხედრო განათლების მიღება სამხედრო მოსამსახურეებს 2022 წლამდე შეეძლოთ მხოლოდ საზღვარგარეთ, ხოლო 2022 წლიდან პროგრამა ასევე ხელმისაწვდომია თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში. აღნიშნულ პროგრამაზე 2022 წელს საზღვარგარეთ ჩაირიცხა – 9, ხოლო საქართველოში მხოლოდ 5 სამხედრო მოსამსახურე.

2023 წლიდან თავდაცვისა და უსაფრთხოების უმაღლესი პროგრამა, სამმხრივი მემორანდუმის საფუძველზე, ინტეგრირდა თსუ-ის სამაგისტრო პროგრამასთან – „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“. პროგრამის განხორციელებისთვის საჭიროა სამხედრო კომპონენტზე მინიმალური რაოდენობის სამხედრო მოსამსახურეების ჩართულობა, თუმცა არ არის განსაზღვრული, განხორციელდება თუ არა სამაგისტრო პროგრამა და ექნება თუ არა სარგებელი თავდაცვის სამინისტროს, სამხედრო მოსამსახურეების მინიმალური რაოდენობის შეუვსებლობის ან იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის სამხედრო კომპონენტზე ჩარიცხულ სამხედრო მოსამსახურეებს არ ექნებათ სურვილი პარალელურად მაგისტრატურის გავლის; განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც აღნიშნულ უმაღლესი სამხედრო განათლების კურსზე 2022 წელს ჩარიცხული იყო მხოლოდ 5 სამხედრო მოსამსახურე და კურსის გავლის შესაძლებლობა სამხედრო მოსამსახურეებს კვლავ აქვთ საზღვარგარეთ.

რეკომენდაცია

მიზანშეწონილია, თავდაცვის სამინისტროს ინტერესებიდან გამომდინარე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან კონსულტაციების გამართვის გზით, სამაგისტრო პროგრამის მარეგულირებელ აქტებში სამართლებრივად დარეგულირდეს ის შემთხვევები, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს სამაგისტრო პროგრამის სრულყოფილად ჩატარების და თავდაცვის სამინისტროსათვის შესაბამისი სარგებლის მიღების პროცესზე.

115 სკოლა დაეხმარება ფაკულტეტს, ქვეყნის უსაფრთხოების უწყებებისათვის განსაზღვრული საჯარო მართვის/ადმინისტრირების პროგრამების კურიკულუმის სასწავლო კომპონენტის გაძლიერებაში, ასევე პროგრამის სასწავლო პროცესის ადამიანური და მატერიალური რესურსებით მხარდაჭერასა და საკუთარი ინფრასტრუქტურითა და სასწავლო ელექტრონული პლატფორმებით უზრუნველყოფაში.

116 თავდაცვის მინისტრის 2023 წლის 14 თებერვლის N MOD 9 23 00000145 ბრძანება „უსაფრთხოების უმაღლესი პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

3.6 თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა მოზიდვის და კვალიფიციური კადრების შენარჩუნების პროცესში არსებული გამოწვევები

თავდაცვის სამინისტროსთვის სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა (პერსონალთა) განათლებისა და საბრძოლო მომზადების უზრუნველყოფასთან ერთად, ერთ-ერთ პრიორიტეტს და სამხედრო განათლების ძირითად ამოცანას კვალიფიციური სამხედრო მოსამსახურეების მოზიდვა-შენარჩუნება წარმოადგენს.[117]

მოქმედი კანონმდებლობით[118] განსაზღვრულია სამხედრო მოსამსახურეთათვის სხვადასხვა სახის მამოტივირებელი ფაქტორები, კერძოდ:

- სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულად სახელმწიფო კმაყოფაზე.[119]
- სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების, სანიმუშო დისციპლინისა და საბრძოლო მომზადებაში წარჩინებული მაჩვენებლებისათვის სამხედრო მოსამსახურეს წლის განმავლობაში შეიძლება მიეცეს ფულადი ჯილდო და/ან მატერიალური დახმარება.
- 2020 წლიდან სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს (მეუღლე, შვილი) უფინანსდებათ სწავლის საფასური საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებში,[120] როგორც საბაკალავრო და სამაგისტრო, ასევე სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე, არაუმეტეს 1,125 ლარის ოდენობით; ასევე მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მსმენელებს დამატებით ეძლევათ მინისტრის სტიპენდია, სემესტრულად – 750 ლარის ოდენობით.
- სამხედრო მოსამსახურეებს (მაიორის წოდებიდან ზემოთ) თავდაცვის სამინისტროს საბინაო ფონდიდან ეძლევათ ბინა დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.
- კონტრაქტების დასრულების შემდგომ, სამხედრო მოსამსახურეებს ერჯერადად ეძლევათ ფულადი თანხა სხვადასხვა ოდენობით, დამოკიდებულია კონტრაქტის ვადასა და წოდებებზე[121] და ა.შ.

თავდაცვის სამინისტროში სამხედრო მოსამსახურეებს განათლების მიღების პროცესში სხვადასხვა ეტაპზე უფორმდებათ კონტრაქტები, რომელიც ითვალისწინებს თავდაცვის ძალებში მსახურობის გარკვეულ პერიოდებს და დარღვევის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობას. აღნიშნული კონტრაქტების მიზანია, სამინისტროს მიერ სამხედრო მოსამსახურისთვის განათლების მიწოდებისას დახარჯული მატერიალური და არამატერიალური სახსრების არაპროდუქტიული და არაეფექტიანი ხარჯის თავიდან აცილება, რათა სხვადასხვა სწავლებებზე გადამზადებული კადრი, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ირიცხებოდეს თავდაცვის ძალების შემადგენლობაში.

აუდიტის ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა 2019-2022 წლებში თავდაცვის ძალებში სამხედრო მოსამსახურეთა გადინების/შემოდინების სტატისტიკური მონაცემები.

---

117 ეროვნული სამხედრო სტრატეგია.

118 „სამხედრო მომსამსახურეთა სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონი.

119 კვებით, სამედიცინო მომსახურებით, უნიფორმით, სწავლით და ა.შ. უზრუნველყოფს თავდაცვის სამინისტრო.

120 მინისტრის 2020 წლის 3 სექტემბრის N MOD 52000000649 ბრძანება.

121 საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 15 იანვრის N1 ბრძანება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობების დამტკიცების შესახებ“ (შესაბამისი ცვლილებებით).

სქემა N6. ინფორმაცია თავდაცვის ძალებში 2019-2022 წლებში სამხედრო მოსამსახურეების გადინება-შემოდინების შესახებ

ცხრილი N13. ინფორმაცია 2019-2022 წლებში სამხედრო ძალებში მიღებული და წასული პირების შესახებ წოდებების მიხედვით

დასახელება	2019-2022 წლები		სხვაობა
	შემოდინება	გადინება	
რიგითი, კაპრალი	4,891	6,980	-2,089
სერჟანტი	105	1,105	-1,000
ოფიცერი	388	715	-327
სულ:	5,384	8,800	-3,416

2019, 2021, 2022 წლებში თავდაცვის ძალებს წლის განმავლობაში საშუალოდ 2,600 სამხედრო მოსამსახურე ტოვებდა. 2020 წელს გადინების შედარებით დაბალი მაჩვენებელი კოვიდ-19-ის პანდემიითაა გამოწვეული (იხ. დიაგრამა):

დიაგრამა N9. ინფორმაცია 2019-2022 წლებში თავდაცვის ძალებიდან სამხედრო მოსამსახურეების გადინების შესახებ



2019-2022 წლებში დაწესებული სხვადასხვა სახის შეღავათების და წამახალისებელი აქტივობების მიუხედავად თავდაცვის ძალებში გადინების მაჩვენებელმა გადააჭარბა შემოდინების მაჩვენებელს.

მოწოდებული ინფორმაციით, 2023 წლის 11 თვის მონაცემებით, გადინება-შემოდინების დადებითი ტენდენციაა. კერძოდ, სამხედრო მოსამსახურეთა შემოდინების მაჩვენებელმა გადინების მაჩვენებელს 599-ით გადააჭარბა.[122] მიუხედავად ამისა, სამხედრო მოსამსახურეთა მოზიდვა/შენარჩუნება თავდაცვის ძალებისათვის კვლავ გამოწვევად რჩება.

თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეთა შევსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სამხედრო საკონტრაქტო სამსახური, რომელიც 4-წლიანია. საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის დასრულების შემდგომ,[123] რეკრუტები დებენ ფიცს და მსახურობას განაგრძობენ თავდაცვის ძალების სხვადასხვა ქვედანაყოფებში. 2020 წლიდან საწყისი საბრძოლო მომზადების 3-თვიან პროგრამაზე (BCT) ჩარიცხული რეკრუტები 500 ლარის ოდენობით ანაზღაურებას იღებენ. რიგითის მინიმალური დარიცხული ხელფასი შეადგენს 1,050 ლარს, მეორე და ყოველი შემდგომი კონტრაქტის დასრულების შემდეგ სამხედროები ერთჯერადი ბონუსის სახით – 7,000 ლარს იღებენ.[124]

2019-2021 წლებში საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხული 3,762 რეკრუტიდან 45%, 2022 წლის მდგომარეობით, აღარ ირიცხება თავდაცვის ძალებში.

ხარვეზები გამოვლინდა სამხედრო მოსამსახურეებთან კონტრაქტით გათვალისწინებულ დამაბრკოლებელ ფაქტორებთან (ჯარიმა) მიმართებით. ანალიტიკური პროცედურების შედეგად გამოვლინდა, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯარიმები ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას. კერძოდ, დაბალია დაკისრებული ჯარიმის გადახდის მაჩვენებელი, ასევე ხარვეზებია სამართლებრივი გზით ამოღების პროცედურებთან მიმართებითაც.

თავდაცვის ძალებიდან წასული სამხედრო მოსამსახურეებიდან უმეტესობა წასულია კონტრაქტის პირობების დარღვევით. აუდიტის ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტიდან კონტრაქტების დარღვევებზე მიმდინარე/დასრულებული სასამართლო პროცესების შესახებ.

სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2017-2022 წლებში სასამართლო საქმისწარმოება მიმდინარეობდა სულ 1,352 საქმეზე და სამინისტროს ფინანსური მოთხოვნა შეადგენდა 5,976,625 ლარს. დღეის მდგომარეობით სტატუსი – მიმდინარე აქვს 713 საქმეს (53%), საიდანაც 500 (70%) საქმეზე[125] არ ჩანიშნულა სასამართლო პროცესი ან არ არის გამოტანილი მიღებული გადაწყვეტილება.[126]

სასამართლოს მიერ ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვნად მცირდება კონტრაქტით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა და შესაბამისად, სამინისტროს მოთხოვნა. მაგალითად,

---

122 2023 წლის 11 თვის მონაცემით, სამხედრო მოსამსახურეთა შემოდინებამ – 1,370 კაცი, ხოლო გადინებამ 771 კაცი შეადგინა.

123 რეკრურტთა მომზადებას უზრუნველყოფს წვრთნებისა და განათლების სარდლობის სტრუქტურული ერთეული – საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრი.

124 2023 წლიდან აღნიშნული პირობები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: რიგითის საწყისი ხელფასი შეადგენს 1 530 ლარს. ანაზღაურება იზრდება წოდების, თანამდებობისა და სამხედრო სტაჟის გათვალისწინებით. ერთჯერადი დანამატი პირველი კონტრაქტის დასრულების შემდეგ 5 000 ლარი, ხოლო მომდევნო კონტრაქტების დასრულების შემდეგ, 2-წლიანი კონტრაქტისას – 3 000 ლარი, 4-წლიანი კონტრაქტისას – 8 000 ლარი.

125 200 საქმე მიეკუთვნება 2022 წლამდე პერიოდს.

126 მიმდინარე საქმეების 92% ქვეყნის მასშტაბით არსებულ რაიონულ სასამართლოებზე მოდის. მაგალითად, სენაკის რაიონულ სასამართლოში აღნიშნულ პერიოდში შესული 322 საქმიდან დასრულებულია მხოლოდ 20 (6%).

დასრულებული საქმეებიდან 34 სასამართლო დავა მიმდინარეობდა კონტრაქტებზე, თითოეული ითვალისწინებდა ჯარიმას – 28,000 ლარის ოდენობით, რომელთაგან სამ შემთხვევაში სამინისტროს მიერ სარჩელი გამოთხოვილ იქნა,[127] დანარჩენ 31-ზე კი სასამართლოს გადაწყვეტილებები მოცემულია ცხრილში:

ცხრილი N14. ინფორმაცია დარღვეულ კონტრაქტებზე სასამართლოს გადაწყვეტილებების შესახებ

დარღვეულ კონტრაქტებზე სასამართლოს გადაწყვეტილებები	საქმის რაოდენობა	სულ ჯარიმის ოდეონობა (სამინისტროს მოთხოვნა)	სასამართლოს შემდგომ დაკისრებული თანხის ოდენობა	სასამართლოს მიერ შემცირებული თანხის ოდენობა	სასამართლოს მიერ შემცირებული თანხის პროცენტული მაჩვენებელი
დაკმაყოფილდა	10	280,000	280,000	–	63%
დაკმაყოფილდა ნაწილობრივ	20	560,000	40,250	519,750	
არ დაკმაყოფილდა	1	28,000	-	28,000	
სულ:	31	868,000	320,250	547,750	

როგორც ცხრილიდან ჩანს, სასამართლოს მიერ საკონტრაქტო დავებით მოთხოვნილი ჯარიმის ოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება. ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 10 საქმესთან მიმართებით დაკმაყოფილდა სამინისტროს სარჩელი, მიექცა აღსასრულებლად, თუმცა დღეის მდგომარეობით არ არის გადახდილი.

„სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია სხვადასხვა შემთხვევები, როდესაც სამხედრო მოსამსახურე თავდაცვის ძალებიდან წასვლის შემთხვევაში თავისუფლდება ჯარიმისაგან.[128] ერთ-ერთი ქვეპუნქტი ითვალისწინებს ჯარიმისგან გათავისუფლებას ურთიერთშეთანხმების საფუძველზე; აუდიტის პერიოდში თავდაცვის ძალებიდან წასულ არაერთ სამხედრო მოსამსახურესთან მიმართებით, წასვლის მიზეზად მითითებულია და შესაბამისად ჯარიმისგან გათავისუფლებად „მხარეთა ურთიერთშეთანხება“, თუმცა აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა მოწოდებული შესაბამისი ინფორმაცია და მასალები, რას მოიცავს და რის საფუძველზე განხორციელდა მხარეთა ურთიერთშეთანხმების გაფორმება; აღნიშნული, წარმოშობს სამხედრო მოსამსახურეების მიმართ არაერთგვაროვანი მიდგომის რისკს. დაბალი მაჩვენებელია დაკისრებული ჯარიმების ამოღების მიმართულებითაც. აუდიტის ჯგუფის მიერ სამინისტროს საფინანსო სამსახურიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია[129] დაკისრებული ჯარიმებისა და მათი მდგომარეობის შესახებ 2022 წლის ჩათვლით.

127 2 მათგანი დაბრუნდა ჯარში, ხოლო ერთ შემთხვევაში შეიცვალა დათხოვნის საფუძველი.

128 „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი.

129 საფინანსო სამსახურის მიერ დაკისრებული ჯარიმების აღრიცხვა დამოუკიდებლად დაიწყო 2019 წლიდან, 2019 წლის მონაცემებში აგრეთვე ასახულია ინფორმაცია წინა წლების ჯარიმების შესახებ.

ცხრილი N15. ინფორმაცია დაკისრებული ჯარიმების სტატუსების შესახებ 2022 წლის ჩათვლით

ჯარიმის დაკისრების წელი	დაჯარიმებულთა რაოდენობა	თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმის ოდენობა	სასამართლოს მიერ შემცირებული თანხის ოდენობა	საბოლოოდ დაკისრებული ჯარიმის ოდენობა	სულ გადახდილი ჯარიმის ოდენობა	გადასახდელი ჯარიმის ოდენობა	გადასახდელი ჯარიმის %
2019 წლის ჩათვლით	245	1,088,239	156,677	931,563	214,342	717,221	77%
2020	142	665,418	238,500	426,918	95,574	331,344	78%
2021	338	1,597,504	194,000	1,403,504	238,314	1,165,190	83%
2022	622	2,277,364	35,700	2,241,664	94,311	2,147,353	96%
სულ:	1,347	5,628,526	624,877	5,003,649	642,541	4,361,109	87%

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონტრაქტით გათვალისწინებული სხვადასხვა ოდენობის ჯარიმა არ არის ეფექტიანი მექანიზმი და არ წარმოადგენს კვალიფიციური სამხედრო მოსამსახურის თავდაცვის ძალების დატოვების შემაფერხებელ გარემოებას.

გადინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურეთა ანაზღაურება. აქვე აღსანიშნავია, რომ 2023 წლიდან წოდებრივი სარგო გაიზარდა 20%-ით.

სქემა N7. ინფორმაცია 2023 წლის მდგომარეობით თავდაცვის სამინისტროში სამხედრო მოსამსახურეთა დარიცხული წოდებრივი სარგოს და კარიერული ზრდის ვადების შესახებ



შენიშვნა: **გარდა წოდებრივი სარგოსი, სამხედრო მოსამსახურეებს ასევე ერიცხებათ წელთა ნამსახურეობის დანამატი:** 1-დან 2 წლამდე – 5%; 2-დან 5 წლამდე – 10%; 5-დან 10 წლამდე – 20%; 10-დან 15 წლამდე – 25%; 15-დან 20 წლამდე – 30%; 20-დან 25 წლამდე – 35%; 25-დან 30 წლამდე – 40%; 30 წელი და მეტი – 45%.

დასკვნა

თავდაცვის ძალებში სამხედრო მოსამსახურეების მოზიდვა/შენარჩუნება გამოწვევად რჩება, ხოლო გადინების პროცესის დამაბრკოლებელი ფაქტორები ხასიათდება ხარვეზებით და ეფექტიანად ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას. აღნიშნული წარმოშობს სამხედრო მოსამსახურეების წვრთნებისა და განათლებისათვის გაწეული სახსრების არაეფექტიან ხარჯს, კერძოდ:

- 2019-2022 წლების მონაცემებით, თავდაცვის ძალებში გადინების მაჩვენებელმა შემოდინების მაჩვენებელს 3,416-ით გადააჭარბა. თავდაცვის ძალები დატოვა 8,800-მა სამხედრო მოსამსახურემ, ხოლო ჩაირიცხა – 5,384.[130] სამინისტროს ინფორმაციით, 2023 წლის 11 თვის მონაცემებით, გადინება-შემოდინების დადებითი ტენდენციაა. კერძოდ, სამხედრო მოსამსახურეთა შემოდინების მაჩვენებელმა გადინების მაჩვენებელს 599-ით გადააჭარბა.
- 2017-2022 წლებში სამხედრო მოსამსახურეების მხრიდან დარღვეულ კონტრაქტებთან მიმართებით სასამართლო საქმისწარმოება მიმდინარეობდა სულ 1,352 საქმეზე და სამინისტროს ფინანსური მოთხოვნა შეადგენდა 5,976,625 ლარს. დღეის მდგომარეობით კვლავ სტატუსი – მიმდინარე აქვს 713 საქმეს (53%), საიდანაც, 500 (70%) საქმეზე[131] ჯერაც არ ჩანიშნულა სასამართლო პროცესი ან არ არის მიღებული გადაწყვეტილება; ასევე სასამართლოს მიერ ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვნად მცირდება კონტრაქტით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა და შესაბამისად, სამინისტროს მოთხოვნა.
- დაბალი მაჩვენებელია დაკისრებული ჯარიმების ამოღების მიმართულებითაც. სამინისტროს საფინანსო სამსახურის მონაცემებით, 2019-2022 წლებში ჯარიმა დაეკისრა სულ 1,347 პირს, ჯამში – 5,003,649 ლარის ოდენობით, საიდანაც 2022 წლის მდგომარეობით კვლავ **გადასახდელია 4,361,109** ლარი.

რეკომენდაცია

სამხედრო მოსამსახურეთა მოტივირების მიზნით, გადინების მაჩვენებლის შემცირების და ბოლო პერიოდის დადებითი ტენდენციის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, თავდაცვის სამინისტრომ სხვადასხვა უწყებებთან კოორდინაციით, სამხედრო მოსამსახურეთა გამოკითხვის შედეგად იდენტიფიცირებულ საჭიროებებთან დაკავშირებით, შეიმუშაოს და დანერგოს დამატებითი წამახალისებელი ღონისძიებები და შეღავათები.

130 2019, 2021, 2022 წლებში თავდაცვის ძალებს წლის განმავლობაში საშუალოდ 2,600 სამხედრო მოსამსახურე ტოვებდა. 2020 წელს გადინების შედარებით დაბალი მაჩვენებელი კოვიდ-19-ის პანდემიითაა გამოწვეული. კერძოდ, 2019 წელს თავდაცვის ძალები 2,296-მა, 2020 წელს – 1,022-მა, 2021 წელს – 2,899-მა, ხოლო 2022 წლის მონაცემებით – 2,583-მა სამხედრო მოსამსახურემ დატოვა.

131 200 საქმე მიეკუთვნება 2022 წლამდე პერიოდს.

3.7 სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის პროცესში არსებული ხარვეზები და გამოწვევები

ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა ამოცანებისა და საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველოს ჰყავს თავდაცვის ძალები.

თავდაცვის ძალების გასაძლიერებლად და მხარდასაჭერად[132] იქმნება თავდაცვის ძალების რეზერვი.

საქართველოში სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლას ექვემდებარება 18-დან 27 წლამდე ასაკის პირი, რომელიც იმყოფება ან ვალდებულია იმყოფებოდეს წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვაზე და რომელსაც არ აქვს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან განთავისუფლების, ან გაწვევის გადავადების საფუძველი.[133]

მოქმედი კანონმდებლობით, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლა შესაძლებელია შემდეგ სახელმწიფო უწყებებში: თავდაცვის სამინისტრო, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, საქართველოს დაზვერვის სამსახური, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახური. 2025 წლიდან საქართველოს თავდაცვის კოდექსის მიხედვით, წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურის გავლას უზრუნველყოფს მხოლოდ თავდაცვის სამინისტრო.

დღეის მდგომარეობით საქართველოში არსებული სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის პროცესი არ ეყრდნობა არცერთი პარტნიორი ქვეყნის პრაქტიკას.

სამხედრო ვალდებულების მოსახდელად მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში გაწვევა როგორც წესი, ხდება წელიწადში ორჯერ – გაზაფხულსა და შემოდგომაზე, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე. სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა ორგანიზებულად გაწვევის მიზნით განისაზღვრება შესაბამისი რაოდენობები უწყებების მიხედვით.

---

132 საქართველოს თავდაცვის კოდექსი, „თავდაცვის ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი.

133 საქართველოს თავდაცვის კოდექსის 64-ე და 65-ე მუხლები, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე და 30-ე მუხლები.

ცხრილი N16. ინფორმაცია 2019-2022 წლებში მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ წვევამდელების რაოდენობების შესახებ უწყებების მიხედვით

დაწესებულება	2019		2020		2021		2022		სულ:
	გაზაფხ.	შემოდგ.	გაზაფხ.	შემოდგ.	გაზაფხ.	შემოდგ.	გაზაფხ.	შემოდგ.	
თავდაცვის სამინისტრო	1,700	1,500	600	1,500	1,400	1,400	1,400	1,400	10,900
შინაგან საქმეთა სამინისტრო	920	1,200	804	1,420	1,333	1,395	1,389	908	9,369
სპეციალური პენიტენციური სამსახური	1,309	1,220	141	1,432	585	684	448	539	6,358
სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	200	200	150	235	150	200	210	210	1,555
სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	341	-	-	-	-	-	-	-	341
სულ:	4,470	4,120	1,695	4,587	3,468	3,679	3,447	3,057	28,523

2024 წლამდე წვევამდელის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის ორგანიზება დელეგირებული[134] იყო მუნიციპალიტეტის მერიასა და ქალაქ თბილისის რაიონის გამგეობებზე, დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებაზე სახელმწიფო დარგობრივ ზედამხედველობას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, ახორციელებდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

აუდიტის ფარგლებში გამოვითხოვეთ ინფორმაცია, სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის პროცესში ჩართული უწყებებიდან, კერძოდ:

- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსგან 2019-2022 წლებში[135] სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამოსაძახებელ/გაწვეულ და გათავისუფლებულ პირთა შესახებ ინფორმაცია შესაბამისი მუნიციპალიტეტების მიხედვით.
- იმ უწებებიდან, სადაც მოქმედი კანონმდებლობით წვევამდელები გადიან სამხედრო სავალდებულო სამსახურს – უწყებაში დანერგილი სპეციალური თეორიულ-პრაქტიკული სწავლებებისა და 2019-2022 წლებში ჩარიცხული წვევამდელების შესახებ ინფორმაცია.

აუდიტის შედეგად სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის პროცესში გამოვლინდა სხვადასხვა ნაკლოვანებები და გამოწვევები.

134 „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი.

135 საგაზაფხულო და საშემოდგომო პერიოდი.

წვევამდელთა აღრიცხვიანობის ნაკლოვანებები

სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან მოწოდებული ინფორმაცია არ იყო სრული და ზუსტი. სავალდებულო სამსახურში გამოსაძახებელ პირთა და მათზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შესახებ გადაწყვეტილებები ასახულია Excel-ის ფაილებში, რომლებიც არ არის სრულყოფილი და შევსებულია არაერთგვაროვნად, ზოგიერთ შემთხვევაში სხვადასხვა სახელისა და გვარის მქონე პირზე მითითებული იყო ერთი და იგივე პირადი ნომერი და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინფრასტრუქტურის სამინისტროსგან დამატებით გამოთხოვილ იქნა მუნიციპალიტეტების გამწვევი კომისიების საოქმო გადაწყვეტილებების ნაერთი ანგარიშები,[136] რომლებიც მოთხოვნის საფუძველზე იგზავნება მათთან სამხედრო სავალდებულო სამსახურში საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევების დასრულებისას. ნაერთ ანგარიშებში ასახული სტატისტიკური მონაცემები და მუნიციპალიტეტების მიერ გამოგზავნილი სახელობითი სიები (რეესტრები) არ ემთხვევა ერთმანეთს. შესაბამისად, ვერც აღნიშნულ ნაერთ ანგარიშებში დაფიქსირებული მონაცემების სისრულესა და სიზუსტეზე მიიღო რწმუნება აუდიტის ჯგუფმა, თუმცა აუდიტის მიზნებისათვის, გარკვეული ანალიტიკური პროცედურების და სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების გამოყენებისათვის ვიხელმძღვანელეთ ნაერთ ანგარიშებში მითითებული ჯამური მონაცემებით.

2019-2022 წლებში სავალდებულო სამსახურში გამოძახებულ პირთა საშუალოდ მხოლოდ 5%-ის გაწვევა განხორციელდა.

ცხრილი N17. ინფორმაცია 2019-2022 სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამოძახებულ, გამოცხადებულ და გაწვევის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ პირთა რაოდენობების შესახებ

წელი		გამოძახებული იყო გამწვევ კომისიაზე	გამოცხადდა და მიღებულია გადაწყვეტილება გათავისუფლების შესახებ (29-ე მუხლი)	მათ შორის:			პროცენტული მაჩვენებელი	გასული იყო საზღვარგარეთ[137]
				გადავადების შესახებ (30-ე მუხლი).	სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ			
2019	საგაზაფხულო	42,997	28,294	567	24,721	3,006	7%	14,915
	საშემოდგომო	51,286	35,168	523	31,243	3,402	7%	14,862
2020	საგაზაფხულო	34,981	15,911	286	13,737	1,888	5%	14,875
	საშემოდგომო	43,135	24,658	350	21,722	2,586	6%	13,155
2021	საგაზაფხულო	47,379	29,536	483	26,400	2,653	5%	12,229
	საშემოდგომო	49,227	32,252	363	29,805	2,084	4%	13,030
2022	საგაზაფხულო	49,336	34,421	464	32,036	1,921	4%	12,872
	საშემოდგომო	61,048	46,971	426	44,571	1,974	3%	12,415

136 მოიცავს მხოლოდ ჯამურ მონაცემებს შესაბამისი რეესტრების გარეშე.

137 აღნიშნული მაჩვენებელი წარმოადგენს წინა გაწვევისას დამდგარ შედეგს. უშუალოდ ყოველი გაწვევისას, რამდენი პირი იმყოფებოდა საზღვარგარეთ, ვერ მივუთითეთ, ანგარიშში ასახული აღრიცხვიანობის ნაკლოვანებებიდან გამომდინარე (არ ხორციელდება სრული და ზუსტი აღრიცხვა).

წვევამდელთა გამოძახების პროცესში არსებული ნაკლოვანებები

2024 წლამდე მოქმედი კანონმდებობით არ იყო დარეგულირებული მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ წვევამდელის მოძებნისა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადების, ასევე სხვა ინფორმაციის დადასტურების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის უწყებებთან კოორდინაციის პროცედურები და ვადები. აღნიშნული პროცესი რეგულირდებოდა მხოლოდ „მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის სარეკომენდაციო ინსტრუქციით“, რომელიც რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მიერ 2016 წელს გაეგზავნათ პროცესის განმახორციელებელ შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებს.[138]

ინსტრუქციით მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ვალდებული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს წვევამდელის მოძებნისა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადების მიზნით, დაუყოვნებლივ გადაეცა შესაბამისი სია, ხოლო პირის საზღვრის კვეთის შესახებ ინფორმაციის მიღება უნდა განხორციელებულიყო შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის დაცვის დეპარტამენტიდან და საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტიდან.

მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ შესაბამისი მუნიციპალიტეტების მიერ სრულყოფილად არ ხორციელდებოდა მასალების გადაცემა შესაბამისი საჯარო უწყებებისათვის წვევამდელების მოძიების და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. კერძოდ: გარკვეულ პირებზე არ გამოცხადების მიზეზად მითითებულია მხოლოდ – ვერ მოიძებნა ან იმყოფება საზღვარგარეთ, დაზუსტების და გადამოწმების გარეშე; **აღნიშნული კი წარმოშობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურის თავის არიდების ხელშეწყობის რისკს.**

შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება, იყო თუ არა ყველა წვევამდელის მიმართ გამოყენებული ერთიანი მიდგომა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისას შესაბამისი უწყებების ჩართვის კუთხით.

წვევამდელთა ადმინისტრირების ნაკლოვანებები

მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ანალიტიკური პროცედურებით გამოვლინდა, რომ ყოველი გაწვევისას დადგენილებით განსაზღვრული რაოდენობა გამოსაძახებელ პირთა საშუალოდ მხოლოდ 8%-ს შეადგენს.[139] მიუხედვად ამისა, მაინც ვერ ხორციელდება დადგენილებით განსაზღვრული სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამოსაძახებელ პირთა რაოდენობის სრულად ადმინისტრირება. 2019-2022 წლებში დადგენილებით განსაზღვრული რაოდენობის (28,523) საშუალოდ მხოლოდ 52% (14,813) ჩაირიცხა შესაბამის უწყებებში.[140]

---

138 2016 წლის 10 აგვისტოს N01/2585 წერილი.

139 პასუხისმგებელი პირების განმარტებით, მთავრობის დადგენილების გამოცემისას მხედველობაში მიიღება წინა წლების გამოცდილება. კერძოდ: კანონმდებლობით გათვალისწინებული სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლებისა და გაწვევის გადავადების პირობები და გამოძახებულ პირთა ალტერნატიულ შრომით სამხედრო სამსახურში ჩარიცხულთა რაოდენობა.

140 გარდა ამისა, გამოძახებულ პირთა ნაწილი ჩარიცხული იყო კანონით გათვალისწინებულ ალტერნატიულ შრომით სამხედრო სამსახურში (ზუსტი რაოდენობა ვერ იქნა მითითებული, აღრიცხვიანობის ნაკლოვანებებიდან გამომდინარე).

ცხრილი N18. ინფორმაცია 2019-2022 წლებში სავალდებულო სამხედრო სამსახურში მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ გამოსაძახებელ პირთა და გაწვეულ პირთა რაოდენობების შესახებ უწყებების მიხედვით

	თავდაცვის სამინისტრო		შინაგან საქმეთა სამინისტრო		სპეციალური პენიტენციური სამსახური		სახელმწიფო უსაფრთხოे-ბის სამსახური		სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური			სულ:
გაწვევა, პერიოდი	დადგენილებით	ფაქტი	დადგენილებით	ფაქტი	დადგენილებით	ფაქტი	დადგენილებით	ფაქტი	დადგენილებით	ფაქტი	დადგენილებით	ფაქტი
2019 წლის საგაზაფხულო	1,700	958	920	811	1,309	209	341	330	200	132	4,470	2,440
2019 წლის საშემოდგომო	1,500	1,199	1,200	1,150	1,220	202	-	-	200	197	4,120	2,748
2020 წლის საგაზაფხულო	600	600	804	667	141	98	-	-	150	111	1,695	1,476
2020 წლის საშემოდგომო	1,500	849	1,420	758	1,432	111	-	-	235	161	4,587	1,879
2021 წლის საგაზაფხულო	1,400	940	1,333	703	585	126	-	-	150	147	3,468	1,916
2021 წლის საშემოდგომო	1,400	601	1,395	690	684	92	-	-	200	186	3,679	1,569
2022 წლის საგაზაფხულო	1,400	588	1,389	550	448	66	-	-	210	156	3,447	1,360
2022 წლის საშემოდგომო	1,400	520	908	651	539	116	-	-	210	138	3,057	1,425
სულ:	10,900	6,255	9,369	5,980	6,358	1,020	341	330	1,555	1,228	28,523	14,813

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2019-2022 წლების მთავრობის დადგენილებების მიხედვით, წვევამდელთა სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში გადანაწილებისას უშუალოდ თავდაცვის სამინისტროში გასანაწილებელ პირთა რაოდენობა საერთო რაოდენობის **38%-ს** შეადგენს, ხოლო ფაქტობრივად 2019-2022 წლებში თავდაცვის სამინისტროში სავალდებულო სამხედრო სამსახურში ჩაირიცხა 6,255 წვევამდელი, რაც დადგენილებით განსაზღვრული რაოდენობის **57%-ს** შეადგენს.

წვევამდელებისთვის სპეციალური თეორიულ-პრაქტიკულ სწავლების ნაკლოვანებები

მოქმედი კანონმდებლობით, სტრუქტურულ ერთეულებში წვევამდელებისთვის სპეციალური თეორიულ-პრაქტიკული სწავლება **ერთგვაროვანი არ არის.** კერძოდ, წვევამდელი შინაგან საქმეთა სამინისტროში სპეციალურ სწავლებას ორი კვირიდან ერთ თვემდე ვადით გადის, პენიტენციურ სამსახურში სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეებისათვის საბაზისო-საბრძოლო მომზადებისთვის დადგენილია 14 დღე, ხოლო დაცვის სპეციალურ სამსახურში კურსი მოიცავს 12 სასწავლო დღეს. რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს, წვევამდელები საწყისი საბრძოლო მომზადების პროგრამას (BCT) გადიან წვრთნებისა და განათლების სარდლობაში.[141] აღნიშნული კურსი სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეებისთვის 8-კვირიანია.

141 უფროსი სერჟანტის, ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრში.

კურსის დასრულების შემდგომ სამხედრო მოსამსახურეები დებენ სამხედრო ფიცს, მათ ენიჭებათ სამხედრო წოდებები და სამხედრო სამსახურს გადიან შესაბამის საშტატო თანამდებობებზე, მათი სპეციალობისა და სამხედრო წოდების მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ წვევამდელები სამხედრო სამსახურის გავლისას იღებენ არათანაბარი ხარისხის განათლებას, ყველა მათგანი ირიცხება სამობილიზაციო რეზერვში, რომელიც გამოიყენება საომარი მდგომარეობის დროს მობილიზაციის გამოცხადებისას.[142] სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის აღნიშნული პრაქტიკა სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას, რადგან წვევამდელებს სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის შემდგომ გააჩნიათ არათანაბარი ხარისხის განათლება. თავდაცვის სამინისტროში საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში მიღების შემდგომ წვევამდელი, რომელმაც თავდაცვის სამინისტროში გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური და წვევამდელი, რომელმაც სხვა უწყებებში – საწყისი საბრძოლო მომზადების კურსს სხვადასხვა ვადით გადიან.

კანონმდებლობის შესაბამისად, სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლა შესაძლებელია ასევე საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხვით.[143]

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საკონტრაქტო სამსახურის პირველ ეტაპზე კონტრაქტის შეწყვეტა არ ითვალისწინებს პირის დაჯარიმებას, ანუ წვევამდელი, რომელიც ექვემდებარება სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჩარიცხვას და აირჩევს საკონტრაქტო სამსახურს, კონტრაქტის პირველი ეტაპის დარღვევისას, დაჯარიმების გარეშე, თავისუფლდება შემდგომ გაწვევამდე, რაც წვევამდელებისთვის სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის გადავადების (ვადის გადაწევა) საშუალებაა.

აუდიტის მიმდინარეობისას დაიწყო მუშაობა თავდაცვის კოდექსის შემუშავებაზე, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებებს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის პროცესში. აღნიშნული კანონპროექტი დღეის მდგომარეობით დამტკიცებულია. თავდაცვის კოდექსის მიხედვით, წვევამდელები სამხედრო სავალდებულო სამსახურს 2025 წლიდან მხოლოდ თავდაცვის სამინისტროში გაივლიან, რაც აღმოფხვრის არათანაბარი ხარისხის განათლების პრობლემას;

რაც შეეხება აუდიტის ანგარიშში ასახული წვევამდელების აღრიცხვის და ადმინისტრირების ნაწილში გამოვლენილ ხარვეზებსა და გამოწვევებს, რომლებიც წარმოშობდა წვევამდელთა მიმართ არაერთგვაროვანი მიდგომის რისკს და ასევე იძლეოდა სამხედრო სავალდებულო სამსახურის თავის არიდების საშუალებას, აღნიშნულის აღმოფხვრის მიზნით თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტო“, რომელიც 2024 წლიდან წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის ორგანიზებას განახორციელებს ცენტრალიზებულად. ამასთანავე, დამტკიცდა[144] ,,სამხედრო აღრიცხვის ორგანიზების, გამწვევი, ცენტრალური გამწვევი და სამობილიზაციო კომისიების საქმიანობის წესი“.

142 მობილიზაციის გამოცხადებისას, სამობილიზაციო რეზერვში მყოფი ყველა პირი ვალდებულია გამოცხადდეს.

143 თავდაცვის სამინისტროს 4-წლიან საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხვისას, თუ პირი იმსახურებს 2 წელი, მას გავლილად ეთვლება სამხედრო სავალდებულო სამსახური.

144 საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის N543 დადგენილება.

დასკვნა

- საკონტრაქტო სამსახურის პირველ ეტაპზე კონტრაქტის შეწყვეტა არ ითვალისწინებს პირის დაჯარიმებას, აღნიშნული კი შესაძლებელია წვევამდელებისთვის სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის თავიდან არიდების (ვადის გადაწევა) საშუალება იყოს, ანუ, თუ პირს უწევს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლა, მოქმედი კანონმდებლობით მას აქვს უფლება აირჩიოს საკონტრაქტო სამსახურის გავლა, ხოლო პირობა, რომ კონტრაქტის პირველ ეტაპზე შეწყვეტა დაჯარიმებისგან მას ათავისუფლებს, შესაძლებლობას აძლევს ყოველგვარი დამატებითი პროცედურების გავლით თავი აარიდოს (გადაავადოს) სამხედრო სავალდებულო სამსახურს.
- დღეის მდგომარეობით არ არის შექმნილი წვევამდელთა შესახებ შესაბამისი რეესტრების წარმოების მიზნით ერთიანი გამართული პროგრამული/საინფორმაციო ბაზა, რომელიც მოგვცემდა საშუალებას მიგვეღო სრულყოფილი ინფორმაცია 2019-2022 წლებში სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამოსაძახებელ პირთა და მათზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შესახებ.
- 2024 წლამდე წვევამდელის მოძებნისა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადების, ასევე ინფორმაციის დადასტურების მიზნით პროცესის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის უწყებებთან კოორდინაციის პროცედურები და ვადები მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა.[145] აღნიშნული წარმოშობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურის თავის არიდების ხელშეწყობის რისკს. გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობდა მკაფიოდ განსაზღვრული სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც დაარეგულირებდა სამართალდამცავ ორგანოებთან კოორდინაციას, წვევამდელების მიმართ გამოიყენებოდა არაერთგვაროვანი მიდგომა.
- სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამოსაძახებელ პირთა რაოდენობა უწყებების მიხედვით განისაზღვრება მთავრობის დადგენილებით. ყოველი გაწვევისას **მთავრობის დადგენილებით** განსაზღვრული რაოდენობა გამოსაძახებელ პირთა საშუალოდ მხოლოდ **8%-ს შეადგენს.**[146] მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ხორციელდება სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამოსაძახებელ პირთა რაოდენობის სრულად ადმინისტრირება. კერძოდ: 2019-2022 წლებში გამოსაძახებელ პირთა საშუალოდ მხოლოდ 4%, ხოლო მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული რაოდენობის (28,523) – მხოლოდ 52% (14,813) ჩაირიცხა შესაბამის უწყებებში,[147] აღნიშნული კი ვერ ჩაითვლება ეფექტიან მაჩვენებლად.
- 2019-2022 წლების მთავრობის დადგენილებების მიხედვით წვევამდელთა სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში გადანაწილებისას უშუალოდ თავდაცვის სამინისტროში გასანაწილებელ პირთა რაოდენობა საერთო რაოდენობის 38%-ს შეადგენდა, ხოლო ფაქტობრივად 2019-2022 წლებში თავდაცვის სამინისტროში სავალდებულო სამხედრო სამსახურში ჩაირიცხა 6,255 წვევამდელი, რაც დადგენილებით განსაზღვრული რაოდენობის 57%-ს შეადგენდა. ამასთანავე, სხვადასხვა სამინისტროში წვევამდელებისთვის

145 რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2016 წლის 10 აგვისტოს N 01/2585 წერილით გაგზავნილი დოკუმენტი – „მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის სარეკომენდაციო ინსტრუქცია“.

146 პასუხისმგებელი პირების განმარტებით, მთავრობის დადგენილების გამოცემისას გათვალისწინებულია წინა წლების გამოცდილება. კერძოდ: კანონმდებლობით გათვალისწინებული სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლებისა და გაწვევის გადავადების პირობები და გამოძახებულ პირთა ალტერნატიულ შრომით სამხედრო სამსახურში ჩარიცხულთა რაოდენობა.

147 გარდა ამისა, გამოძახებულ პირთა ნაწილი ჩარიცხული იყო კანონით გათვალისწინებულ ალტერნატიულ შრომით სამხედრო სამსახურში (ზუსტი რაოდენობა ვერ იქნა მითითებული აღრიცხვიანობის ნაკლოვანებებიდან გამომდინარე).

სპეციალური თეორიულ-პრაქტიკულ სწავლება არაერთგვაროვანია.[148] შესაბამისად, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის აღნიშნული პრაქტიკა არ არის ეფექტიანი და სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას, რადგან წვევამდელებს სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდგომ გააჩნიათ არათანაბარი ხარისხის განათლება.

148 წვევამდელი შინაგან საქმეთა სამინისტროში სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად სპეციალურ სწავლებას ორი კვირიდან ერთ თვემდე ვადით გადის, ხოლო საკონტრაქტო მოსამსახურე – 15 დღემდე ვადით, რის შემდეგაც ისინი ნაწილდებიან დაცვის ობიექტებზე. რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს, წვევამდელები საწყისი საბრძოლო მომზადების პროგრამას (BCT) გადიან წვრთნებისა და განათლების სარდლობის უფროსი სერჟანტის, ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრში. აღნიშნული კურსი სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეებისთვის 8-კვირიანია, ხოლო საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხულ პირთათვის 10-კვირიანია.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

- საქართველოს კონსტიტუცია;
- „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „სამხედრო სამსახურის დებულების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის N238 დადგენილება;
- „ოფიცერთა სამხედრო განათლების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 13 დეკემბრის N MOD5 17 00000986 ბრძანება;
- „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სადისციპლინო წესდების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 მარტის N124 დადგენილება;
- „სადისციპლინო წესდების აღსრულების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 12 აპრილის N23 ბრძანება;
- სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის წესდების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 14 მარტის N16 ბრძანება;
- „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეების ფიზიკურ ი ნორმატივებისა და მათი ჩაბარების წესის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 9 იანვრის N02 ბრძანება;
- „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 9 იანვრის N01 ბრძანება;
- „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება;
- „სამხედრო საგანმანათლებლო ერთეულებში სასწავლო დოკუმენტაციის წარმოების ფორმები“ – შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2018 წლის 28 ივნისის N633839 შეტყობინება;
- „სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების პროცედურების დებულების“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 19 აპრილის N MOD 3 19 00000261 ბრძანება;
- „ოფიცერთა საკარიერო პროგრამებზე მიღების დამატებითი მოთხოვნების და პირობების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 01 თებერვლის N55 ბრძანება;
- „ოფიცერთა სამხედრო განათლების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 13 დეკემბრისN986 ბრძანება;
- „სერჟანტთა სამხედრო პროფესიული განათლების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 12 თებერვლის N97 ბრძანება;
- „სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დაფუძნებისა და წესდების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 2 აგვისტოს N515 ბრძანება;

- სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის შინაგანაწესი;
- „სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში მოსწავლის ჩარიცხვის და კადეტის სტატუსის შეჩერების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2013 წლის 29 მაისის N512 ბრძანება;
- სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში ფიზიკური მომზადების დონის დასადგენი ტესტირების ჩატარებისა და შეფასების წესი;
- „სამხედრო მომზადებისა და განათლების განმახორციელებელ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და რეგისტრაციის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 7 ივნისის N435 ბრძანება;
- „სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში სამეურვეო საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის 2017 წლის 2 ნოემბრის N MOD 0 17 00000071 ბრძანება;
- „მასწავლებლის თანამდებობაზე კონკურსის ჩატარებისა და თანამდებობის დაკავების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დირექტორის 2020 წლის 11 თებერვლის N MOD 5 20 00000027 ბრძანება;
- „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და სამხედრო საგანმანათლებლო ერთეულების პროგრამების სტანდარტების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სამხედრო საგანმანათლებლო ერთეულებში გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში დიპლომებისა და სერტიფიკატების სტანდარტები და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 3 სექტემბრის N MOD 5 19 00000542 ბრძანება;
- „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის ოფიცერთა სამხედრო წოდებების საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის N MOD 9 20 00000869 ბრძანება;
- „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის საშტატო ნუსხებით განსაზღვრული რიგითთა, კაპრალთა და სერჟანტთა თანამდებობების საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 27 ნოემბრის N MOD 7 20 00000876 ბრძანება;
- „სამხედრო საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების სახელმძღვანელოს“ დამტკიცების შესახებ თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 21 დეკემბრის N MOD 8 17 00001005 ბრძანება;
- ნატო – საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP).

პუბლიკაციები

https://core.ac.uk/download/pdf/83112388.pdf

https://www.armyupress.army.mil/Portals/7/PDF-UA-docs/Raabe-Social-Factors-ROTC-UA.pdf

ვებგვერდები

https://mod.gov.ge/ge

https://cadet.mod.gov.ge/

https://eta.edu.ge/

https://dibs.mod.gov.ge/

https://old.infocenter.gov.ge/

https://www.vsmt.cz/soubory-ke-stazeni/

https://catalog.vmi.edu/content.php?catoid=32&navoid=1188

https://www.usnews.com/education/best-colleges/what-rotc-programs-are-and-how-they-work

https://blog.prepscholar.com/rotc-program-scholarships

https://www.stetson.edu/artsci/army-rotc/

დანართი

ცხრილი. ინფორმაცია წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის ქვედანაყოფების და მათი საქმიანობის შესახებ

ნატო – საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC	ახორციელებს თავდაცვის ძალებში დაგეგმილი ეროვნული და საერთაშორისო სწავლებების ჩატარებას, ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების, თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების წვრთნასა და შეფასებას და ა.შ.
საერთო საჯარისო ცენტრი	ახორციელებს სპეციალისტებისა და უმცროს მეთაურთა მომზადებას/ გადამზადებას, ძირითადი სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობების მიხედვით.
წვრთნებისა და სამხედრო განათლების მხარდამჭერი ცენტრი „კრწანისი“	ახორციელებს ფინანსურ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, მათ შორის, ნატო -საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) და საერთო საჯარისო ცენტრის მიმართ.
გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემია	უზრუნველყოფს სერჟანტთა, საკარიერო სამხედრო განათლების პროგრამით მომზადებას; ახორციელებს სასწავლო პროგრამების შემუშავებას, ჩატარებული სასწავლო კურსების ანალიზს და მიღებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას.
პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლა	ახორციელებს „პარტნიორობა მშვიდობისათვის" (PfP) პროგრამისა და ორმხრივი და მრავალმხრივი სამხედრო თანამშრომლობის გეგმის ფარგლებში, ნატოს და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეების მომზადებას; სამთო მომზადების საერთაშორისო კურსების დაგეგმვას და ჩატარებას, ალპინიზმისა და სამთო ტაქტიკურ-ტექნიკური სპეციალისტების მომზადებას/გადამზადებას.
უფროსი სერჟანტის, ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრი	ახორციელებს საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) პროგრამის ჩატარებას; თავდაცვის ძალებში დაგეგმილი ეროვნული და საერთაშორისო სწავლებისა და წვრთნების მხარდაჭერას სიმულაციური საშუალებებით და აღჭურვილობით, პოლიგონებით, სასროლეთებით, საწვრთნელი ბაზით და ტექნიკური საშუალებებით.
სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი	უზრუნველყოფს საერთაშორისო სამხედრო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გამოცდილების გაზიარებას და წვრთნების თანამედროვე მეთოდების დანერგვას; უზრუნველყოფს საბრძოლო მომზადების ორგანიზებას და ჩატარებას, მაღალი საბრძოლო მზადყოფნის მიღწევას და შენარჩუნებას.
ენობრივი მომზადების სკოლა	ახორციელებს უცხოური ენების შემსწავლელ პროგრამებს; ახორციელებს სასწავლო პროგრამების შემუშავებას, ჩატარებული სასწავლო კურსების ანალიზს და მიღებული გამოცდილების გაზიარებას.
დოქტრინების განვითარების ცენტრი	ახორციელებს ოპერატიული და ტაქტიკური დონის დოქტრინალური სახელმძღვანელოების შემუშავებას, ოპერაციებისა და წვრთნების დროს მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით; თავდაცვის ძალების პრიორიტეტული გეგმების შესაბამისად, დოქტრინების თარგმნას და გამოსაცემად მომზადებას.

აუდიტორები	ხელმოწერა
მეგი კოდოშვილი წამყვანი აუდიტორი	
ნიკოლოზ სხულუხია წამყვანი აუდიტორი	
თენგიზ რამიშვილი აუდიტორი	
ნიკოლოზ ქაჯაია აუდიტორი	
ანა კაკიაშვილი უფროსი აუდიტორ-ასისტენტი	ა. კაკიაშვილი
ნიკოლოზ გულიკაშვილი უფროსი აუდიტორ-ასისტენტი	ნ. გულიკაშვილი
ქეთევან ჩახვაძე აუდიტორ-ასისტენტი	

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38
SAO.GE